

# ქართული მწიგნობები

სალიტერატურო შურნალი

დაარსებულია  
1926 წელს

აღდგენილია  
1990 წელს

განახლებულია  
2008 წელს

**2**

თებერვალი

**2010**

## **რედაქტორი**

ლევან ბრეგაძე

## **რედაქტორის მოადგილე**

ზვიად კვარაცხელია

## **სარედაქციო ჯგუფი**

მაია კუდავა  
ნინო მინიშვილი  
პაატა ნაცვლიშვილი  
მეგი ობოლაშვილი  
ნინო ყულოშვილი  
გვანცა ჯობავა

კონცეფცია და დიზაინი:  
© პაატა ნაცვლიშვილი, 2008.

ISSN 1512 - 4444

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2008.

## **პოეზია**

**რეზო ჭეიშვილი. ლექსები 5**

## **მსატვრული პროზა**

**ცირა ყურაშვილი. მინიატურები 9**

**ოლესია თავაძე. გადამცდარნი 12**

## **დეზიუტი**

**ნიკა ლაშხია. ლექსები 25**

## **მწერლის არქივიდან**

**ნიკოლო მინიშვილი. ჩანაწერები 28**

## **ესეისტიკა / დოკუმენტური პროზა**

**ემზარ კვიციანიშვილი. ცენზურა და უცენზურობა 29**

## **კრიტიკა**

**ნიკა სერგია. უკომპლექსობის ბიკინიში  
გახვეული კომპლექსის ჩადრი 35**

## რეჟისორი

**40** გივი შეყილაძე. მსახურება ჟამსა უმძიმესსა

## თეატრი

**43** თამარ კიკნაველიძე. გორდონ კრეგისეული ზღაპარი

## ახალი თარგმანები

**51** ენ სექსტონი. ლექსები  
(თარგმანი ანი კოპალიანისა)

**57** ბერნჰარდ შლინკი. შაქრის მუხუდო  
(თარგმანი ბელა სურგულაძისა)

## ერთი ლექსის ისტორია

**72** იზა ორჯონიკიძე. მაისი, ქართლი...

## უკვდავი სახელები

**74** ზაქარია ჭიჭინაძე. იონა მიხეილის ძე მეუნარგია.  
(მოამზადა ლია გუსევაძე)

## წიგნები

**76** მაკა ჯოხაძე. უკეთესი საქართველოსთვის

## წიგნის პრეზენტაციები

**78** თბილისში გაცოცხლებული ძველი თუშეთი

**79** ღვთის ძიების გზაზე  
ორი ახალი საბავშვო წიგნი

პოეზია

რეზო ჭეიშვილი

ყანაქველი

ეს მაშინ იყო, რომ გიძღვნიდი ლექსებს ნაკლიანს,  
როცა მომწონდი, წყალზე ნისლის იყო ბრიალი,  
და დაბურულში წყლის ნათლია დღე იმ ნაღვლიან  
ჭაობს ბნკალავდა ჭვანგიანი ელვის ბნკიალით.

იდგა სალამო, დაშორების ჩამოლამება,  
ძველი ყანების ჩაყვითლება, გადაჩალება  
და ჩაუვლელი ჩავლილობის ჩაღისფერებში,  
ვერდაფარულის დაფარულით ფერისშეველება.

ნღები ჩამოდნა, ლექსი ისევ ისე მანუხებს,  
ჩამომათოვა, ჩამომთეთრა, ნღები ნავიდა,  
სიტყვები გაქრა, სანუხარი დარჩა ნუხილი  
და ყოველივე უნუხარი განყდა თავიდან.

ახლა იმ ნაქარს რომ ავბურდავ გაიმედებით,  
ყვითელ ლელიანს როს გახაზავს ლურჯი ფრინველი,  
გამონათღები, წამიერი ნავა ნამები,  
აღარასოდეს გაცხადღები იმ ნანწავებით.

ხსოვნა მქრქალღება, ფიქრი ისევ აავდარღება,  
გარსი ბერღება, შემოდეგი ნაცრისფერღება,  
არგასამხეღელს ვერ ვიხსენებ, არ მახსენღება,  
ის, რაც მახსოვდა – არ კი ვიცი – იყო თუ არა.

\* \* \*

ღამე ჩემია, ძილი მანც  
არ დამრჩენია,  
თუკი ვინამე ისევ იგი,  
მამავ ჩვენია.  
წითელი მკერდით, ზღვისფერ ფრთებით  
ოდეს გნახავდი –  
არც მიფიქრია, არც მიწერია  
თუ მინახავდი.  
მოციმციმდი და მოიტანე  
ცივი გზავნილი –  
ნეტავი მე, თუ ჩემთვის იყავ გამოგზავნილი!  
თუკი ინებებ, გამოგყვები შენი მსტოვარი,  
გამიძეხი და დამიტოვე დანატოვარი.



საქართველოში დღეს ცოტამ თუ იცის რეზო ჭეიშვილის ლექსების შესახებ. არადა, პოეზიის გარდა რა უნდა დაერქვას იმას, რითიც იწყება, რაც გასდევს და რითაც მთავრდება მისი რომანები და მოთხრობები – რა უნდა დაერქვას იმ ჩუმ, თითქმის მოუხელთებელ განცდას, ჟამიდან ჟამზე რომ გაკრთება, სულს რომ შევიგუბებს და საკუთარ სიღრმეში ჩაყურადებულს მარადიულის ნაწილად გაქცევს. სულ ერთია, საიდან დაიძვრის ეს ტკივილ-სიამიანი ნაკალი, გადაჩალული ყანებიდან, შემოდგომის მზეჩაბუღებული, გადაყვითლებული ფოთლებიდან, თბილ მიწაზე დაცვენილი ხმელი ნეშოდან თუ თავისამატკივარი სურნელებით აყვავებული მაგნოლიიდან. ეს წამის გარინღებაა, წამის გამეორება, განცდა იმისა, რომ რასაც ამ ნათლით შემოსილ წამში ხეღავ და რაც გესმის, თითქოს ერთხელ უკვე იყო. პოეზია ხომ ამ წამის დაჭერის, გამოხატვის მცდელობაცაა.



მე ხომ ისედაც დამეწევა შავი მწევარი,  
 აღარ დარჩება ჩემი ძვალი და ნანევარი.  
 წითლით და მწვანით, სიცისფერით აღარ მოგელი –  
 გიხილე ერთხელ და გინამე,  
 როგორც ყოველი.  
 შენ ცა, მიწა – მე, შენ – ცაც, მიწაც,  
 სიზმრის მთოველი,  
 მწამს ღმერთი ერთი  
 მამა ჩვენი, ყოვლის მპყრობელი.

### დრო

დრო ისე წავა და გადასწევს  
 წამი წინანელს,  
 აქედან შენკენ ვერ გააღწევს  
 თვალის სინათლე,  
 დაფარულია ზეცის თალი  
 შავი ხედებით,  
 გადაგვაწინყდა ის ოთახი,  
 არ გახსენდები?  
 მე მაინც მინდა ისევ მაგ ცით,  
 სხივ-განთიადით,  
 მოგონებები გაიცრიცოს რაღაც დიადით.  
 სული აქაც წუხს, აქაც მასე,  
 – სულ ფოციალში,  
 რომელ სფეროზე დაიქანცე  
 სპექტრის ციალში.  
 მანძილები კი იზომება პარაკლისებით,  
 არც ჩემი ზომვით  
 და არც შენი კარგი ლექსებით.  
 თუ სიზმრისა ვართ და ვიშვენივით  
 სიზმრის ხახაში,  
 სიზმარში მაინც სავიშვიშოდ  
 დაგინახავდი.  
 სიზმრის ვიყავით? სიზმრისაგან  
 ცხადს თუ მოველი,  
 მაშინ სადღაა – ვინც ვისგანაც  
 იშვა ყოველი?!  
 იფერფლება და ინაცრება  
 ხსოვნის ძიება,  
 გამოგონილი დარდიც ხმება ღონისძიებად.  
 უპატიებელს ის პატიობს –  
 ვინც ზე ავიდა,  
 დრო კი ყველაფერს ამარტივებს  
 თავისთავიდან.  
 არ გააჩერებს აქ არ დამრჩენს  
 მძიმე ლანდები,  
 შემძიმებულსაც არ გაარჩევს  
 დღე ხვალინდელი.

**სანსაპიო**

(ოფორტი)

შეკიდული თალი,  
ჩამოფშენილი ფაცხა,  
ჩამომრხჩვალი თავგი  
დარიალის კართან.

შერყეული წყვილი,  
წყევლა შემოქმედის,  
სამუმიო ძილი  
– სადარდელი გედის.

სუიციდი თავგი,  
გასანთლული თოკი,  
სად ნაილო ქალმა  
გამოცლილი დოქი?!

შებოლილი თალი,  
ძველი თავის ქალა,  
ჩემი სარკოფაგი  
– ჩამსხვრეული მალა...

თვითმკვლევლობის აქტი,  
– საბოლოო დასკვნა,  
ლოგიკური ფაქტი  
შედგენილი მასკვან.

ჩამოვკიდეთ ცაზე  
მთვარე სვეურწყავი,  
უნყალობა მასზე...  
დახატული წყალით.

დაილია ის დღეც,  
ჩამოეშვა ნოხი,  
დაიდვარა სიცხე  
უსახური ქოხის.

„...ცაზე მთვარე ამოვიდა  
ნიშანია დარისა,  
კოლექტივი გაძლიერდა,  
ვენაცვალე სტალინსა...“



**მარსის ოინი NASA – 2009**

დაღებულია ყველა ღარი,  
დაიდრა ლავა,  
ჩამოსულია ღამის სტუმარი,  
დილით არ წავა.



წითლად წითლდება დაბზარული  
 ნაბლის კარები,  
 მღვიმე პირს ალებს, ახლოვდება  
 ცოდვის ზარები;  
 გამხმარ მინამდე ეშვებიან  
 კრეტსაბმელები;  
 ლამპრის შუშებზე აღარ ჩანან  
 დედის ხელები...  
 ხეები ხეებს ეხეთქება კრონას  
 ფხაჭურით,  
 შემოსასვლელი ხმოვანდება ცრუ  
 კრინ-მანჭულით.  
 გამოქვაბული გამიღებს ბნელი  
 ფერებით,  
 უღალი ხარები ჩამოფხიკეს  
 იმ სიმღერებით;  
 ვაკაკუნებ და კარს არ მიღებს  
 ავი მოკეთე,  
 დილა პირს იბანს, – ფიქრი მაინც  
 გამომიკეთე!...  
 ჟანგის ურჯიალი ახლოვდება,  
 თავს მესხმის რეტი –  
 წითელი ხარი აღარაა პრიორიტეტი.  
 ავე მარია, მოვიდა ლავა,  
 გაიხსნა რაბი,  
 მეტადრე გვიან მაქეთკენ მავალს,  
 მენყალვი, რაბი!



მხატვრული პროზა

ცირა ყურაშვილი

მინიატურები

ქალი – ჟამთააღმწერელი

ვწერ მორიგეობით, ხან ქრისტეს, ხან მას. პასუხებს ორივე იშვიათად მწერს, მაგრამ ვხვდები, რომელს როდის ვუყვარვარ და სამადლობლად ორივეს ლექსებს ვუნერ. ვწერ იმის მიხედვით, ვის ემორჩილება ჩემი ფიქრების იმპერია. როცა ქრისტეა თვითმპყრობელი – სიყვარული პლუს მუხტით, მშვიდად და უდრტვინველად მიდის დღეები, სანამ მოსალოდნელი ჯანყი შეარყევდეს მის საზღვრებს. მაშინ გრძნობა მეორე პოლუსიდან, სიყვარული მინუს მუხტით მიილტვის ტახტისკენ. ამ დროს ეჭვების ცელით იცვლება უდრტვინველობის ყვავილები, სახრჩობელებზე კონწიალობენ ჩემი სათნოებები, ჯარისკაცების მოჭრილი თავები გორავს. ეს მინიატურული ჯარისკაცები სხვადასხვა ბანაკებიდან დაიძრნენ, წარმავალის და მარადიულის ბანაკებიდან, და ჩემს გულზე გადაიარეს ცხენების თქარათქურით. წარმოიდგინე, რამხელა სამფლობელოა! წარმოიდგინე რა სურათია!

ასე გადის დრო.

ამოდის და ჩადის მზე.

ასე ჩავუქროლებთ ერთმანეთს კომეტებივით მე და სიყვარული მინუს მუხტით.

ასე ვუახლოვდებით მარადისობის კარიბჭეს.

ეს არის ჩემი უმძაფრესი გატაცება: წერილები იქით და აქეთ. ზევით და ქვევით.

ეს მუხტები შევაკავშირე, მაგრამ ვერ გავამთლიანე, რომ ან ერთს ვეკუთვნოდე, ან მეორეს. ამიტომ ხან ამისი ვარ და ხან იმისი.

წერილები – ეს ჩემი უმძაფრესი გატაცებაა. მაშინაც, როცა სახლი დაულაგებელია; ჭურჭელი და სარეცხი – გაურეცხავია; სადილი გაუმზადებელია, ელექტრონული ფოსტით წერილები გაუგზავნელია; მოსწავლეები საკლასო ოთახიდან გაუსტუმრებელია.

ეს ჩემი ერთადერთი გატაცებაა, როგორც ბუნების ერთი და იგივე სურათი, რომელიც ხილვის მერე ჩემს წარმოსახვაში დაუსრულებლად მეორდება: ლაჟვარდში ოქროსფერი ფოთოლი ტრიალებს, ტრიალებს, ტრიალებს და წყლის ზედაპირზე დაშვებული წყნარად ტივტივებს.

რა კარგად, სამოთხისებურად ვიცხოვრებდი დროებით მაინც, ამ გადატრიალებების გამო გაბატონებული ფიქრები ეჭვების ცივი შხაპის ქვეშ რომ არ მაყენებდნენ. მარადისობის ბანაკიდან დაძრული ლაშქარი იმარჯვებს თუ წარმავალისა, დასადგურებული სიმშვიდე ყოველთვის მეტად ხანმოკლეა. მუდმივი გადატრიალებები არყვეს ჩემს სამეფოს. ამ დროს მეც ისევე ვეძებ თავმისაყრდნობ ადგილს, როგორც ბუდეანგრეული ჩიტი ეძებს ბუდეს, როგორც გველი ეძებს ხვრელს, როგორც თევზი ეძებს ჯილეს. და რაკი საკუთარი ოთახი არ მაქვს, რა მიზეზითაც ვირჯინია ვულფი შეუძლებლად თვლიდა ქალის მწერლობას, მე კალამს ვუტოვებ მუზეებს და ვორდის ფაილში, როგორც ციხესიმაგრეში, ისე ვიკეტები. ჩამოიყრება ჩემს ნაცნობ-მეგობარ ქალთა ხაზები, მათ დაირქვს: „ქალი-გაზაფხული“, „ქალი-მშვე-



ცირა ყურაშვილი დაიბადა 1962 წლის 1 მაისს ბაღდათში. 1987 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1986-1993 წლებში მუშაობდა ჟურნალ „განთიადის“ რედაქციაში კორექტორად, ლიტმუშაკად. 1991 წელს მწერალთა ჯგუფთან ერთად დააფუძნა მწერალთა ასოციაცია „ურანი“. იყო მისი პასუხისმგებელი მდივანი. 1999 წელს მისი ინიციატივით დაფუძნდა ხელოვნათა კავშირი „მარიოტა“, იყო ამავე კავშირის ხელმძღვანელი. 2004 წლიდან მწერალთა ჯგუფთან ერთად დააფუძნა ლიტერატურულ-საზოგადოებრივი გაზეთი „ენიგმა“, რომელიც 2006 წლიდან ჟურნალის სახით გამოიცემა. 1993 წელს მისი ლექსები შევიდა ქართული ახალგაზრდული პოეზიის ანთოლოგიაში. 1996 წელს გამოსცა ლექსების კრებული „ასფალტის ყვავილები“. 1999 წელს – ზღაპრის წიგნი „ქრისტესია“. 2001 წელს მისი ინიციატივით გამოვიდა საბავშვო ლექსების კრებული „ლილე“. 2002 წელს კავკასიური სახლის ლიტერატურულმა გამოცემამ „ალტერნატივა“ მწერლის მოთხრობა „უკან არ მიიხედო“ წლის საუკეთესო ნაწარმოებად აღიარა. 2005 წელს მოთხრობა შევიდა კავკასიური სახლის მიერ გამოცემულ ორტომეულში – „ქალი, სახე და პრობლემა“. 2006 წელს გამოსცა ლექსების კრებული „ანბანური პერიოდი“. 2007 წელს – მოთხრობებისა და მინიატურების კრებული.



ნიერება“, „ქალი-გალიმება და ერთი ნახვით შეყვარება“, მე კი ამ დროს, ვორდის ფაილში დამწყვედი, თავივით ვფხაჭურობ.

რას ვიზამ, მე ხომ ფიქრთა იმპერიის ჟამთააღმწერელი ვარ.

ქალი – ჟამთააღმწერელი.

### სადაც სულს მიელიან

გარდაიცვალა მეზობელი ქალი – ნაირა. ცუდად ვარო, დაჯდა სკამზე და ველარ ადგა. ორ-სამ წუთში გარდაიცვალა. ისეთი ფორიაქა იყო, მოუსვენარი, მისი ასეთი ხვედრი ვერც წარმომედგინა. მის ბინას რომ მოვუახლოვდები, ისე მოვიპარები, თითქოს რამეში დამნაშავე ვიყო. ასეთი მოულოდნელობების დროს განსაკუთრებით იხსნება ჩემში მარადიული საცხოვრისის ყრუ შეგრძნება. განსაკუთრებით და ყრუდ. და დროდადროც, მკლავში რომ ჩამჭიდებს ხელს, მავინყებინებს პატარა-პატარა ფუცფუცს და აღარ მენაღვლება აღარაფერი დედომინის ზურგზე.

ბებია იცოდა ასე თქმა – „დედომინის ზურგი“. და სანამ ზურგზეც ამიკიდებს ჩემს მოკლე ტექსტურ შეტყობინებებთან ერთად, ვფიქრობ კიდევ რისი მოსწრება შემიძლია.

ჭირისუფლებისთვის მე და მარიმ მცირე „ხარჯი“ გავნიეთ, ან უფრო სწორად, გავაკეთეთ, ამას „ხარჯის გაკეთება“ ჰქვია. მე მჭადები დავაცხვე, მარიმ სალათა გავაკეთა მაიონეზით. ჩვენთან შემოზიარებულ მეზობლებს ფული დავუმატეთ, რომ თევზი და ღვინო ეყიდათ. ლობიო, სწორედ ისე – პრასივით, არ გვინდა, გუშინდელი მორჩენილი ერთი ქვაბი გვაქვსო. თორემ ვაპირებდი ჩამედგა. და ასე. გუშინ უქმად ისხდნენ მეზობელი ქალები შეშის თბილ ღუმელთან და ჭორაობდნენ. თუ სამსახურში მიდიხარ, ჩვენ გავაკეთებთო, მაგრამ ამდენი გასაკეთებელი რა იყო. ხელიდან სტაცებდნენ ერთმანეთს საქმეს. ერთი შევიხედე და გამოვბრუნდი. უეჭველად გამჭორავდნენ, არადა იქ ჯდომას სიკვდილი მირჩევნია.

ბებია რომ გადაკრძალეთ, სასაფლაოზე, ნანადერძვე ადგილას, თავისი შვილების – ნოდარის და ტატუნის გვერდით, მოვისვენეთ. მამაც იქვეა, გაგუნაც. ის ადგილი ლამაზი ადგილია სასაფლაოზე და ერთხელ, როცა დავაპირე ერთი ახლობლისთვის მომეყოლა სასაფლაოსთან დაკავშირებული ჩემი განცდების შესახებ, მას ეგონა, რომ დეპრესიის შემოტევა მქონდა და ამ თემაზე საუბარი არ ისურვა. ისე, როგორც ერთ კარგ ყოფილ ტელენამყვანს უთხრეს, – „სახლში ყოფნა გირჩევნია, დეპრესიაში ხარ ალბათ?!“, რაზეც მან ჩვეული კვიმატობით მიუგო – „რა მეტყობა დეპრესიის, ვერ მხედავთ, გატკუცუნებული ვარო?!“

ჩემი ახლობლების სასაფლაო ბაღდათში ძალიან მიყვარს, ავდივარ კარგ ამინდში, ვზივარ მშვიდად, არც არაფერი მანუხებს, არც არაფერს ვჯავრობ, არც ვნატრობ, გახსენებითაც იქ იშვიათად მახსენდება რამე. ეს ადგილი ქაოსიდან, ამქვეყნიური ფუსფუსიდან ჩემი გამორიდების ადგილია. აქ მომიყვა დედა, როგორ გადაკრძალეს ბებია. უფრო სწორად, ქვემოდან, ჩვენი ადგილიდან ამოასვენეს, ანუ ამოკრძალეს. ის ჩვენი ადგილი სასაფლაოს ემიჯნება. ზემოთ სასაფლაოა. ქვემოთ აკაციებით და მავთულებით შემორაგვული ადგილი. ადრე, ბავშვობაში იმ კორდზე ჩემი პატარა ძმები – პაატა და ვარაზი ყოჩივარდებს კრეფდნენ, მათი პატარა თითები ბლუჯავდნენ ყვავილებს და ჩვენ არ ვეუბნებოდით, რომ ყვავილები ბიჭების საქმე არ არის. მოსწონდათ და კრეფდნენ, ჩვენც მოგვწონდა ასე. ახლაც მომწონს, კაცს რომ ყვავილები უყვარს. იმ ადგილში სიმინდსაც ვთესავდით, მაგრამ მწირ მიწაზე პატარა, დაპაპყული სიმინდი იზრდებოდა და კვიყ ტა-

როს იკეთებდა მხოლოდ. მერე თხილები დარგო დედამ აქა-იქ. ბებია რომ გარდაიცვალა, მამამ თქვა, ჩვენს ადგილში დავკრძალოთ, სასაფლაო ფართოვდება და ეს ადგილი სასაფლაოდ გამოგვადგებაო. დედას არ სურდა ასე, რადგან ბებიას დაბარებული ჰქონდა, ჩემი შვილების – ნოდარისა და ტატუნის გვერდით დამკრძალებო. თან დაენწყევლა, თუ იქ არ დამკრძალოთ – მომენიეთ უკანო.

ბებია ქვედა დიმილი ქალი იყო და სიტყვა-პასუხზე უკან არ დაიხევდა (სკაბრეზი იგულისხმება) და ამის მიუხედავად, მე არ მახსოვს ჩემს პატარა ძმებს რამე უხეში და ცუდი სიტყვა დასცდენოდეთ პირიდან. მშობლებიდან რამე საგანგებო აკრძალვა არ გვქონია, მაგრამ ვხედავდით, რომ მათ არ მოსწონდათ ცუდი სიტყვები და ეს საკმარისი იყო ჩვენთვის. სულიც არ ღებულობდა ასეთ რამეს. ის სასაფლაო, რომელიც ბებია დაიბარა, ერთხანს ნათესავ-მეზობელთან მცირე დავის და გაუგებრობის მიზეზი იყო, ამიტომ ბებია ჩვენს ადგილში დავკრძალებო.

თოვდა, როცა დავასაფლავებთ, საფლავში წყალი იდგა ნახევრამდე და იმ წყალში ჩაუშვეს კუბო. ახალი დასაფლავებული იყო, როცა ბონკოში დამესიზმრა, ბონკოს თავდაღმართში მოდიოდა გაბრაზებული, გამეხებული სახით.

მამას აღარ მოეწონა თავისი პროექტი და დაიბარა: ჩვენს ადგილში არ დამასაფლაოთ, ზეკარში წამიყვანეთო. მერე წლები გავიდა, ვარაზი მამა იოანედ იკურთხა და ის გაუგებრობა, დავა აღმოფხვრა. ახლა მამა და დედაჩემის დედა ერთად განისვენებენ სასაფლაოზე. მამა რომ დავკრძალებო, ბებია მერე გადმოვასვენებო, თუმცა მე ამბად მხედებოდა ეს, ქალაქიდან ჩასულს. დედამ თქვა, საშინლად მიძიმე, წყლით გაბიჟვინებული იყო კუბო, ამ აღმართში ფეხს ვერ იკიდებდნენ მამა იოანე და მისი დამხმარეები, ყოველწუთს უსხლტებოდათ, განამდნენო. როცა ამას ჰყვებოდა, გამახსენდა ფოლკნერის რომანი, უბრწყინვალესი – „სული რომ ამომდიოდა“. დედის ცხედარი რომ მიჰყავთ ფორნით, მდინარეში რომ გადიან და კუბო წყალში ჩაუვარდებოთ, ერთი შვილი მგონი ჭკუიდან იშლება. მამის ზეკარში დასაფლავებაც ასეთივე ტანჯვა-წამებას მოიტანდა, სამანქანო გზა არ არის, ფეხით – თხუთმეტი-ოცი კილომეტრი, ღამეს სად გავათევდით?

ახლა, როცა საფლავზე ავდივარ ბაღდათში, მცხრალი მზე ადგება დასავლეთიდან, ცაცხვი შრიალებს, ყველაფერი ტრაგიკული უკან იხევს და სიმშვიდე ისადგურებს. სახლი ჩვენი სულის და სხეულის საყუდარია, საფლავი მხოლოდ სხეულის, იქ კი ვინ მოგვიყვება, რა ხდება, სადაც სულს მიელიან?



### დაცემაც და ადგომაც

როცა სიგარეტს აღარ ეწევი, როცა ცუდ სიტყვებს ებრძვი, როცა შენი ცხოვრებით ბოროტებას არ ამრავლებ, როცა გინდა მხოლოდ საკუთარი ტკივილი და სიხარული გამოხატო და გეუბნებიან, რომ არ არის საჭირო ასეთი გულწრფელობა, – ნუ დაუჯერებ, გამოხატე საკუთარი თავი. გამოხატე ეს ნუთი, სანამ დაგინწყების მდინარე წაიღებს. ის ყველაფერს წაიღებს, ეს დრო აღარ განმეორდება. იარე, ამაღლდი და გამოხატე საკუთარი თავი. ამაღლდი ყოველდღიურად, გამოხატე.

არ დაგცეს, არ შეგაშინოს შეცდომებმა. თუ დაეცე, როგორც დიონისე არეოპაგელმა, აიღე მოკვეთილი თავი, გადადგი ნაბიჯები და ტაძართან დაეცი.

იქ დაცემაც და ადგომაც გამარჯვებას ნიშნავს.



ოლესია თავაძე

## გ ა ღ ა მ ც ღ ა რ ნ ი

(ფრაგმენტები წიგნიდან „სევდიანი ჩანანერები“)

(დასასრული. დასაწყისი იხ. N1)

### სვანი

სიზმარშილა ხედავს ნაკრას, თავის სახლს, თავის კარს, თავის ციხე-კოშკს. ძილ-ღვიძილში გულს გააყოლებს, ხელს შეავლებს და გამოღვიძებულზე ხელში დღევანდელი შერჩება – სხვა ზვინები, სხვა სათიბი, სხვა მთა-გორიანი. არც სვანეთის მუჟავე წყლები, არც მწვერვალები. ვაჟი – სპეცნაზში, ქალები – ქალაქს. დიდი კაცი, ნაძერნი თავით, ლამაზი, დაულალავი ტორებით, ამაყი სვანი, ენაძუნნი და გულმაგარი, ჭაპანს წევს და სიზმარში ნაკრას ხედავს. მაგრამ თუ გადაუხვეტავი თოვლისგან სახურავჩაქცეული სახლის ზალაში ჩაღწეული ფანჯრიდან გადაზრდილი ვაშლის ტოტი ახსენდება, შუა ოთახში მნიფე კიტრა ვაშლებით მსხმოიარე – ცრემლი ერევა და მოთქმით ტირის სვანი, ლამაზი თავით ბალიშჩარგული.

### სკლეროზი

ოლლა 99 წლის იყო, რომ დაქვრივდა. სალ-სალამათი, ჯანმრთელი, მაღალი, ხმელი, სრულ ჭკუაზე, მართალი და ბოროტი. გიორგი 105 წელი ყოველდღე გამთენიას იღვიძებდა, ასმეხუთეზე მობეზრდა, დაიღალა და უბრალოდ არ გაიღვიძა.

ოლლა იმ დღიდან ერთიანად ჭკუას გადასცდა – სკლეროზი დაემართაო. სულ დადიოდა, დადიოდა და სულ – გიორგისთან მივდივარო. გიორგი შორს კი არ იყო – შუკის გადაღმა, სოფლის სავანეში. შვილებმა, ოლლა მისახედაო, და თბილისში ჩამოიყვანეს. აქაც იგივე სჭირდა, – სკლეროზი. რას ჭამდა – არ ახსოვდა, ვისთან იყო – ვერ ცნობდა. სულ გიორგისთან მიდიოდა, გაიპარებოდა და ტრამვაის გაჩერებაზე მთისძირში მიმავალ ავტობუსს ელოდებოდა. ან რა ექნა, თბილისში მანამდე ერთხელ ნამყოფს (რიონი ბორნით რომ გადმოვიდა, ქალაქს სამზითვეს საყიდლად). დაიჭერდნენ ოლლას, დააბრუნებდნენ, და ისევ გიორგისთან მიდიოდა. ორმოცის თავზე

ფოტო ლიკა მიქაძისა

წავიდა კიდევაც თავის გიორგისთან. არაფრით არ იქნებოდა ეგ სკლეროზის, უბრალოდ ჩვენ, ჭკვიანებს, ამსიგრძე სიყვარულის არ გვჯერა და იმიტომაც არ შეგვიძლია.

### კენჭები

– ჩვენ სოფელში, მუხურაში, სიზმარი უნახია ბაბუამისს. ძინავს და ძილში ვინცხა ეუბნება: იქინე, ბიჭო, მუხის ძირში, სამ მტკაველზე ჩადიო, ამოთხარეო, შითე კენჭებია ყუთში, წამალია მაიო, ამეილეო. წამდვილი ყოფილა. პატვრანე ყუთი ამეილეს, ნაირ-ნაირი კენჭებით სავსე, ბრდღვიალი გოუდიოდა, იმფერი კაი იყო. მის მერე, მისიანები მაი კენჭებით წამალს აკეთებენ. წყალის თავზე მაი კენჭებს ერთი-მორეზე უქლაქუნებენ, ქე რომ ფქვავენ, იმფერად. შიშის წამალია, შეშინებულის. თან შეგილოცავს, თან მაი წყალს დაგაღვევიებს. წეი-ყვანე მაი გაჭირვებული, სანამ არ გეილია მაი კენჭები. უშველის, წამდვილია. უი! დევიზაფრე, რაცხა გაფხაკურდა, იგი იქნება ჩვენი ვარიები რო დაბდღვანა. შევიდეთ შითე, რაცხა პანა აცივდა.

რამხელა წარმართული ხიბლი აქვს ამ კენჭებს... როგორ გვჭირდება ლამაზი ზღაპრები, დუნიაზე უშიშრად, საიმედოდ...



### ბაცაცა

ბარსელონაში მარტო „ბარსელონა“, გაუდი და მიროს მუზეუმი კი არ არის, ბაცაცებიც არიან. ჩამოსულებს აფრთხილებენ – ფრთხილად იყავითო, ყურადღება არ მოადუნოთო, ჩანთები მაგრა გეკავოთო, ხელი არაფერს გაუშვათო! ფრთხილად ხარ და ბედნიერად. ყველაფერს დაესწრები, აღიქვამ და ზღვის სანაპიროზე „რელაქსისთვის“ მიიჩქარი, ზღვის ინტერნაციონალურმა სივრცემ დაგამშვიდოს, დაგალაგოს. კოლუმბის ძეგლთან ზიხარ და ფეხზემდგომს გაკვირვებით უყურებ. ვალმოხდილი ქალის ფეხზე დგომა, უკიდურესი აღფრთოვანებისაა. ჩანთიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, სანთებელა, ნებიერად სიგარეტის მოსაკიდებლად, ჩანთა ფეხებს შუა გაიკვება, წვივები მოუჭირა და კაიფით მოუკიდა. ბაცაცა ზურგის მხრიდან მიეპარა, ელვისებური სისწრაფით ჩანთა ფეხებიდან გამოგლიჯა და ისეთი სიჩქარით გაიქცა, „ბარსელონას“ თავდამსხმელი ვერ დაენეოდა.

ქალმა ესპანეთის დანარჩენი დღეები ბარსელონის პოლიციამი გაატარა. ჩანთიანად, ფულიანად ვიზაც და დოკუმენტებიც წაიღეს. პრეტენზია ერთი ჰქონდა – ფეხი არაფერს გაუშვათ, არ გითქვამთო! წვივი მაგრა მოუჭირეთ, არ გაგიფრთხილებივართო!



## ნალკოტი

– რა ნალკოტია! – იკვივლა მანქანიდან გადმოსულმა ქალმა. ჩემი მეზობელი იყო ათი წელი. თავის ნალკოტს პირველად მოაკითხა.

– ეს რა ნალკოტია! – კიდევ ერთხელ დაიყვირა და მანქანიდან ორი თხა გადმოიყვანა.

ერთმანეთს გავეცანით. შიში ვერ დავმალე, მეგონა ეს ორი თხა ჩემს თვალწინ უნდა დაკლულიყო ფუძის ანგელოზის სახელზე. უცებ ვერაფერი შევბედე – თავისი სახლ-კარია ბოლოს და ბოლოს, და უფლებრივ შარის მოსადებს ვექებდი. ამასობაში, მეზობელმა ორივე თხას ბანარი შეაბა და მდელიოზე სასეირნოდ წაიყვანა. სალამოსკენ, უკვე შიშის ზარი რომ მცემდა, ორივე თხა ისევ მანქანაში ჩასვა და ქალაქში დააბრუნა. მის მერე სააგარაკოდ, თავისი ნალკოტის სანახავად ჩამოსული, არც თხებიანად, არც უთხებოდ, არავის უნახავს.

ვაკის პარკში კი, ამბობდნენ, ხშირად ნახულობდნენ თავის თხებთან მოსეირნეს.

## თანატოფობია

ათასნაირ ფობიებში თანატოფობია ყველაზე გასაგებია. აბა ობობას და ბელურას შიშია გასაგები? ჰოდა, ზოგჯერ ამ თანატოფობიის უქონლობა, ცოტა არ იყოს, უკუფობიად გეჩვენება (თანატოფილია?). იმას ვყვები, აგერ რო თხებიანმა ქალმა იკვივლა – ნალკოტო, – ბევრიც არ შეშლია. განონასნორებული, პასტორალური განწყობისთვის მთაგორიანის ადამიანური მასშტაბი და ფლორა ყველაზე მოსახდენი ყოფილა. თრიალეთიც ეგეთია: კალთები ზომიერი, ალერსიანი, ხასხასა, მზის სხივებზე გამჭვირვალე სიზურმუხტე, სიჩუმე და ნეტარება. და ამისთანა ნალკოტში გადმოაგდო (მე მეგონა, ნებით) თურმე უბედობამ, ჯეჯგვი, რუსი მუშა. მეზობლად სახლს აშენებდა, ცემენტს ზელდა, ბეტონს ასხამდა, და დროდადრო ხუთსართულიანს იგინებოდა (რუსულად). მუშა-კაცის გინება არ გიკვირს, და მის ხუთსართულიანს ზოგჯერ ნოსტალგიური გაგებითაც კი ვისმენდი.

– ალბათ დაილაღე, დაისვენე! – ერთხელაც (რუსულად) გამოველაპარაკე.

– რა დამლის, მადამ, ეს რა საქმეა, ეგეთი მიკეთებია! (რუსულად მიპასუხა), სიტყვას სიტყვა მოჰყვა, დავუყვავე:

– ამისთანა სილამაზეში ხარ, ბუნება ყვავის, ჩიტები ჟღერტულებენ, შენც, არ ვილღებო, ნერვებს რაზე იშლი, შეირგე ნალკოტი! რუსეთში ასეთი ბევრი არ არის, საიდან ხარ?

– დონბასიდან ვარ. ძალიან კარგადაც ვიყავი (ერთი შეიკურთხა) მილიციის დედა (შეიგინა), თორემ აქ რა მინდა (შეიგინა), ამ ჩიტების და ყვავილების (დედის დედაო), იმისთანა სამსახური მქონდა, ერთი იქ დამაბრუნა, ჩემი ბედის (შეიგინა). მეტი არაფერი მინდა.

გავშტერიდი. პროფესიით თურმე (დონბასში რა იქნებოდა!) მე-

შახტე ყოფილა, *дальнепроедец*-ი, ქე რომ მიწის ქვეშ, გაჭედელში ძვრები, უკან „ზადნით“ მოდიხარ (შეტრიალების შანსი არ არის), შუბლზე ფანარი, ხელში კირკა, პირველმთხრელი ხარ, ან გამოხვალ ან არა, ან დაგექცევა თავზე მიწა, ან არა, და ამ ქვესკნელში *зайди*-ს აკეთებ, ანუ თხრილს რალაციტ ამაგრებ. ენით აუნერელი, ნალკოტის ოპოზიტი – ჯოჯოხეთი! და ეს ყველაფერი *Sponte sua, sine lege!!!* (ანუ შენი დილიხორით).

იქიდან ამოსულს თრიალეთის ნიაგზე, იქაურობა გერჩიოს, ბოდიში, მაგრამ სუფთა სიგიჟედ მეჩვენება. ან, ეგების, თანატოფობიაც მე მჭირს და გიჟიც მე ვარ?!



### ინდოეთის მათხოვრები

გაჭირვებით თავმოყრილით ინდოეთს რომ გაემგზავრები (ლამის ფეხით), იქ როგორ განუწურაქდები, წარმოიდგინეთ. უკან დასაბრუნებელს აზიხარ, თორემ, იქ მათხოვარი იმდენია, რომ რალა შენ გაგიჭირვებენ. ამიტომაც და იმიტომაც, მათხოვრის არც მისაცემი გაქვს და არც აძლევ.

გაჭედელი მატარებლის ვაგონში, მგზავრები კედელს ასრესილები რომ არიან, ერთი მეორეს მიყოლებით, მცირე ინტერვალებით მათხოვრები ეტენებთან, სამათხოვროდ, არა სამგზავროდ. გეგონება, მგზავრებს მორიგეობა ჰქონდეთ დაწესებული – არცერთს მონყალების გარეშე არ უშვებდნენ, ვილაცა აუცილებლად გაიღებდა. ეგრე ჩემი ჯერიც დადგა – მათხოვარი თავზე დამადგა და თავისი მოითხოვა. არც ქართული ესმით, არც ჩიქორთული, „არა მაქვს“ კი, ძნელი მისახვედრი არ არის – მხრები ავიჩიჩე. ქალი შეჩერდა, თვალეში ჩამხედა, ამოიოხრა, კეფაზე ხელი დამადო, თმებზე გადამისვა და თან ტკბილი ბუტბუტი მოაყოლა. ასე გაჭედელში თუ მოიძებნებოდა გაჭირვებით მთარგმნელი, და იმან მითარგმნა:

– არ იდარდო, შე სანყალო! შენც გადმოგხედავს ღმერთი. მიენდე კრიშნას – სულის სიმშვიდეს მოგფენს და მისი წყალობით, შენს ბოდიალსაც ბოლო მოეღება.

### თბილისის ზღვა

თბილისის ზღვა. ფარავანი თუ ტბაა (ბაიკალზე აღარ ვამბობ), თბილისის ზღვა ზღვა რატომაა, ცოტა გაუგებარია. ეგ არა უშავს, სხვას თუ მოიწონებ. არა, დასანუნი არ არის, მაგრამ მოწონებას მეტი უნდა. ხელოვნურად ჩასხმულს ცოტა განწყობა აკლია. ერთი შეხედვით, ცოტა ფარავანსა ჰგავს, მაგრამ იქ სული ტრიალებს ღვთიური ჩანაფიქრისა, აქ კი, შორი-ახლოს, უსახური კორპუსები თბილისის განაპირის, გაჩეხილი ბალები, არცა უდაბნოს იდუმალეა, არცა შავი



ზღვის ხუჭუჭები. ეს ისე, გარეშე თვალთ, თორემ ბევრიც იწონებს, პლაჟებად იყენებს და მინებსაც ირიგებს. ზოგს კი უბრალოდ აქ უწევს, შეხვდა, ბედისწერისაა. აგერ, შავიზღვისპირელებს ამ სანაპიროზე მოუწიათ ცხოვრება, ყოფილი საჯინიბოს გრძლივ, გაბოლილ ნაგებობაში. უარესსაც გიჩვენებენ – ელექტროჯიხურს, ფეხზე დაყენებული კუბოს ფორმის და ზომის. ახალჩამოსულზე ამაში ექვს კაცს უცხოვრია (ალბათ იმათაც ფეხად). იუმორი მშველელია – ჯიხურს მისამართი აწერია. იმის იუმორს, თბილისის ზღვის მრკალავ გზას რივიერა დაარქვან, ვერ მოსთხოვ, რაზედაც იმყოფინეს, ისიც მეტია. იმედიც ჰყოფნით. ჯიპებით მოსულ იაპონელებს ვინრო თვალეში შესცივინებენ შველის დაულალავი მოლოდინით. ეს აქ დაბერებულები, თორემ აგერ, აქვე, იაპონელების ფერხთ, ბალახზე ბიჭები უდარდელად ჭიდაობენ, არც იაპონელებს ამჩნევენ, არც გაძვალტყავებულ ძალს. ჭიდაობენ, იცინიან და ეს სიცილი ნამდვილია, უშიშარი, კაცი აქაც დადგება თუ უფრო თავისი, ღვთისა ირწმუნა, ვიდრე მომსვლელისა და დამპირებლის. ცხოვრება კი არც ჩარგალში ულხინდათ, და, მგონი, არც სადმეა დალხენილი...

### დედა-შვილი

ის დედა-შვილი კუს ტბის ქედზე მაშინ გავიცანი, ჯერ რომ იქ არც ნაგავი ეყარა, არც ტბის ნაპირები იყო დასაკუთრებული, არც ტბის ირგვლივ დარბოდა ნარჩევი საზოგადოება. არასაყოველთაო უცნაურია ხოლმე მარტო მაგიტომ, და ამ შემთხვევაში კი დედა-შვილი ცოტა უცნაურები ისედაც იყვნენ. კუს ტბის კალთებზე უფრო იგუებდი, ვიდრე შუა გრიბოედოვის ქუჩაზე, ქართული წიგნებითა და ჯო დასენის ფირფიტებით გავსებულ უღარიბეს ოთახში. დედას საქართველოს იქით არაფერი გაეგებოდა, ბიჭს კი ჯო დასენი უყვარდა, იმდროინდელი ტკბილმომღერალი ფრანგი. დედის ანთებული ქართველობა და შვილის ფრანგი შანსონიეს სიყვარული ცოტათი გულმტკივანიც იყო – ერთმანეთს მიჩერებულებს, უნარმომავლოდ, უნარსულოდ, უმომავლოდ, მარტო სულიერება კვებავდა.

იმ დროს იყო, მესხეთის ძირძველი სოფლების მოსაბრუნებლად ქვეყნის მზრუნველებმა ქართველებს რომ შემოუძახეს იქ, მესხეთში წასასვლელად და დასამკვიდრებლად. უცნაურად გავიგე, რომ იმ დედა-შვილის გარდა, თბილისიდან წასვლის სურვილი არავის გამოუთქვამს. ქალაქშიც აღარ ჩანდნენ, იქაც, მარტო რას გახდებოდნენ. დავიჯერო, ჯო დასენის ქვეყანაში წავიდნენ?..

### მოხუცი

ბაზრის რია-რიაში ბაზრის კიბეებისკენ ერთი ბენო, დაუჯერებლად პატარა მოხუცი ქალი პატარ-პატარა ნაბიჯებით თავის ადგილზე მიიჩქაროდა, ჩამოსაჯდომად, ხელგასანვდენად. ზაფხულშიც



პალტოჩაცმული, წელში ისეთი მოხრილი, ისეთი მოკაუჭებული, რომ სიმაღლის გასაზომად სიგრძე ფეხიდან ზურგის წვერამდე უნდა აგელო, ცა რომ დაგენახებინა, ზურგზე უნდა გადმოგეგორებინა, ზემოდან მარტო ზურგს ხედავდი, სახეში ჩასახედად უნდა ჩაჯდომოდი და თუ ჩაუჯდებოდი და ქვემოდან სახეს ახედავდი – არასდროს დაგავინყდებოდა...

გავუჩერდი, დავიხარე, ჩავხედე... ხურდა არ მქონდა, ოცი ლარი მებევრა. ალბათ მე უფრო მიჭირდა...



### მონაზონი

ნამდვილად ლამაზი ქალი იყო, ნამდვილად. ოღონდ ეგ კაცებთან არ უნდა გეთქვა, მაგათ გამოუყენებელი სილამაზის აღქმა არა აქვთ, ძალიან ცოტა ვინმეს თუ დაჰყვა... ჩაცმაც ნამდვილად ლამაზი იცოდა, მოურიდებელი, მხატვრული. თავნაკრული, ჩაჩაჩული, გახვეული – ყველანაირად ლამაზი იყო მისი ჩაცმა, ავადმყოფობითაც ნაკარნახევი. არც ენები იცოდა, არც ქართულს უფრთხილდებოდა, აბდაუბდად ლაპარაკობდა, გულისას კი გაგებინებდა. მისი განდევილობა ზოგთან მედიდური იყო, ზოგთან ცხოვრებისეული, ზოგთან ტკივილიანი და მხატვრული. მხატვარიც იყო. ავადმყოფობით მოქანდაკეობას რომ ველარ მოერია, ხატავდა და ხატვა მისი გულის მოსაშუშებელიც იყო და რწმენის განმამტკიცებელიც. ბუნება უყვარდა, ბუნებასთან მისვლას ავადმყოფობა უშლიდა, თავის ირგვლივ კი იკრავდა, ეფერებოდა. მისი აივნის წინ, შუაგულ ქალაქში, სკვერის ევროპულად მოვლა რომ მოინდომეს და სარეველებსა და ყაყაჩოებს ძირკვავდნენ, ქვემოთ რომ ვერ ჩადიოდა, თავისი აივნიდან უყვიროდა:

– ბოსტანი უნდა გააშენოთ? ყაყაჩოებს რას ერჩით! კიტრი გირჩევნიათ?!

თავის სამეგობროში პირველს უმტყუნა გულმა. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მცხეთის დედათა მონასტრის ეზოში დაკრძალეს, რჩეულთა ადგილას. ვიცოდით, ეკლესიის მსახური იყო, მონაზონიც რომ იყო, მერე გავიგეთ... მისი ნამუშევრები საპატრიარქოს საცავში ინახება. ყაყაჩოები შუაგულ თბილისში აღარ იზრდება.

### ქრისტეფორე

ფარავანი დიდია, მშვიდი, ყველას განბანს, მონათლავს: ქართველს, სომეხს, დუხობორს – ცივია და განურჩეველი.

ქრისტეფორე! ხალხში დარბის, ირევა, პრინცად ქცეული მდაბიო. იფერებს, უხდება ტანზე შავები, თეთრი ფეხსაცმელი, თეთრი შლაპა. პლასტიური, გრაციოზული, გრძელი მკლავები, თხელი მტე-



ვნები, თლილი თითები, ნუშის თვალელები – შავი, წყვდიადი, და თეთრი ცხვირსახოცი.

ქრისტეფორე! ტრაპეზი: ჯური, ჰაცი, პანირი, გინი. ვაზის ფოთოლი და ტოლმა, ტოლმა. შია, ტოლმა მუშტში უჭირავს, მკლავებზე ცხიმი ჩამოსდის, ტოლმიანი თითით ცხვირს ინმენდს, ფრჩხილები შავი, სახე ცხიმიანი, თეთრ შლაპას იხდის, მრგვალი, არიული თავი, შავი თმა, ტოლმიანი ხელით თმას ისწორებს, სცივა, გალურჯდა, ვერ გრძნობს, მიჩვეულია, ფეხსაცმელს დახედა, თეთრი ცხვირსახოცი გაინმინდა.

ქრისტეფორე! დღეს პრინცი, ხვალ მდაბიო! ისევ სანაგვე, ცარიელი ბოთლები, სიცივე, უღიმღამო ქალაქი, ლოთი დედა. არც თეთრი შლაპა, არც თეთრი ფეხსაცმელი, არცა ტრაპეზი, არც ვაზის ფოთოლი, არც თეთრი ცხვირსახოცი.

ქრისტეფორე!

ფარავანი დიღია, ცივი და განურჩეველი, ყველას განზანს, ყველას მონათლავს, ყველას დაიტევს.

## ბეთლემის ვარსკვლავი

მოკლეა ჩვენი მეხსიერება. ერთი თაობის წყვეტაა საჭირო, რომ ყველაფერი დროს ჩაბარდეს. ტოპონიმები თუ შეგვინახავენ წარსულის კვალს: შახტსტროი, იმელი, ანდროპოვის ყურები, კიროვის პარკი – იმ დროის კვალია, როდესაც კიროვი ვინ იყო, ბავშვმაც კი იცოდა და იოანე ღვთისმეტყველი მაშინდელმა კი არა, ბევრმა დღევანდელმა მორწმუნემ ნათლად არ იცის.

სწორედ იმ დროს იმელის შენობასთან ანდროპოვის ყურების მიმართულებით ქალი მიდიოდა, წელში მოხრილი, ზურგზე ჯვარმოკიდებულივით, პირველ შეხედვაზე ეგრეც იფიქრებდი, ჯვარი გეგონებოდა, და ჯვარიც იყო – დამბლადაცემული შვილი. ყველა დროის ნორმალური ობივატელი ზურგზე კაცმოკიდებული ქალის დანახვაზე ავარიას, უბედურებას იფიქრებდა. ასეც ფიქრობდნენ და მანქანებს უჩერებდნენ. ქალი მანქანაში არაფრით არ ჯდებოდა. მაღლიერებით უარს ამბობდა. რუსი იყო და რუსულად პასუხობდა:

– Спасибо, сынок! Недалеко иду, к Иоанну Богослову. Сказали, близко это.

რუსთაველიდან კიროვის პარკამდე რა გაუჭირვებდა (სადაც თურმე იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია ყოფილა), როდესაც შუა რუსეთიდან, ასე, ფეხით, შვილმოკიდებული მოდიოდა. მოდიოდა წმინდა ადგილებში, წმინდა ტაძრებში, ლოცვა-ვედრებით, რწმენით სასწაულქმედი ძალისა, იმედით შვილის ფეხზე დაყენებისა.

– Где придёт сынок, спим на паперти. А хлебушек? Люди добрые везде есть. Христос за нас понёс и мы снесём. Храни вас, Господи! ასე დაგლოცავდა, და გზას ადგებოდა, თავისი ცხოვრების გზას. ასეთი

ტერტულიანესებური აბსურდი რწმენისა თუ რწმენა აბსურდისა თუ შეგაძლებინებს შეუძლებელს, თუ დააყენებს ფეხზე დამბლადაცემულს. ჩვენ კი იმ დროშიც და ყველა დროს შეგრძნება გვექონდა, რომ იქით, მთის გადაღმა არ გვახედებენ. და ეს „მთის გადაღმა“ – ცა ყოფილა ჩვენს თავზე და ცაზე ბეთლემის ვარსკვლავი.



### გიჟი მარინა

სოლოლაკის ქუჩების გზაჯვარედინზე, მანქანების სავალ გზაზე ზის ქალი, სახლიდან გამოტანილ ზურგიან სკამზე, მხედარივით ფეხგამლით შემომჯდარი. ცალი ხელი კვერთხივით ყავარჯენს ეყრდნობა, მეორე – ლარივით გასწორებული, მათხოვრობს, უფრო „მოთხოვრობს“ („მოთხოვნის“ სემანტიკიდან გამომდინარე). გზისგასაყარის მესაზღვრეა, მეხარკე, ცნობიერი და ურცხვი. სირცხვილისაგან სახენაფარებული მათხოვრობა, ფეხთ ბეჭდური ასოებით დაწერილი ახსნა-განმარტებითი ბარათით, მარინას არ ეკადრება, არც სჭირდება – ყველამ იცის ვინ არის „გიჟი მარინა“. ჯერ კიდევ ბევრს ახსოვს კინოთეატრის სიბნელეში მისი გოეთესებური შეძახილი – შუქი ანთეთ! ანთებული შუქი და შუაგულ დარბაზში ქალი, ღვინით სავსე ჭიქით ხელაღმართული, ახსოვთ მისი დამლოცველი სადღეგრძელო, ისევ შეძახილი: ეხლა ჩააქრე! ჯერ კიდევ ახსოვთ მისი ბოზობაც. საზღაურისას კი თვითონ მოგიყვება გზაგამოვლის დიდაქტიკური სიბრძნით.

მისი თანამდევნი მის თანამოღმებლებს თუ ახსოვთ, თორემ ღერძული ფეხმოტეხილსაც არ გასტყდომია.

ამაყია, შეუვალი თუ მართლა გიჟი?

### რუსი

ვინმეზე თუ თვალი შეაჩერე, უკვე ურთიერთობები გილაგდება, და თუ ერთსა და იმავე ადგილზე გხვდება, იცი რომ დაგხვდება, უკვე ჩათვალე, რომ იცნობ. აგერ რამდენი წელია პეტრიაშვილის კუთხეში სათნო უმოძრაო თეთრი რუსი ქალი ზის, კალთაში ჩახუტებული მშვიდი ბავშვი უზის და ცნობ, იცი რომ სამსახური არა აქვს, ფერი არ ადევს, საჭმელი უჭირს, წამალი, ბავშვს გამონაცვალის აცვია, ნაპოვნ სათამაშოს ათვალეერებს, იცი ან მარტოხელაა, ან კიდევ უარესი... შენს ფიქრს იკავებს, ზოგს ხვდება, ზოგს იგონებ. შეეგუები. და ერთბაშად – მეორე ბავშვიანად დაგხვდება. ეგეც თავისია თუ შეაჩერეს? რუსი დარდიანია, დარდს რაღას იმატებს. ღიზიანდება, მეორეს ჩააცქერდება, ესეც უფრო, ჩუმი. დრო გადის, თავისას შვრება. იცი, ორი ჰყავს, მაგრამ ცოტათი ღელავ, მესამეს ხომ არ ელოდება?



## ქართველი

როგორ ვახსენო ამ მიმართებაში ქართული სიმღერის ღვთიური ჰანგები, როგორ წარმოვთქვა ქართული ნიჭის სახელი – ჰამლეტი?! მაგრამ მისი სახელიც ხომ ყოფნა-არყოფნას ეთამაშება და, ბოლოს და ბოლოს, ყველა ხომ ამ ქვეყნის შვილები ვართ. არა სადმე სხვაგან, არამედ საქართველოს შუაგულში, რუსთაველის მოედანზე ქართველი ბიჭი ზის, ყველაფრით ნაკლული, სმენითაც ნაკლული, ჩონგურზე უკრავს, დოღზე ფეხს აყოლებს და ქართულს მღერის, თავდავინყებით, თვალეზღაბუჭული. მისი შემოსავლისაა ეს სიმღერა, მისი გაჭირვების. მაგრამ ქართველის ცხოველმყოფელი, მზიური ბუნება თავს იჩენს, იმარჯვებს, და მღერის ქართველი, ემღერება, მოსწონს სიცოცხლე, ნამღერიც, ნათქვამიც. ბედნიერია! ხრჩობის ბურთი ყელში გებჯინება, და არ გესმის, ვის დარდობ, ვისზე გეტირება.

## ოფელია

კარგა ხნის წინანდელ ამბავს გიყვებით. მაშინ თქვენსელებს გაგებაში არ ჰქონდათ ბევრი რამე, ეჭვი მაქვს, რომ არც ის იყო გაგებაში, რა სჭირდა.

კუს ტბის ფერდობზე, თბილისისკენ გადმოსახედზე, ახალგაზრდა კაცი იდგა, ქალის გამომწვევი ჩაცმულობითა და პარიკის ვარცხნილობით, მაღალქუსლებიან ფეხსაცმელზე ბანჯგვლიანი ფეხით შემდგარი. ხელში სარკე ეკავა და ტუჩებს წითლად იღებავდა. მარტო იყო, ირგვლივ არავინ. ძალღს მოვქაჩე, გავუჩერდი. ამაზრზენი მიზიდულობა მერე გავაცნობიერე, მაშინ კი სიტუაცია ჩემებურად დავალაგე:

– იგვიანებენ? – შევეკითხე.

– ჯერ არსად ჩანან, – მიპასუხა და გამომწვევად ჩულქი გაისწორა. მოძრაობა არტისტული იყო და დავრწმუნდი, რომ სწორ გზაზე ვარ.

– ჯგუფი, გადამღები ჯგუფი იგვიანებს, არა? რა როლს თამაშობთ?

– ოფელიასი, – მითხრა და უნმანურად ჩამიკრა თვალი.

ისეთი უცნაური დრო იყო – კაბუკის თეატრი ვიცოდი, ოფელია ორივეს გვცოდნია, ტრანსვესტიზმზე კი – არც ერთს.

დღეს, მგონი, პირიქით არის.

## ქურთი

უნივერსიტეტის ეზოში ბიჭები ხორხოცებდნენ, ლუდმა ააქოთ-ქოთა, თავისი მოყვენენ, სხვისას გადაუარეს, ნათესავ-ნაცნობებს მისწვდნენ:

– მაი გოგო, ქე რომ შენ მოგწონდა, გათხოვდა. მაი აფერი, მერე თქვი. ქორწილია, ქალოურს გადოუხადეს, ქუთაისში. ქვეყანაა, სიძეც იქინია, ნეფე-დედოფალს თავი დაადგეს, სიძისას ყვებიან – თბილისელიაო, კაი ბიჭი, კაი დედმამიშვილი, ქურდიაო, გეიგე – სიტყვა ეთქმისო, აქოურსაც მიგვიხედავსო. კაი სვეს და კაიც ჭამეს. ჭამეს, მარა რა ჭამეს, რო იცოდე – ქურდი კი არა, ქურთი ყოფილა მაი უბედური, კამაზის შოფერი. რო გეიგეს, რო ტყუცეს თავში, რო გეიგდეს ლაჯებში, საციხო არ ქნეს, თვარა... გამეეპარათ. ქალი ისვლე საშენო დარჩა, თუ არ გააბახეს.

ამას მოყვენენ, იცინეს, ჩაბჟირდენენ, პლასტმასის ქიქა-ბოთლები იქვე მიყარ-მოყარეს და უნივერსიტეტში ლექციაზე შელაგდენენ.

სწავლა-განათლება დაინყო.



### მშიერი

ქელეხი რუსთაველზე, ლალიძის წყლების ერთ-ერთ დარბაზში მიმდინარეობდა. ქართველი უქონელიც უკანასკნელს გაიჭირვებს და არ შერცხვება. აქ კი მეტზე მეტიც იყო. სუფრაზე სართულეზად ელაგა ყველაფერი, არამარხვაში რაც გვეჭმევა. კუჭი რომ დამძიმდება, ჟანგბადიც მაშინ გახსენდება. გარეთ გამოვედი, ქუჩაში. დარბაზის გვერდით ფანჯრები მიწის პირზეა, თუ გახსოვთ, და რა ძნელი გასახედი იყო იქით, როდესაც ფანჯარას მიკრული კაცის შიშნარევი მუდარიანი მზერა მძალავდა. შევხედე და ჩავიკეცე, მის გვერდზე, პირი-პირს.

– შნირი არა ვარ, детдомовский я!

ასაკს ვერ იტყოდი. ვერც ეროვნებას. ორივეს ქუჩურად ამტვრევდა – რუსულსაც და ქართულსაც.

– გშია? – შიშიან თვალეზში იმედი გამოკრთა. თავი მორცხვად, ჩქარ-ჩქარა დამიქნია.

ჩემსას არ გეტყვით, უბრალოდ, რაც ხელს გამოვაცოლე, ის გამოვუტანე.

როგორ ჭამდა, ორივე ხელით, ლუკმით პირს როგორ ილესავდა, მაღლიერებით ამოხედვა როგორ არ ავინყდებოდა!

რა გამოისყიდის ჩვენს სიმამლრეს, უფალო?

### კვაზიმოდო

ახალგაზრდა კაცი – კაცი იყო, კაცობით, ძმაკაცობით, გაგებობით, რომელიც საძმოს შეგქენს გამტანს და გამგებს, და რომელმაც შესძინა კიდევაც საძმო.

სხვა კი არა ინება ბუნებამ. რომელი ერთი, როდესაც ერთ-ერთიც გეყოფა მთელი ცხოვრების წასამწარებლად – პატარა, თეძოებამოგდებული, ხელფეხმოკლე...



კახეთის კვაზიმოდო, კახეთის პეტრუჩიანი, აბსოლუტურად, სრულიად უიმედო. მარტო გული. არცა დაკვრა, არცა სხვა რამე მუსიკობანი სიყვარულის საიმედოდ. ძმაკაცებს კი უყვარდათ, პატრონობდნენ და ეფერებოდნენ. ძმაკაცობაში ის ნუთიც დადგა, როდესაც კახელმა ბიჭმა, – ქალი როგორია? – იკითხა.

ბიჭები, კაცები, საძმოდ, სამეგობრო – ყველა ფულს ჩამოვიდა, შეაგროვეს და თბილისიდან ქალი, ლამაზი ქალი ჩამოუყვანეს.

რას გადაგვინყვეტს სალხინობელი?

### ენტუზიასტი

მოუსვენარი კაცი იყო, იდეები ანუხებდა – რახან დაიბადე, ჭამა და სიკვდილი არ აგცდებო. ჭამა მიხედულია, სიკვდილს მე მივხედავო, პლასტმასის კუბოები მაგარი პროგრესულიაო. გეგმები დაალაგა, გაიკითხ-გამოიკითხა, აწონ-დანონა, მიდგა-მოდგა. წამონწყებული სახლის რკინა-ბეტონი, კარ-ფანჯარა და ჭერ-იატაკი დააკონსერვა (გამდიდრებულზე უფრო დავამთავრებო). ამასობაში დრომ ფერი იცვალა. პლასტმასის წარმოება გაიყინა, ხე-ტყის ჭრა შეწყდა, იარაღი საქმეში გავიდა და სიკვდილმა იმატა. სიმწრის დღეები დადგა, უზომო სიმწრის. იყო ერთმანეთის კვლა და იყო გატანაც ერთი მეორის. კაცმა უბნის ნაცნობ-უცნობ ჭირისუფალს არავის უთხრა უარი. მისმა ჭერ-იატაკმა გაიტანა და მიაბარა ბევრნი – ძველებურად, ჩვენებურად.

ნაომარზე, ჩამცხრალზე, სიკვდილზე ფულის კეთებამ უზნეობის, ცოდვის ელფერი დაიდო, არც მერე გაჰქრობია. კაცმა საქმეზე ხელი აიღო.

სახლი დაუმთავრებელი დარჩა.

ქვეყნის ამბავი დალაგდა.

ხე-ტყის ჭრა აღდგა.

### კვერცხის გული

ღარიბი ინდოეთის კუზიანს, ყურძნადასხმულს, ცხრაფრად დაკეცილს, სამსახური დაჰყვა – სიმახინჯე აჭმევს. უბრალოდ, მშვიერმა უნდა გაგაგებინოს, გთხოვოს. ეს ორნი, გოგო-ბიჭიც იმიტომ მოგისხდნენ მაგიდის ფეხთან, ასფალტზე და თვალეში შემოგცქერიან. საუზმე – თოთოდ შემწვარი კვერცხი, ჩაპატის ნაჭერი და პაკეტის უხიფათო წყალი – ყელში არ გადაგდის. კვერცხიან თეფშს ბავშვებს უწვდი და სკამის ზურგზე მისვენდები. ბავშვები კარგად მოკალათდნენ, თეფში მუხლებზე დაიდეს და აჩურჩულდნენ. მერე ძახილი და ხელების ქნევა დაიწყეს. შორიდან, ქუჩის ბოლოდან პატარა მუხლუხო მოგორავდა – წვინტილიანი ტიტლიკანა, მოკლე პერ-

ანგის ამარა. მოიღვინა, შუაში ჩაისვს. გოგონამ პატარა გაშლილი მტევნის ნიბოთი კვერცხის გული ზუსტ სამ ნაწილად გაყო და აუჩქარებლად ჩაყლაპეს.

ცხრა ძმის გაყოფილი კაკლის გული მეტაფორა არა ყოფილა. ინდოეთში, საჭმელს ხარბად დანაფებული ინდოელი არ მინახავს.



### მძივები

განგის ნაპირას ინდოელი ქალი ჩხარა-ჩხურებით ვაჭრობდა – მძივები, მძივის ქვები, ძენკვები მინაზე ჰქონდა გაშლილი, ჩითის ნაჭერზე. გვერდზე სამი ერთიმეორეს მიყოლებული პატარა მტვრიან ასფალტზე გორაობდა. თვალებით მანიშნა, ჩემებიაო, საშნოდ დატუქსა და გამიცინა. მძივებს კრიალოსანივით თითებში ვშლიდი, ვეფერებოდი, ზოგ ქვას შუქი გაუდიოდა. ქალის მხარზე შეხებამ ამ ფრიად ვნებიან საქმეს მომწყვიტა – აი კიდეც ერთიო – და სიამაყით სკოლიდან ახალმოსული ბიჭი დამანახა, ესეც ჩემიაო. თვალები ბედნიერებით უბრწყინავდა, გეგონებოდა უშვილოს ნანატრი შვილი ეღირსაო. ნახევარ ფასში ნავაჭრი მძივები ლოდად დამეკიდა – მეოთხემ ნამუსში ჩამაგდო. ბიჭმა ზურგჩანთა მოიცილა, დედას ჩააბარა, მინაზე გაშლილ დახლს საქმიანად ხელი გადაავლო. დედამ გულისჯიბიდან ლობიანის გადანახული ნაჭერი ამოიღო და მიანოდა.

ბედნიერება გაჭირვებაზე მეტია?

### ყრუ

უფრო ლამაზ მამაკაცს თუ აიჩემებ, ისე იქ, პაკისტანში, სუფიებთან, Dhol Master-თან, Gionga Saint-თან (ასე უწერია სავიზიტო ბარათზე) მიგიყვანს არჩევანი. მისი სრულყოფა იშვიათი კაპრიზია ბუნების, მისი აღწერა – ხატოვანება აღმოსავლური პოეზიის: ვარდნილი კაბა, შავ ვარდნილ თმებზე ოქრომკედით ნაქარგი ფესკა, ყელზე ხელთუქმნელი მოსასახამი, თითებზე ბაჯალლოს ბეჭდები. და ეს ღვთაება, ეს მამაკაცი, სუფიების – განდობილთა – მუსიკოსია, დოლის, დაფის, მუსიკის გულისძგერა, სისხლის ფეთქვაა. Gionga-ს, დიდი დაფი მკერდზე აქვს მიბჯენილი, დასარტყამით ურტყამს, რიტმს მიჰყვება, ირხევა, ტრიალებს, შინდისფერი თავბრუდამხვევი ქარბორბალა, უფრო და უფრო აღმატებული. სტიქიურ მოვლენას სასრული არა აქვს. სასრული გულის ბზარია. მისი რიტმი – მისი განაჩენია, მისი განაჩენი – მისი სიკვდილი.

Gionga Saint-ი ყრუ-მუნჯია, მისი ყური – მისი გულია. გულ-ღვიძლი, გულის ფიცარი დიდხანს ვერ იტანს, დიდხანს ვერ გაუძლებს ასეთ რყევებს, ასეთ ვიბრირებას, ასეთ Feroze-ს, ალაჰის სადიდებელსაც კი.

Gionga-მ ეს იცის, უთხრეს, აუხსნეს, მაგრამ მაინც უკრავს და... ელოდება.

და თუ უკვე წარსდგა ალაჰის ეს გულდაუზოგავი მსახური, რუმის მოვიხმობ მის მოსაგონარად:



**წინარეხატი – უკვდავი არსი ყოველივესი, ჩვენს მიღმა არის,  
აქ კი რაცაა – სიკვდილი გაცრის, ვერც კი მოასწრებ შევლებას  
თვალის.**

**ნუ დალონდები, რომ ბგერა გაქრა, რომ ჩაქრა შუქი ნათლის,  
ისინი დარჩნენ, და გაქრა აქ რაც – ანარეკლია მათი.**

*(ჯალალ-ედ-დინ რუმი – „შამს თებრიზის დივანიდან“)*

*/თარგმანი ზაზა აბზიანიძისა/*

## სიტყვა

გარეთ ქვიშა, აქლემები ჭის ირგვლივ მოსიარულე, წყლით გაოფლილი ტიკები, ბორბლის ჭრიალი და მომთაბარის კარვები. შიგნით, კარავში რკალად, მუხლმორთხმულად მჯდომი უხუცესის რძლები – ხუთი ვაჟის ხუთი ცოლი და თვით მისი პატივდებული მეუღლე. სხედან მდუმარედ, ჩვილებითა და მზარდებით გულჩაკრულები. ირგვლივ ქვიშა, კარავში იდუმალი სიჩუმე და ერთმანეთის თვალიერება. აქ, ამ სამყაროში მარტო ქალს შემოესვლება, მარტო მხატვარს შეუძლია ნაქსოვ-ნაქარგებითა და სამკაულებით დაუღალავი ტკბობა. აღტაცებას სიტყვა არ უხდება, არცა ხმაური. აქ არც მოუძებნავი სათქმელი დაგამძიმებს, არც უპასუხო სიცარიელე. აქ თარჯიმნის სიტყვა ყალბია, ბგერა კი ფუჭი. არის რაღაც ბიბლიური ამ მუსლიმურ სივრცეში, რაღაც შეუცნობადიც და მშობლიურიც. და, აი, ამ სრულ სიჩუმეში, დედამთილის უსიტყვო ნებით, უფროსმა რძალმა კარვის საბჯენს უნატიფესი ფორებიანი ნოხი ჩამოხსნა, უმცროსმა პატარა შვილს ქვიშაში ნანოლ-ნაპოვნნი ბარბაროსულად მომაჯადოებელი მძივი შეხსნა და ოჯახის მბრძანებელმა სტუმარს ფერხთ დაუდო.

ეს ყველაფერი, სრულ ურღვევ სიჩუმეში, მისნური წვდომით სტუმრის სურვილისა და არჩევანის.

სახლში სათუთად შენახული ეს ნივთები მხატვარს იმასაც ახსენებენ, სიტყვა რომ განსაცდელად გვაქვს ნაბოძები.




დებიუტი

ნიკა ლაშხია


უცნობ მანდილოსანს

მოდით, შემოვხაზოთ წრე.  
 ამ წრეში ჩავდგათ სცენა!  
 მთვრალი ვიქნები მე,  
 შენ – ჩემი სიმთვრალის წყენა.  
 მოდი, დავხატოთ მზე  
 და დავივიწყოთ სევდა.  
 მამა ვიქნები მე,  
 შენ – ჩემი შვილების დედა.  
 აი, შეხედე, დაჯდა  
 იაგანი და სე,  
 იქნები სევდის განცდა  
 და დაგამშვიდებ მე.  
 და თუ მოგებზრდა თამაში,  
 ღამედ ვაქციოთ დღე...  
 შენ – საქორწილო კაბაში,  
 შარვალ-კოსტუმში – მე.  
 ეს ყველაფერი გაქრება –  
 ნახაზი, ცარცი, წრე.  
 წინ ჩემი სამყარო დავგზავნებ,  
 ვარ შენი მელექსე მე!..  
 მოდი, დავხატოთ მზე  
 და დავივიწყოთ სევდა.  
 მამა ვიქნები მე,  
 შენ – ჩემი შვილების დედა!



\*\*\*

მთვლემარე თვალები, ამ ღამის სიდიდე,  
 გამოფიტული თამბაქოს შევსება.  
 მელანქოლია – კედლების სირბილე,  
 შენ რომ ცნობ სამყაროს, მე იმის მერე ვარ.  
 პერგამენტს უჭირავს დახრილი მარცვლები,  
 ლარნაკში ჩამომშრალ ტიტების გუბება.  
 დუელში განვეულ მარტებთან ვმარცხდები,  
 ცარიელ აპრილის უმზეო ყურე ვარ.  
 აუშვით, იალქნებს ებრძოლონ ქარებმა,  
 მარტივად ვუმტვრიოთ დარაბას საკეტი.  
 დღევანდელს ცოდვები დღევანდლით ბარდება,  
 თვალს ვათვალიერებ დამტვრეულ სარკეთი.  
 არა ვთვლი საჭიროდ ვიცხოვრო სრულიად,  
 ამდენი ცრემლებით დავღვარო გოდება,



თუ მარადისობით აღსავსე სული მაქვს,  
თუ მარადისობაც სადმე არ მომბეზრდა...  
რალა დროს ხორცი და რალა დროს სულია,  
დამტვრეულ სარკეთი ვისწორებ საყელოს,  
თუ ნავალ, ვერ გეტყვი, რომ შენთან მწყურია,  
უბრალოდ, დრამატულ ცხოვრებით ვსარგებლობ.

### პოეტის ნაფხური


ჩამო, ჩამოშალე სიბრძნის საფეხური,  
ალბათ სიგიჟეა ის, რომ მყვარებია,  
იყოს პოეზია გულში არსებული,  
მერე – პოეტური ქარი-ტრაგედია.  
ფიქრით გაბრუებულ ტვინის ლაბირინთებს,  
ფრთხილად დავაძალებ ღამე ლექსის წერას,  
ჩემში კიდევ ერთხელ ტაატით გავიღვიძებ  
ღმერთი უსასრულო შემითიბათეებავს.  
ტანზე ავიყოლებ ქარის მატერიას,  
რომ ვინრო ქუჩებმა ფოთლები დამადევნონ.  
რამდენი უიმედო ბილიკი სამტვრევი მაქვს,  
რწმენა რომ ვისწავლო და მელნისფრად გადავევლო  
ყველა ქანცგანწყვეტილ მტრედების გადაფრენას.  
სარკესთან დატოვებულ თვალებით გაკვირდები.  
ეს სუსხი სიცივე ძარღვებში ჩამიკვდება  
ზამთრის არეული თეთრი ამინდებით,  
ჩუმად ვიპარები ჩემი პლანეტიდან  
გარდაუვალობის ბედით გაჩენილი.  
ჩემთვის არ არსებობს წერის საზღვრები და  
აღარც ლექსებს ვტოვებ რალაც სარჩელივით,  
ახლა უსასრულო ოცნება დაიწყება,  
მერე ჟინიც მომკლავს უკან დაბრუნების.  
ღმერთო, მაპატიე ტყუილზე დაფიცება,  
მეტი რალა მექნა, ვიცხოვრე, გავუძელი,  
შედეგებული სიგიჟის საფეხურით,  
რომ ყველა სიბრძნე მარტივად ვამარტივოთ  
და თუკი მცდარია პოეტის ნაფეხური  
დაე, ზეცის მიღმა დაგვწვან და გვამარტვილონ.

### მშვიდი ცურვა

*ირაკლი ჩარკვიანს*

ის მშვიდი ცურვით აღელვებულ ტალღებში მოკვდა!  
განსხვავებულ აისების მენავე ტივით,  
დრო დაუნდობელ ჰარმონიას სიმღერით ქსოვდა,  
უკვე დაღლილი ცას მიბჯენილი ბებერი მინით.  
სუვენირივით დალაგებულ ვარსკვლავთა მირაჟს,

წუთისოფელი ადამიანებს დღესავით იცვლის,  
 გარდაცვლილ სულებს ახალშობილ ჩვილივით სძინავთ,  
 მენამულ ფიქრებს გადავუნერ ბობოქარ ქარებს,  
 რომ სინამდვილეს დროებითი ჩამოვრჩე დარად  
 ტანზე ლექსები ჩირაღდნებად თუ შემომანვეს,  
 იმ ეპოქისთვის ლექსის წერას დავიდებ ვალად.  
 ფანტაზიებში გადახლართული ობობას ქსელით  
 გადავალაგებ თვითმკვლელობის ჟანგიან დაშნებს  
 მინდა, რომ იყოს ეს გასროლა ყველაზე ნელი,  
 რომ ჩემი სისხლი ქართული მიწის მკლავებში გაშრეს.  
 ის ჰგავდა სევდას, სიცოცხლეში კვილთან ნაერთს,  
 ნოტებზე დათვლილ არმობეზრებულ სიმღერის ფსკერზე,  
 დღეს ბოროტებას დავუხურავ ბოქლომით კარებს,  
 რომ სიყვარულმა გაიმეფოს უკვდავად ლექსზე.  
 უკვე დაღლილი, ცას მიბჯენილი ბებერი მინით  
 დრო დაუნდობელ ჰარმონიას სიმღერით ქსოვდა,  
 განსხვავებულ აისების მენავე ტივით,  
 ის მშვიდი ცურვით აღელვებულ ტალღებში მოკვდა.



\*\*\*

სულის ჩირაღდნები ვისთვის ამინთია,  
 ან ვის ვენატრები, ან ვის ველოდები.  
 გრძნობის არსებობა მათ ხომ არ იცინან,  
 ვისთვის იარა ვარ, ვისთვის – შევხორცდები.  
 ბევრი გარეა და ბევრი შინაგანი,  
 შინიც საგარეო ყოფას მიმჯობინებს.  
 უცებ მახსენდება ცივი იარაღი,  
 აწმყოს წარმოდგენით ბევრს რომ ვიცოდვილებ.  
 ყველა რატომ ებრძვის ასე გამალებით  
 მრავალჟამიერის ქართულ სიტრფიალეს,  
 რატომ გვაფინყდება გმირთა საფლავები,  
 ბედის კარუსელო, მიდი, იტრიალე!  
 სანამ მწვანე თაღებს თოვლი ჩამინაცვლებს,  
 ვიდრე ნაკვალევი ბილიკს დაეტყობა,  
 ჩემს სამეგრელოში ოდას გავიმაგრებ,  
 თორემ არსებობა ზოგჯერ საეჭვოა.  
 ცამ დილის ამინთო თეთრი კელაპტრები,  
 წავიდა წვიმიდან გზა ყვითელფერება,  
 ვივლი ყურადღებით, მაგრამ ვერ ავცდები  
 ჯერ ბნელეთს, მერე კი სუფრაზე ხსენებას.  
 ამიტომ ვენდობი გადადგმულ ნაბიჯებს,  
 მიზნიდან რომ ვუვლი სამიზნე ობიექტს  
 და მაინც სურვილებს ყოველდღე ვაგიჟებ,  
 გულო, შენ ოდესმე არყოფნა მოგიწევს.  
 უკვე იმ თაღებზე სითეთრემ დათოვა,  
 ჩემს მეგრულ ოდაში სითბოა ბგერების.  
 სიკვდილო, არ მკითხო, სად ვარ და რა დროა,  
 აშკარად ადრეა და სხვაში გერევი.

## მწერლის არქივიდან



ნიკოლო მინიშვილი

## ჩანაწერები

ჩვენ ვმართავთ სალიტერატურო სალამოს. მიიღე მონაწილეობა! ვუთხარი მე ერთ მწერალს. მან შებრალების თვალთ გადადგომხდა და მითხრა:

„ხელოვანი, რომელიც გამოდის სცენაზე საზოგადოების წინაშე მისი ტაშის ცემისა და ყვავილებისათვის – მეძავ ქალსა ჰგავს, თავის სილამაზეს რომ ფულზედა ყიდის. უკაცრავად მე ჯერ ასე არ დავცემულვარ“...“.

\*

– კრიტიკა, – მითხრა ჩემმა მეგობარმა: ეს მეშხანური მანქანაა, შიგრო ბამბას ჩადებენ და რამდენიმე ხნის შემდეგ სერთუკად გამოვა. კრიტიკაც ასე ლეჭავს პოეზიას და აწოდებს საზოგადოებას იმისდა მიხედვით, სერთუკი სჭირდება მას თუ ფარჩის სამოსელი. ხალხსა და პოეტთა შორის არ უნდა იყოს შუამავალი საჭირო. ის, ვინც პოეტს გაიგებს, არ საჭიროებს კრიტიკის წაკითხვას, და ვისაც კი პოეტი არ მოსწონს, არც მის გარჩევას წაიკითხავს...

\*

„ვინ გაიგებს შენს სახელს, სახელს ვინ დაიჯერებსო“, – სთქვა ერთმა ჩვენმა პოეტმა. და მართლაც ვინ გაიგებს?.. და რომ მწერალი „გაიგონ“ უკეთესი არ იქნება თვით მან სთქვას თავის თავზე ის, რასაც ეგრედ წოდებული კრიტიკოსები ამბობენ? განა უკეთესი არ იქნება თვით მწერელმა გაარჩიოს და გადაუშალოს მკითხველს თავისი პოეზიის შინაარსი? და არც ერთი პატიოსანი მწერალი კრიტიკოსის წერილს წინ არ დაურთავს თავის წიგნს“ – მეუბნებოდა ერთი ჩვენი ბოჰემის წევრი – და მე მას თითქმის ვეთანხმებოდი.

\*

„შენ ჰგმობ პრინციპს „ხელოვნება ხელოვნებისათვისო“ – მწერდა ერთი შორს გადახვენილი მეგობარი. მე კი ვერ ვეთანხმები, ვერ ვეთანხმები იმიტომ, რომ ხელოვნებას არა დარჩენია-რა იმის გარდა, თუ თავისთავს არ დაუბრუნდა. ხელოვნება ეხლა ვერ ატანს ადამიანის სქელ ტყავს და გული კი მას ქონით აქვს გადაფარული. წაუკითხე მას „მერი“, „მე და ლამე“, „ოქროს ფეხი“ ან „წინ, წინ გასწით“ – ის ერთი ხბოსავით აბლორინდება, ტაშისცემით ხელთათმანებს დაიხეთქავს, ცოტა ხნის შემდეგ თავის ხასას ფეხებს დაარქმევს „ოქროს ფეხებს“.

პოეზია ხდება განწირულთა ხვედრი. „პოეზია ცხოვრებისათვის“, – ამას მხოლოდ პოეზიის ხაბაზნი თუ იტყვიან.

ესეისტიკა. დოკუმენტური პროზა


ემზარ კვიციანი  
ცენზურა და უცენზურობა

ყველა მწერალმა, ვისაც კი ახლო წარსული ახსოვს, კარგად იცის, როგორი უმკაცრესი ცენზურა იყო საბჭოთა რეჟიმის დროს. ცენზურის ხელმონერის გარეშე (ამ დანესებულებას, ერთი შეხედვით, უწყინარი სახელი ჰქონდა – „მთავლიტი“), არათუ ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, საკონცერტო და საგამოფენო აფიშებიც ვერ დაიბეჭდებოდა.

ათ წელიწადს ვმუშაობდი ჟურნალ „ცისკარში“ ჯანსუღ ჩარკვიანის რედაქტორობის დროს და მრავალი კუროზის მომსწრე ვყოფილვარ. „ცისკარს“ თავიდანვე ცუდად დაადგა თვალი ხელისუფლებამ. მისი პირველი რედაქტორის, დიდებული მწერლისა და მთარგმნელის, ვახტანგ ჭელიძის ხელში, 1957 წლის მეორე ნომერში გაიპარა საგანგაშო კორექტურა, რომლის გამოც ოცდაათიან წლებში მთელ რედაქციას ულაპარაკოდ დახვრეტდნენ. „მენშევიკების“ ნაცვლად მთელ ტირაჟში დაიბეჭდა „ბოლშევიკების სისხლიანი რეპრესიები“, რასაც დიდი ვაი-უშველებელი მოჰყვა. მახსოვს, ერთი წყალწყალა ნარკვევი მონინავე მეჩაიეზე, შრომის გმირზე სასტამბოდ მე მოვამზადე. მასალა ოთხი თაბახი მაინც იქნებოდა; აქედან მეოთხედი, ოცდახუთ გვერდამდე, დავტოვე. ავტორმა, მეტისმეტად სუსტმა და იდეურმა მწერალმა, დაიჟინა – უსათუოდ მიანერეთ, რომ ჩემი ნარკვევი შემოკლებით იბეჭდებაო. თხოვნა შევეუსრულეთ, მაგრამ ლინოტიპისტმა (ამწყობმა) მინაწერი სწორად ვერ ამოიკითხა და დასაბეჭდად გასაგზავნი ფორმის შენიშვნა ასე იკითხებოდა: „იბეჭდება შემთხვევით“. ბედად, მორიგე რედაქტორმა, ვინც საკონტროლო ფორმებს კითხულობდა, შეამჩნია და გაასწორა ის სასაცილო შეუსაბამობა, თორემ ნარკვევის ავტორი საჩივრებით აგვიკლებდა.

„მთავლიტი“, ძირითადად, იმაზე იყო პასუხისმგებელი, რომელიმე სამხედრო ობიექტი არ ყოფილიყო დასახელებული, ანდა სახელმწიფო საიდუმლო არ გაპარულიყო, მაგრამ შეუზღუდავი უფლებებით აღჭურვილი უწყება თითქმის ყველაფერში ერეოდა; განსაკუთრებით მკაცრი თვალყური იყო დანესებული ეროტიკულ ეპიზოდებზე. შეიძლება დღევანდელმა ახალგაზრდობამ არც დაიჯეროს – ნოდარ წულეისკირის მოთხრობაში სანდომიანი გარეგნობის მკერდასვე ქალი იყო დახატული, რომელზედაც ეწერა, სიარულისას გავას მიარწევდაო. ეს წინადადება წითლად გაეხაზათ. „ცისკარზე“ მომაგრებულმა, საკმაოდ თავაზიანმა ქალბატონმა თამარ სვინტიძემ დამიბარა თერთმეტსართულიანი სახლის მეორე სართულზე („მთავლიტის“ მთავარი სამყოფელი იქ იყო) და ხსენებული ადგილი ამომალეგინა.

ცოტა ხნის მერე, ჟურნალის ტექნიკურმა გამომშვეებმა ჯუმბერ ტიკარიძემ (ღმერთმა აცხონოს მისი სული), აშკარად ეროტიკული პასაჟებით სავსე მოთხრობა „ბერნიჭა“ მომცა „ცისკარში“ გამოსაქვეყნებლად. მთავარი გმირი, უცოლოდ დაბერებული მარტოხელა კაცი, კარის ჭუჭრუტანიდან უმზერს, თანამშრომლები, ახალგაზრდა ქალები, როგორ შიშვლდებიან ოთახში და იზომებენ სპეკულანტის მოტანილ ღამის პერანგებსა და საცვლებს. ქალებს შორის ერთი წარმოშობით არაქართველია, ნამვილები და იმ პერსონაჟზე მართლაც საჩოთირო რამ ეწერა – სქესობრივად





როცა მომნიფდა, სისხლმა უყვივლა და გარყვნილების მორევი გადაეშვაო. ჯუმბერ ტიკარიძეს, ნიჭიერ, უკიდურესად მორიდებულ, მაგრამ ბახუსის მოყვარულ პიროვნებას, ვუთხარი – ეს მოთხრობა ჩვენს ცენზორს, თამარ სვინტიძეს წინასწარ წააკითხე, იმან მოგცეს თანხმობა და მე საწინააღმდეგო არაფერი მექნება-მეთქი. სამი დღის მერე ხელმოწერილი მოაფრიალა თავისი „ბერბიჭა“ და თვითონვე წაიღო სტამბაში ასაწყობად, რადგან „მწვანე გზა“ გარანტირებული ჰქონდა. ქალბატონ თამარს მოთხრობა ხელახლა აღარ წაუკითხავს. დაიბეჭდა ჟურნალის ის ნომერი და ატყდა წარმოუდგენელი ზრიალი. „ცისკარს“ ბევრი არაკეთილმოსურნე ჰყავდა ჩასაფრებული და შემთხვევას, მცირე საბაბს ელოდნენ, რომ დაღესილი ბრჭყალები გამოეყოთ. ერთმანეთს ურეკავდნენ იმ დღეებში, ნახეთ, ახალგაზრდობის ჟურნალში რა საშინელება გამოაქვეყნესო. განსაკუთრებული გახელებით ბატონი ბესო ჟღენტი დააცხრა ბედკრულ „ბერბიჭას“. სასწრაფოდ გაამანშალა ვებერთელა მამხილებელი წერილი და ბეთქა გაზეთ „კომუნისტში“ – რაში აღარ გვდებდა ბრალს. პირდაპირ მიუთითებდა ზემდგომ ორგანოებს: ჟურნალის ესა და ეს გვერდი წაიკითხეთ, მე ციტატის ამონერა მეუხერხულეა და თქვენი თვალთ ნახეთ, ჟურნალის რედაქციამ რა მიუტევებელი პოლიტიკური შეცდომა დაუშვაო. რეაგირების გარეშე ასეთი „საგანგებო შემთხვევა“, ცხადია, არ დარჩებოდა. გადაწყვეტივით, თვითონვე გველონა რაიმე. ჯანსუღმა ტექსტი შეადგინა. მე, დაუდევრობის გამო (რა თქმა უნდა, მოჩვენებითად), სასტიკი საყვედური გამომიტანა (ეს საყვედური პირად საქმეში არ ფიგურირებდა). მდგომარეობის გამოსასწორებლად დასახა ღონისძიებები. ის რამდენიმე სტრიქონი ცეკას მრისხანე ორგანოს – „კომუნისტს“ – გაუგზავნა და მაშინვე დაიბეჭდა, რის შემდეგაც, როგორც იქნა, აჟიოტაჟი ჩაცხრა. ცეკას პირველ მდივნად მაშინ ახალი დანიშნული იყო ბატონი ედუარდ შევარდნაძე და რედაქტორმა ყველანი დაგვამშვიდა – „ცისკარი“, თავის დროზე, მისი უშუალო თანადგომით დაარსდა, მოსწონს ჩვენი მუშაობა და ასეთ იაფფასიან, დემაგოგიურ გამოხდომებს არავითარ ყურადღებას არ მიაქცევსო.


ერთი უცნაური, დღევანდელი გადასახედიდან სასაცილო ამბავი პირადად მე შემემთხვა. მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ ჩემი ლექსების კრებული გამოდიოდა. გამომცემლობაში მითხრეს, წიგნი სასტამბოდაა გამზადებული, მაგრამ მთავლიტმა გააჩერა და გიბარებენო. ტანში დამცეცხლა, ვერ მივხვდი, რაზე დაეჭვდნენ. ამჯერად მარჯანიშვილის ქუჩაზე (№5) უნდა მივსულიყავი. იქ ჰქონდათ ფილიალი. იმ ცენზორს, სათვალთან, ტანდაბალ, ხანშიშესულ კაცს კარგად ვიცნობდი. არ იყო ცუდი ადამიანი, მაგრამ რალაც წამოსჩვენებოდა (იცოდა, „ცისკრის“ რედაქციაში რომ ვმუშაობდი და როგორც მერე გამოირკვა, სათავისო ანგარიშები ჰქონდა). საქმის არსი სულ ეს გახლდათ – ერთი ურთიმო, თეთრი ლექსის გასწვრივ წითელი ხაზები იყო ჩამოსმული და ხმადაბლა მითხრა – აქ მეტად საშიში აზრი გაქვს ჩადებული და წიგნს ასე ვერ გავუშვებო. გაოცებისგან პირი დავაღე. ლექსში ბეჩავი, უმწეო ადამიანი იყო აღწერილი. მას მუხლზე პური ედო და შორეთში, ჩამავალი მზის მხარეს იყურებოდა. საცენზურო ბეჭდის მფლობელმა გვერდულად გამომხედა და სერიოზულად მამცნო – ეს მოხუცი ოკეანეს გაღმა იყურება და ამერიკის იმედი აქვსო. გამეცინა. ვუპასუხე, რომ ასეთი ეჭვი ყოვლად გაუმართლებელი იყო. იქ დახატული სურათი მართლაც ვნახე რუსეთის რომელიღაც ქალაქში და მეხსიერებაში მქონდა ჩარჩენილი. ბოლოს მგონი დაიჯერა ჩემი გულწრფელობა და ფორმებს ხელი მოაწერა. ორი კვირაც არ გასულა, მოთხრობას მიმგვანებული, წარმოუდგენლად დაღვარწნილი, თავბოლოგაუგებარი ნაცოდვილარით მომადგა რედაქციაში. ზღვა ოფლი

დავღვარე, ვიდრე იმ ნაჯღაბნს, ასე თუ ისე, მოვაქრისტიანებდი. აღარ მახსოვს, გამოქვეყნდა თუ არა.

გასაგები რომ გახდეს, თუ რაზე მედავებოდა და რას მნამებდა ან უკვე გაუქმებული მრისხანე უწყების ცხონებული ცენზორი, იმ „დაპატიმრებულ“ ლექსს მთლიანად ამოვიწერ:

**უცხო საღბურზე**

იჯდა მოხუცი; მუხლის თავებზე  
 სარკოფაგივით დაედო პური,  
 აგურისფერი, მაღალი პური.  
 პურზე ხელები დაეწყო ხმელი...  
 მუმისაჲ ჰგავდა მოხუცი თავად.  
 წამით უშვებდა და ეწეოდა  
 საღამო ლურჯი მის დაღლილ ფიქრებს.  
 იჯდა მდუმარედ,  
 სულ სხვაგან იჯდა  
 და სულ სხვა მხარეს ხედავდა თვალით...  
 ხედავდა და ვერც ხედავდა თითქოს;  
 თავბრუს ახვევდა ჩამუქებული  
 კვიპაროსების ნოტიო სუნი.  
 შორს დასავლეთი წითლად ღვიოდა  
 და ახსენებდა დღეებს დაფერფლილს,  
 დღეებს, რომლებიც არ ბრუნდებიან.  
 იჯდა მოხუცი,  
 უსიტყვოდ იჯდა.  
 სარკოფაგივით დაედო მუხლზე  
 მისი მწუხრის და სამარის პური.  
 მეგობარ ღამეს ელოდა იგი.



სიფხიზლემოუდუნებულ მოხელეს (არ მინდა მისი გვარი დავასახელო) ორი ადგილი საგულდაგულოდ გაეხაზა („...სულ სხვა მხარეს ხედავდა თვალით...“, „შორს დასავლეთი წითლად ღვიოდა და ახსენებდა დღეებს დაფერფლილს...“) და ნიშნის მოგებით შემომყურებდა. შინაგანად იგი კეთილი ადამიანი იყო, მწერლობა უყვარდა (ვერაჲინ დაასწრებდა გამომცემლობის წინ „ლიტერატურული საქართველოს“ ყიდვას), დიდებული მეუღლე ჰყავდა, კარგი მთარგმნელი და ასეთივე ვაჟი, რომელთანაც დღემდე ვმეგობრობ.

აქ ერთი გახმაურებული ფაქტის გახსენება შეიძლებოდა. საბჭოთა ცენზურის მოულოდნელი აფორიაქების მიზეზი იყო „მერანის“ გამოცემულ წიგნში – „პოეტის ათასი სტრიქონი“ – კოლაუ ნადირაძის ყუმბარასავით აფეთქებული ლექსის („25 თებერვალი. თბილისი“) ფაქსიმილეს გაპარვა. ამ წიგნის ერთ-ერთი შემდგენელი მეც ვიყავი; კარლო კალაძის კუთვნილი ათასი სტრიქონი პირადად მე შევადგინე, სხვა არ ჩარეულა. პირველს კიდევ ორი თუ სამი ტომი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ კოლაუ ნადირაძის უკიდურესად ანტისაბჭოთა ლექსმა ეს წამოწყება ჩაშალა. პუბლიკაციებს წამძღვარებული ავტოგრაფები შემდგენლებს თვალით არ გვინახავს და, ამდენად, უშიშროების თანამშრომლებს არ შევუწუხებდით. წიგნის მხატვარს ორიგინალური იდეა გასჩენოდა – გამოცემა პოეტთა თითო ავტოგრაფით დაემშვენებინა და ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომელმა, სიკეთით სავსე კაცმა – გურამ ვანიძემ (ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის სულს) გამომცემლობას შემოუთვალა – მუზეუმში ყველა პოეტის ავტოგრაფი გვაქვს, თქვენ ნულარ წვალობთ, ყველაფერს მე მოგანვდითო.



გამომცემლობის მუშაკებმა ყურადღება არ მიაქციეს ტექსტთა შინაარსს, ორნამენტებად მიიჩნიეს ხელნაწერები, გადაიღეს ის ავტოგრაფები და წიგნი დაბეჭდეს. ზაფხული იყო. შვებულეებამდე მეც ვნახე ის სენსაციად ქცეული პირველი ტომი, კოლაუ ნადირაძის ავტოგრაფსაც ჩავხედე. მხოლოდ სათაური წავიკითხე და ვიფიქრე, პატიოსან ბერიკაცს სული წაუნყმედა, ხელისუფლების გულის მოსაგებად მლიქვნელობა დაუწყია-მეთქი. თურმე ნუ იტყვით, ბატონ კოლაუს თავი გადაუდვია, იმ უთამამესი ლექსის ხელნაწერი, ერთ დროს, გადაუცია შალვა დემეტრაძისათვის, რომლის გარდაცვალების მერე მისი არქივი, კოლაუ ნადირაძის „კრიმინალური“ ლექსითურთ, ლიტერატურის მუზეუმში მოხვდა და ნემსი ხალთაში აღარ დაიმალა.

აგვისტო იდგა. ბავშვებთან ერთად ბიჭვინთის დასასვენებელ სახლში ვიყავი (ქართველებს ლიტფონდის შენობაში ერთი, მეხუთე სართული გვეკავა). ეს იყო ალბათ ჩვენი უკანასკნელი ყოფნათაგანი ბიჭვინთაში. ცოტა ხნის მერე აფხაზეთი, შიდა ქართლის უმეტესი ნაწილითურთ, ვერაგულად, ავაზაკურად წაგვგლიჯა რუსეთის მოდერნიზებულმა იმპერიამ, ჩვენსავე მიწა-წყალზე მოგვიწყო ნამდვილი გენოციდი, ხოლო დღევანდელი მსოფლიო, ჩვენდა სავალალოდ, უძლურია, პირსისხლიან ურჩხულს პასუხი აგებინოს.

გუშინდელი დღესავით მახსოვს – ბიჭვინთაში მყოფ რამაზ კანდელაკს, ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, თბილისიდან დაურეკეს – სასწრაფოდ ჩამოდი, „მერანის“ გამომცემულ წიგნში უბედურება გაიპარაო. განცვიფრებული რამაზ კანდელაკი დილითვე წავიდა თბილისში. საღამოთი ჯანსუღ ჩარკვიანი ჩამოვიდა და მწვანე წიგნი – „პოეტის ათასი სტრიქონი“ ჩამოიტანა. გვითხრა – მთელი ქალაქი აწრიალებულია. გამომცემლობის ბევრი თანამშრომელი გაათავისუფლესო. სანატორიუმის წინ ვიყავით შეკრებილები და ჯანსუღმა წიგნი ჩვენთან მოსულ რევაზ თაბუკაშვილს გადასცა (ძვირფასი რეზო თითქმის ყოველ მეორე დღეს გვეპატიჟებოდა საკუთარ აგარაკზე და, თავის ღვთაებრივ მეუღლესთან, ქალბატონ მედეა ჯაფარიძესთან ერთად, ჩვეული გულუხვობით გვიმასპინძლდებოდა). რევაზ თაბუკაშვილმა ხმამაღლა, მთელი ეშხით, განუმეორებელი დიქციით დაიწყო კოლაუ ნადირაძის იმ ლექსის კითხვა და მისებური რიხით ჩაათავა. ყველანი გაოგნებულები იყვენ. მე, მოულოდნელობისგან, სიცილი ამიტყდა. ჯანსუღმა გაოცებულმა შემომხედა – შენ, გეტყობა, არ გესმის ამ ამბის სერიოზულობა, ქვეყანა აყირავებულია, გაცეცხლებული ინაური ყველაფერს ანგრევსო. რეზო ჭეიშვილმა იქვე წამოიძახა: რაც საბჭოთა კავშირი არსებობს, ამის მსგავსი პროკლამაცია ჯერ არ დაბეჭდილაო. მთავლიტს, სიბეცისა თუ სიფხიზლის მოდუნების გამო, რა რისხვა დაატეხეს თავს, ეს აღარ ვიცი. ბატონი კოლაუ რომ წელგამართული, ამაყად დაიარებოდა სიცოცხლის ბოლო წლებში, წარმოუდგენლად გაბედული და მზის სინათლეზე ასე მოულოდნელად გამოჩენილი ლექსის წყალობით, ეს ცნობილია.

საბჭოთა იმპერიის დაშლას ცენზურის გაუქმება კი მოჰყვა, მაგრამ ზოგჯერ ვფიქრობ – არც ასეთი ულაგამო თავისუფლებაა სიკეთის მომტანი. იმდენი სიბილწე და უმსგავსობა იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებში (ლექსად თუ პროზად), თვალს არ დაუჯერებ; ურცხვად არის გამოფენილი მამაკაცის გენიტალიები და ამას დიდად არც ქალები ჩამორჩებიან; გაუთავებლად არის ვაგინებისა და სხვა სასირცხო ადგილების მოურიდელები ხსენება. ერთი შენუხებული ჟურნალისტი ქალი, მეტად წესიერი ადამიანი თამთა ცეცაძე დიდი შემართებით ებრძვის ამ მოზღვავებულ სიბინძურეს, მაგრამ ვერაფერს გახდა, რის გამოც სასონარკვეთილია.



ცენზურა, მაგალითად, ინგლისში, შექსპირისა და ჯონ დონის დროსაც უკომპრომისო სიმკაცრეს იჩენდა, როცა საქმე ზნეობის სინმინდეს შეეხებოდა; თვით გენიალურ პოეტებსაც არ ეპუებოდნენ და სკაბრეზული ხასიათის ლექსებს იმათ კრებულებშიც არ აჭაჭანებდნენ.

დიდ ბრიტანეთში ცენზურა ამჟამადაც არ თმობს თავის პოზიციებს, კვლავ შეუვალია. მსოფლიოში ცნობილი მწერლის – გრემ გრინის დოკუმენტური რომანი, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნის უნიჭიერესი, მაგრამ აღვირახსნილობით გამორჩეული პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას ასახავს, ათეული წლების განმავლობაში ტაბუდადებული იყო და მხოლოდ ახლახან გამოქვეყნდა. სასურველია, საქართველოს კანონმდებლობაში შეიქმნას ზნეობის, სინმინდის დამცავი მექანიზმი, რათა ამაზრზენად პათოლოგიურ, ავადმყოფური იერისა და მიზანდასახულობის ფსევდო ლიტერატურას გზა გადაეკეტოს.


ერთი რამ კი უნდა აღინიშნოს. საბჭოთა ეპოქის გამომცემლობებში ნიგნის გამოცემის პროცესი და პასუხისმგებლობა, დღევანდელთან შედარებით, სანაქებო დონეზე იდგა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ექცეოდა კორექტურას, რასაც ახლანდელ, სოკოებივით მომრავლებულ გამომცემლობებზე ვერ ვიტყვით. ამჟამად გამომავალ ნიგნებში ხშირია დამაბნეველი კორექტურული შეცდომები, გაფრენილია მთელი წინადადებები, რასაც კომპიუტერს აბრალებენ.

პირადად მე არაერთხელ აღმოვჩენილვარ უხერხულ, სასაცილო მდგომარეობაში. ამ რამდენიმე წლის წინ პუბლიკაციას თვალი ვერ მივაღვენი და ლექსში, სადაც ქართლის პეიზაჟი იყო დახატული, ისეთი კომიკური შეცდომა გაიპარა, სირცხვილის ოფლმა დამასხა. ამას საგანგებოდ ვერ გაუკეთებდი კაცს. დედანში მწერა: „ნისლში წევს ტირიფონა...“ დიდი, რამდენიმე კილომეტრზე გადაჭიმული ულამაზესი ველის, ტირიფონას, სახელწოდების ნაცვლად „ტირიფონა“ აეწყოთ და ყველაფერი წყალში ჩაიყარა.

ცოტა ხნის წინათ, ახალდაარსებულ გაზეთში („ქართული სიტყვა“) გამოვაქვეყნე მაღლიერების გამომხატველი ლექსი, რომელიც ქარელში, ჩვენი უდიდესი მოღვაწის, გიორგი მთაწმინდელის სახელზე აგებულ გიმნაზიას და მის მესვეურებს ვუძღვენი და სადაც მწერა „ცოდნის კერა“. დაიბეჭდა სრულიად საპირისპირო რამ – „ცოდვის კერა“, რამაც გუნება წამიხდინა. ერთმა ასომ შეიძლება ყველაფერი თავდაყირა დააყენოს. ამის უამრავი მაგალითი არსებობს.

დასასრულ, გვერდს ვერ ავუვლი ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ძალზე მნიშვნელოვან მოვლენას – გამომცემლობა „ინტელექტმა“ „100 ლექსთან“ ერთად დასტამბა ახლახან გარდაცვლილი დიდი ქართველი მწერლის – ოთარ ჭილაძის ნერილების, ესეებისა და ინტერვიუების ნიგნი „წინ მარადისობაა“ (ორივე კრებულის რედაქტორ-შემდგენელია ახალგაზრდა ნიჭიერი პროზაიკოსი ზვიად კვარაცხელია). ოთარ ჭილაძის მრავალმხრივ გამორჩეულ პოეზიასა და პროზაზე შემდგომში დავწერ, ხსენებულ პუბლიცისტურ კრებულზე კი, რომელიც ყველა ქართველმა უნდა წაიკითხოს, ორიოდვე სიტყვას ამჟამად ვიტყვი.

ოთარ ჭილაძე მამულიშვილური გულისტკივილით, დაუფარავად, სამაგალითო პირუთენელობით ლაპარაკობს იმ საბედისწერო შეცდომებზე, რაც საუკუნეთა მანძილზე მონობაში მყოფმა და ზნედაცემულმა ჩვენმა ხალხმა ბოლო ორ ათეულ წელიწადში, „წითელი იმპერიის“ დაშლის შემდეგ, დაუშვა, რის გამოც, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, ყველაზე მეტად საქართველო დაზარალდა. ჩვენ თვალწინ მომხდართი სულშეძრული პოეტი აღნიშნავს, რომ ნაბოძვარი, ჩვენდა სავალალოდ, ფიქტიურად ქცეული თავისუფლებისათვის, რომლის მოპოვებაშიც არავითარი წვლილი არ შეუ-





ტანია სახელგატეხილ, ე. წ. „ეროვნულ მოძრაობას“, ქართველობა სრულიად მოუზადებელი აღმოჩნდა და ხშირ შემთხვევაში ერის ინტერესების საზარალოდ მოქმედებდა. ამაზე შედეგები მეტყველებს.

მთანმინდაზე დაკრძალული პოეტი ჭეშმარიტად ილიასა და აკაკისეული გზებით, ვაჟასეული შემართებით განჭვრიტავს ჩვენი შეჭირვებული სამშობლოს სასიცოცხლო პრობლემებს; განსაკუთრებით წუხს, რომ მტერმა ყველაზე მძლავრი, წინასწარ დაგეგმილი იერიში ეროვნულ ღირებულებებზე, ქართულ მწერლობაზე, წიგნიერებასა და ცნობიერებაზე მიიტანა და მისთვის სასურველ მიზანსაც მიაღწია – მთელი თაობები წამოვიდა, განათლებისა არაფერი რომ არ სცხიათ, შეიძლება ითქვას, გამოთავყვანდნენ, მომავალს ვერ შექმნიან. თუ ასე გაგრძელდა, ქართული ენა და კულტურა თანდათან დაკნინდება და ათას განსაცდელში გამოვლილი ჩვენი უძველესი და უნიკალური ერი არსებობას შეწყვეტს. შემთხვევითი არც ის გარემოება გახლავთ, რომ სადაც ქართული ენა დავთმეთ (ცხინვალი, სოხუმი), სწორედ იქ დავმარცხდით და გამოგვაძევეს, საკუთარ სამშობლოში ქართველები ლტოლვილებად აქციეს.

კრებულში მრავალი საჭირობოროტო საკითხია დასმული; პოეტი ყოველნაირად ცდილობს სასონარკვეთას არ მიეცეს და უძნელესი მდგომარეობიდან როგორმე გამოსავალი მოძებნოს. აქ მოვიტან მხოლოდ ერთ ამონარიდს, საბჭოურ ცენზურას რომ ეხება და რომელსაც თავისებურად წარმოაჩინეს შორსმჭვრეტელი, ნიადაგ მებრძოლი შემოქმედი: „...ბოლო ორი საუკუნის მანძილზე, ანუ როგორც ფიზიკური, ისევე სულიერი მონობის ჟამს, ცენზურის განუწყვეტელი მეთვალყურეობის ქვეშ შექმნილი ქართული ლიტერატურა, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ადამიანის გაუტეხლობის, მისი ამოუწურავი ენერჯისა და შინაგანი თავისუფლების სადიდებელია. თუკი წერა ძნელი იყო როდისმე, მაშინ იყო ძნელი. უფრო მეტიც, წერა მაშინ ომს ნიშნავდა და ყველა როდი ბრუნდებოდა იმ ომიდან ცოცხალი. ბევრმა მწერალმა დადო თავი (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ადამიანური და მწერლური ღირსების დასაცავად. წერა დღეს ადვილია, მაგრამ იმიტომ კი არა, ცენზურა რომ არ არსებობს, არამედ იმიტომ, ორსაუკუნოვან ომში დაღუპულ (შეშლილ, დახვრეტილ, ნანამებ, თვითმკვლელ) მწერლების შთამომავლობამ განთავისუფლებისთანავე რომ თქვა უარი მწერლობის ტრადიციულ დანიშნულებაზე, ანუ, ჩვენი ისტორიული პრობლემა გადაწყვეტილად მიიჩნია და უცხოელი ექსპერიმენტალისტების მიბაძვით, უაღრესად „თანამედროვე“ და „აქტუალური“ თემებით დაინტერესდა, როგორცაა, თუნდაც ჰომოსექსუალიზმი, კოსმოპოლიტიზმი თუ გლობალიზაცია. ანუ მშობლიური ისტორიის კრიტიკა და მშობლიური კულტურის უარყოფა. ქართული მწერლობა მონობაშია შექმნილი, ოღონდ თავისუფალი ადამიანისთვის. დღეს კი, მეტ-ნაკლებად თავისუფალ საქართველოში, ძირითადად მონებისთვის განკუთვნილი ლიტერატურა ინერება და, რაც სამწუხაროა, ყაზბეგისა და ჯავახიშვილის წიგნებზე უკეთ სალდება“.

დამაფიქრებელი, მწარე სიმართლეა. ოთარ ჭილაძის არაერთი დავირვება და გამონათქვამი სახელმძღვანელო პრინციპად გამოდგება და, საერთოდაც, აუცილებელია, ჩვენმა ხალხმა უფრო მეტად უგდოს ყური მრავლისმომსწრე, გამოჩენილ მწერალთა რჩევა-დარიგებებს და ტვინგამოცარიელებულ, თვითმარქვია ლიდერთა ყალბ, პროვოკაციულ, ისტერიულ მოწოდებებს არ აჰყვეს. „ეკლიან გზაზე“ ისედაც ბევრი რამ შეგვეშალა და ახალი შეცდომების უფლება აღარ გვაქვს.

კრიტიკა

ნიკა სერგია

**უკომპლექსოების ბიკინიში გახვეული  
კომპლექსის ჩადრი**

ახლახან აღმოვაჩინე, რომ იმ ერთადერთი სერიალის რეკლამა, რომელსაც ვუყურებ ხოლმე, სტრიპტიზის კადრებით იწყება. ამაში არაფერი იქნებოდა გასაკვირი, ექიმ ჰაუსის თავგადასავლები არსებით კავშირში რომ იყოს ეროტიკულ ცეკვებთან, ან ფილმის შინაარსის მიხედვით საავადმყოფოს მფლობელი ქალბატონის ბიზნესი ღამის კლუბების ქსელსაც რომ მოიცავდეს. მაგრამ საქმე ისაა, რომ სიუჟეტის მიხედვით ჰიუ ლორის გმირს სტრიპტიზბართან ერთადერთხელ ჰქონდა შეხება, როცა თავის მორიგ სამედიცინო დეტექტიურ თამაშს თამაშობდა. არადა სერიალის სარეკლამო რგოლი მაინც იმ კადრებით იწყება, რომელიც ისეთ ასოციაციასა და ინფორმაციას იძლევა, რომელიც მსუბუქად რომ ვთქვათ, არ შეესაბამება ფილმის შინაარსს და კიდევ ერთხელ ამტკიცებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქართული რეკლამა, ბოდიში და, „ტყვილზეა“ აგებული. რეკლამაში ტყუილის დასაშვები დოზის გაზომვას არ დავინწყებ, მაგრამ იმაზე საუბარი ნამდვილად ღირს, თუ რატომ გახდა საჭირო მსოფლიოში საკმაოზე მეტად პოპულარული და ათასგზის ნომინირებულ-გალაურეატებული სერიალის საყურებლად ქართველი მაყურებლის მიზიდვისთვის ასეთი ტყუილის მოგონება.

ეს შემთხვევა რომ გამონაკლისი არ იქნებოდა, გული მიგრძნობდა და დანარჩენი გადაცემების რეკლამებსაც დავაკვირდი ქართულ არხებზე. გადაცემების რა, საპნის ოპერების რეკლამებს დავაკვირდი... შედეგს არ გავუკვირვებოვარ – ყველა რეკლამაში სრულად ფიგურირებდა ყველა ეროტიკული სცენა და ეროტიკული სცენის კარიკატურა, რომელიც ამ ფილმებსა თუ გადაცემაში სადმე მეასეხარისხოვნად მაინც არის ჩართული. ერთადერთი დასკვნა, რაც გამოვიტანე, იყო ის, რომ ქართული საზოგადოება, რომლისთვისაც ეს რეკლამებია გათვლილი, ორიენტირებულია მხოლოდ ეროტიკაზე და რეკლამაში ამ სახის ელემენტის მთავარ მომენტად ჩართვა მარკეტინგულად ამართლებს. საინტერესო კი ისაა, რა ინვესტს ამას და სინამდვილეში როგორია ერთი შეხედვით უკომპლექსო ახალი ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ეროსთან... ამიტომ ცოტა შორიდან მოვუვლი საკითხს.

რალაც განსხვავებული და განსაკუთრებული დამოკიდებულება ეროსისადმი ყველა დროის საზოგადოებაში იგრძნობოდა და იგრძნობა, ოღონდ იცვლება ამ განსხვავებული დამოკიდებულების გამოხატვის ფორმა და საშუალებები. ეს ახალი არ არის და იმავე ხნის ამბავია, რა ხნისაც ადამიანის ცნობიერება, აზროვნებაა. ადამიანებმა ეროსისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამოვლენა სწორედ მაშინ დაიწყეს, როცა მაიმუნის გულუბრყვილობა უკან მოიტოვეს, აზროვნება დაიწყეს, გასინჯეს ხე ცნობადისას ნაყოფი და სასირცხვო ადგილას ლე-



ფოტოზა: ჰიუ ლორი  
(ექიმი ჰაუსი).



ღვის ფოთოლი აიფარეს. ასე დაიწყო ეროსის და ადამიანის დამოკიდებულების ისტორია, რომელმაც ათასი ყოფა გამოიარა და დღევანდელ საქართველოში ჩამოყალიბდა მდგომარეობად, კოდური სახელწოდებით, „ღამე შორენასთან“. დიახ, ლელვის ფოთოლი იყო გამოხატულება ეროსის განსაკუთრებულ ცნებად აღიარებისა. შემდეგ კი ისტორიის მანძილზე ადამიანმა არ იცოდა, სად წაელო ეს განსაკუთრებულად აღიარებული რაღაც. როგორც მოგეხსენებათ, ადამიანს განსაკუთრებულ რამესთან მოპყრობის ორი წესი აქვს – ან საგულდაგულოდ დამალვა, ან სააშკარაოზე გამოტანა. თავიდან ეროსისთვის პირველი ვარიანტი იქნა არჩეული და ლელვის შემდეგ მკლავმოშიშვლებულ ბერძნულ ეპოქაზე, უფრო მოგვიანებით კი კომბოსტოსავით შეფუთულების შუა საუკუნეების ხანაზე გადავიდა კაცობრიობა. მერე-მერე კი ნელ-ნელა „განფუთვის“ პროცესი დაიწყო და თანამედროვე „გულღია“ საზოგადოება მივიღეთ.

დიახ, ვითარდებოდა საზოგადოება, ვითარდებოდა ეროსისადმი დამოკიდებულება და როგორც ყველა სხვა სფეროში, ასევე ამაშიც, ქართული საზოგადოება სულ სხვა გზით განვითარდა. ჩვენმა მოხვედრამ ისტორიის გზის საბჭოურ ჩიხში ფსიქოლოგიის ამ ნაწილის ანომალური განვითარებაც გამოიწვია. ეს კი მდგომარეობდა შემდეგში: როგორც ვთქვით, ნორმალურად განვითარებადმა სამყარომ ფიზიკურად, ანუ ტანსაცმლით შეფუთული ეროსის განთავისუფლება დაიწყო, საბჭოურმა ცივილიზაციამ კი ფიზიკურად შეფუთულის ფსიქოლოგიური შეფუთვაც გადანყვიტა და როგორც სხვა ბევრი უკულმართი რამ, ეგეც გამოუვიდა. ამას თავისი ლოგიკური მიზეზები ჰქონდა. ფროიდს და საკუთარ თავს თუ ჩავუკვირდებით, ვნახავთ, რომ ეროსი ადამიანის ეგოს, ინდივიდის განუყოფელი ნაწილია და რომ ხშირ შემთხვევაში სწორედ ის წარმართავს იმ ქმედებებს ადამიანისა, რომლებიც მისი ინდივიდუალის გამომხატულებას წარმოადგენს. ეროსი ათავისუფლებს ადამიანს დოგმატური ბორკილისაგან და აქცევს მას მასასთან არათავსებად ინდივიდად, რაც პირდაპირ დარტყმას აყენებდა ბოლშევიკურ მიზნებს ზომბების არმიის შექმნასთან დაკავშირებით. მათ საბჭოთა ადამიანში ეროსისკენ ქვეცნობიერი ლტოლვის ნაცვლად ჩანერგეს ქვეცნობიერი შიში მის მიმართ და ადამიანის ცნობიერებაში ტაბუ დაადეს ამ თემას. ცხოვრების ადამიანური ელემენტი ამოიღეს ყველა სფეროდან, განსაკუთრებით, ხელოვნებიდან. ფაქტია, რომ საბჭოთა ფილმებში ან არავინ კოცნიდა ერთმანეთს, ან თუ კოცნიდა, ვერავინ ხედავდა ამას, რადგან ასეთ დროს მთელი საბჭოეთი თვალებზე ხელს იფარებდა, რომ ეს მომენტი არ დაენახებინა თვალთათვის. ეს იყო მთავრობისთვის ერთ-ერთი საშუალება ადამიანების საკუთარ თავთან გაუცხოებისა, საკუთარ თავზე, პიროვნებაზე, შინაგან ხმაზე უარის თქმისა და მიზანიც სწორედ ეს იყო.

#### ეს იყო ცუდი.

მაგრამ რა ხდება დღეს? დღეს, როცა ფიზიკურად გამოვედით იმ ჩიხიდან, ხდება იგივე, ოღონდ სანინალმდეგო მხრიდან. ანუ, თუ მაშინ ხელოვნურად ითრგუნებოდა ეროსი, ახლა ხელოვნურად ხდება მისი აღდგენა ადამიანების ცნობიერებაში. სწორედ ამის გამოვლინებაა ჩემ მიერ ნახსენები მდგომარეობა კოდური სახელწოდებით „ღამე შორენასთან“. მე მგონია, რომ –

ფოტო გადაცემიდან  
„ღამე შორენასთან“

**ეს არანაკლებ ცუდია, და იმის ბრალია, რომ ჩიხიდან ფიზიკურად გამოვედით და არა ფსიქოლოგიურად.**

მართალია, დღევანდელ ქართულ ტელევიზიაში, კინოში, ლიტერატურასა თუ თეატრში თითქმის არ არსებობს ცენზურა და „ახალ ქართველებსაც“ უკომპლექსობის იარლიყი აქვთ მიწებებული, მაგრამ სინამდვილეში, თვით „ყველაზე უკომპლექსო“ გადაცემა, მრავალჯერ ზემოთნახსენები „ღამე შორენასთან“ გახლავთ ყველაზე დიდი კომპლექსის გამოხატულება. სწორედ უკომპლექსო ბიკინის ქვეშ იმალება დაკომპლექსებული ჩადრი. საქმე ისაა, რომ ევროპასა და საქართველოში განთავისუფლებულ ეროსს შორის ერთი მთავარი განსხვავება არსებობს – ევროპაში ეროსის განთავისუფლება საზოგადოებრივი დოგმატიკის ტყვეობისაგან განაპირობა საზოგადოების ფსიქოლოგიურმა მომნიშვნელობამ და ბუნებრივად მოვიდა ეს. ის, რაც ევროპაში მოხდა, ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა ტრუბადურების, რაინდების, სამეფო კართა ინტრიგების, ქალების არჩევნებში მონაწილეობის და სხვა ათასი მოვლენისა, რომლებმაც ადამიანების ფსიქიკაში დიდი ქვეცნობიერი გარდაქმნები გამოიწვიეს. საქართველოში კი თითქოს ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტეთ დაგვემსხვრია სტერეოტიპები, მოგვეხსნა ტაბუები და გავმხდარიყავით უკომპლექსოები. ეს რომ მოგვინდა, კარგია, მაგრამ, მგონი, არასწორი გზა ავირჩიეთ ამის მისაღწევად. შორენას რჩევები რომ იყოს საკმარისი ამისთვის, მაშინ ჯაზზე ერთი-ორი სტატიის წაკითხვაც საკმარისი იქნებოდა გემოვნებიანი მსმენელის ჩამოსაყალიბებლად. დღევანდელ საქართველოში, ვითომ, ტაბუს ახსნაზე და სექსუალურ რევოლუციაზე ვლაპარაკობთ. რომელ რევოლუციაზეა საუბარი, როცა ნახევარი საქართველო ალლა პუგაჩოვას და გალკინის დუეტს უსმენს და ტელევიზორში ლუსიას და როდრიგოს სიყვარულის ისტორიის კარიკატურას უყურებს. ბოდიში, ნახევარი კი არა 80%. სექსუალური რევოლუცია იქ მოხდა, სადაც როკ-ენ-როლი მოხდა და სადაც მერლინ მონრო მოხდა. ეს რევოლუცია ვერ მოხდება იქ, სადაც პორნოსა და ეროტიკას ერთმანეთისგან ვერ ასხვავებენ, სადაც სექსუალურად ვულგარული მიაჩნიათ, სადაც „ღამე შორენასთან“ ხდება, სადაც ფილმებში „კოცნებზე“ ყურების დახარბება ხდება. გეტყვით, რატომ ვერ მოხდება, იმასაც გეტყვით, რას ავიკვიატე ეს „ღამე შორენასთან“.

საქმე ისაა, რომ ეს დასალუპავი თვალი, ყური და გონება არანორმალური სიზუსტით აღიქვამს ზღვარს ხელოვნურობასა და ბუნებრიობას შორის და უფრო მეტად – ზღვარს ზედმეტსა და აუცილებელს შორის. ის, რაც არაფრიდან არ გამომდინარეობს, უცილობლად ზედმეტია ხოლმე. ზემოხსენებულ გადაცემაში კი ათასი რამის ნახვა შეიძლება, რაც არაფრიდან არ გამომდინარეობს და ხელოვნურია. გადაცემის აზრი ისაა, რომ ძვირფასმა შორენამ, რომელიც, თითქოს განსწავლულ-გათვითცნობიერებულ-გამოცდილია მის სასაუბრო თემებში, მაყურებელიც უნდა განანათლოს. სინამდვილეში კი, თუ წამყვანის, ერთი შეხედვით, თამამ და უკომპლექსო მოძრაობებს დაუფკვირდებით, რომლებსაც სექსუალურობის იარლიყი აქვთ მიკერებული, ვნახავთ, რომ სინამდვილეში მისი ყოველი მიხვრა-მოხვრა გაუბედაობითაა სავსე და წინასწარ დადგმული სპექტაკლის ნაწილია. რაც არათუ ნდობას აღძრავს მაყურებლის მხრიდან მისი „თეორიებისადმი“, არამედ პირიქით, გვაგრძნობინებს, რომ ეს ვითომ უკომპლექსო სცენა სინამდვილეში



ფოტოზა: სერიალ „ექიმი ჰაუსის“ მონაწილეები



კომპლექსიანი გოგონას დადგმული ფარსია. წამყვანი, რომელიც, გადაცემის პროდიუსერების ჩანაფიქრით, უშუალო, თავისუფალი, დაუცხავი, სტრესის მომხსნელი მანერებით და საუბრის სტილით უნდა ხასიათდებოდეს, სინამდვილეში დაძაბული, ტექსტზე ორიენტირებული და ცარცით დახაზულ ტრაექტორიაზე გავლისას მონადინებულია. და, როგორც თვითონ მან აღნიშნა ერთ-ერთ ტელეგადაცემაში, მისი ეს „უკომპლექსობა“ სინამდვილეში სწორედ კომპლექსიანობითაა ნაკარნახევი. მე მგონია, რომ შორენა ბეგაშვილი და მისი გადაცემა კონკრეტული შემთხვევა კი არაა, არამედ ქართული ცნობიერებისა და აზროვნების თანამედროვე ფორმულა და განზოგადებაა და სწორედ ამიტომ მივანიჭე მას ასეთი მნიშვნელობა.

ის, რომ ეს ზოგადი შემთხვევაა, დაადასტურა ბოლო ხანებში გადაღებულმა ქართულმა ფილმებმაც, (გგულისხმობ „გოგონა სლაიდიდან“, „ყველაფერი კარგად იქნება“ და მისთ. :)). რეჟისურის დონეს რომ სულ თავი დავანებოთ და მარტო სიუჟეტი განვიხილოთ, მაინც ვერ ავცდებით იმ კრიტიკას, რომელიც ამ ფილმებისთვის, ჩემი აზრით, „დასაშური“ არაა. ზემოხსენებული ფილმების სიუჟეტებიდან ზედმეტი, ყურით მოთრეული სცენები რომ ამოვიღოთ, ხელში შეგვრჩება მოკლემეტრაჟიანი და თან უინტერესო ფილმი. საქმე ისაა, რომ ფილმი გაძეგლილია ძალად ჩატენილი ეროტიკული სცენებით. ამას რომ ფილმის მესვეურებთან ახსენებ, მაშინვე მოგიტრიალდებიან და გეტყვიან, რომ ჩამორჩენილი ხარ, და რომ ევროპული კულტურისგან შორს დგახარ. სინამდვილეში კი ხმას იმიტომ ვიღებ, რომ მანდდან შორს არ ვგრძნობ თავს. სასაცილოა თანამედროვე ევროპული კინემატოგრაფიის შედარება იმასთან, რასაც დღეს თანამედროვე ქართულ კინოს ეძახიან, მაგრამ რადგან საუბარმა მოიტანა, არც ამას ავარიდოთ თავი.

მთავარი განსხვავება ევროპულ და ქართულ კინოფილმებს შორის ის არის, რომ ევროპულ კინოში გინდ ეროტიკული, გინდ საბრძოლო სცენა საშუალებაა აზრის გამოსათქმელად და არა მიზანი, როგორც ქართულ კინოში ხდება ხოლმე. ფილმში არცერთი სცენა არ უნდა იყოს მიზანი, მიზანი უნდა იყოს თვით ფილმი. ამიტომაც ევროპული კინოს პრემიერის რეკლამირების დროს საინფორმაციო გამოშვების კულტურის ბლოკში ანონსი დაახლოებით ასე ჟღერს: „რეჟისორი ჯეკი თავისი შემოქმედებით კიდევ ერთხელ შეეხო თანამედროვე საზოგადოებაში არსებულ გაუცხოების ფენომენს და ახლებურად დაგვანახა...“ და ა.შ. ქართულ ფილმზე საუბრისას კი რეჟისორის ვინაობას სიუჟეტის შუაში, ბოლოში ან ტიტრებიდან ვიგებთ. პირველ ყოვლისა კი იმას გაცნობებენ, რომ ლამაზი სხეულის მქონე რომელიღაც მსახიობი ან მოდელი ფილმისთვის გაშიშვლდა. განა მე და ჩემნაირები იმის წინააღმდეგნი ვართ, რომ ქართული კინო ევროპულს ჰგავდეს, მაგრამ ის კი არ გვინდა, რომ ქართული ფილმი კოლუმბიურ სერიალს დაემგვანოს, სადაც მთავარ გმირს საშხაპეში მხოლოდ იმ მიზნით აჩვენებენ, რომ მის დაკუნთულ სხეულს დაახარბონ დედაკაცები და შურით აღავსონ მამაკაცები.

გასაგებია, რომ უამრავ რევილუციასთან ერთად, რომელიც თანამედროვე ქართველობამ მოვანყვეთ, ფსიქოლოგიური რევილუციის მოხდენაც გვინდა ჩვენში, მაგრამ უნდა შევიგნოთ, რომ ამისთვის არა მხოლოდ აზროვნების წესის, არამედ ფსიქიკის შეცვლაც გვჭირდება. ამიტომ სულაც არაა საჭირო და აუცილებელი „ტოპიკების“ და ბიკინის

ჩაცმა, სექსზე ყურით მოთრეული გადაცემების მომზადება და „თითქმისპორნო“ ფილმების გადაღება იმისთვის, რომ ეს გარდაქმნა მოვანყოთ ჩვენში. მეტიც, ამ გზით მიზანს სულაც ავცდებით. ჩვენ პირველ ყოვლისა ჩვენი ფსიქიკისა და გონების მომზადება გვჭირდება ამ გარდაქმნების მისაღებად და მხოლოდ შემდეგ უნდა დავიწყოთ გარდაქმნა. ამის მომზადება კი განათლების, ინტელექტის, მაღალი გემოვნების ჩამოყალიბების, ზოგადსაკაცობრიო და ნაციონალური ღირებულებების გააზრების გარეშე შეუძლებელია. სხვანაირად ის გარდაქმნები, რომლებსაც დღეს ჩვენში გათანამედროვეებას და მოდერნს ეძახიან, დაახლოებით ისეთი რამე გამოვია, როგორიცაა მწარე წამალი, რომლის დაღვევისას ყველანაირ გრძნობის ორგანოს გამორთავ და ისე სვამ, ოღონდაც ფიზიკურად ჩავიდეს შენს ორგანიზმში. ამგვარი ხერხებით ფსიქოლოგიურ რევოლუციას ვერ მოვახდენთ, და თუ მართლა გვინდა გვეცვას ბიკინი და მოვიხსნათ რიდე, მაშინ ალლას და გალკინს კი არ უნდა ვუსმინოთ, მაჯანჯაზე კი არ უნდა ვიცეკვოთ, კარმელასა და ხუან-სებასტიანის გამო კი არ უნდა ვიტყვი, „მგლები“ და „მორიელი“ კი არ უნდა ვიკითხოთ, მინიმუმ ლენონს უნდა ვუსმინოთ, მინიმუმ „როკ-ენ-როლზე“ უნდა ვიცეკვოთ, მინიმუმ „მამაცი გული“ უნდა ვნახოთ, მინიმუმ ო'ჰენრი, ან ჯეკ ლონდონი უნდა წავიკითხოთ და მერე დავიწყოთ იმაზე ფიქრი, აუცილებლად გვჭირდება თუ არა გადაცემა, რომელიც სექსუალურ რევოლუციას მოახდენს ჩვენს ცნობიერებაში. მანამდე კი დავრჩებით უკომპლექსო კომპლექსიანებად და „დათა თუთაშხიასაც“ იმ მოლოდინით ვუყურებთ, აბა როდის აიღებს კიკუ თუმანს და გაიხდის.



## რექტორი

გივი შეყილაძე

## მსახურება ჟამსა უმძიმესსა



1991 წელი.

უმძიმესი ხანა საქართველოს უახლეს ისტორიაში.

ქვეყნის ყოფნა-არყოფნის ზღვარზე, ქართული უნივერსიტეტის ცხოვრებაში, როგორც სარკეში, ისე ირეკლებოდა სამოქალაქო დაპირისპირების ავბედითი სინამდვილე.

უნივერსიტეტს ფუნქცია მოეშალა. სწავლა შეწყდა...

საქართველოს პრეზიდენტისაგან დაუსწრებლად რექტორად დანიშნულმა აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ მალე დატოვა თანამდებობა, მის კვალზე შერჩეული აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე ვერ გაუმკლავდა ეგრეთწოდებული პოლიტიკური პარტიების შემოტევას.

ქვეყნის უპირველეს სასწავლებელში სრული ქაოსის წინა დღე იდგა.

ამ დროს, 1991 წლის 16 ოქტომბერს, ზვიად გამსახურდიას ხელდასხმით რექტორად მოდის როინ მეტრეველი.

უნივერსიტეტის დიდი საბჭოს წინაშე იგი იტყვის: „ერთადერთი, რამაც გამაბედვინა თანხმობა მიმეცა რექტორად ჩემს დანიშვნაზე, არის გულწრფელი სიყვარული უნივერსიტეტისა“.

დიახ, ერის სათაყვანო კერაში აღზრდილ მამულიშვილს სხვაგვარად არ შეეძლო.

„რექტორობის გამოცდილება მაქვს და ვიცი, რომ ეს ყველაზე რთული თანამდებობაა. რექტორზე დაუცველი კაცი არ არსებობს – მის უკან არავინ არ დგას“, – როინ მეტრეველის ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში საზოგადოება ცხადად დარწმუნდება მოგვიანებით, უკვე ოცდამეერთე საუკუნის დამდეგს, როცა

ეროვნული განათლების ტოტალურ ნგრევას შეუდგებიან.

მანამდე კი...

„მე ავტონომიურობის მომხრე ვარ – არამართო უნივერსიტეტის, მისი საბჭოსი, არამედ თითოეული პროფესორის ავტონომიურობისა და აკადემიური თვისუფლებისა“.

და ახალმა რექტორმა დიდ სამეცნიერო საბჭოს სთხოვა გამოეყენებინა თავისი ნება და რექტორის არჩევნები გაემართა, ოღონდ ცოტა მოგვიანებით, 1992 წლის გაზაფხულზე, როცა საუნივერსიტეტო ცხოვრება დალაგდებოდა, სტუდენტი სწავლას შეუდგებოდა, პედაგოგი ლექციას ჩაატარებდა, მეცნიერი მეცნიერულ კვლევას დაუბრუნდებოდა.

მართლაც, შემდგომი წლის 18 აპრილს რექტორის არჩევნები გაიმართა და პროფესორი როინ მეტრეველი უნივერსიტეტის ისტორიაში მესამე არჩეული რექტორი გახდა, პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის შემდეგ.

თბილისის უნივერსიტეტი მხოლოდ უმაღლესი განათლების კერას არ წარმოადგენდა, იგი ეროვნული თვითმყოფადობის სიმბოლოც იყო.

ახალ რექტორს უნდა გაეგრძელებინა ღირსეული წინამორბედების ძალისხმევა. აქ დიდი ივანე ჯავახიშვილის და პეტრე მელიქიშვილის კვალდაკვალ იგულისხმებიან: ალექსანდრე ჯანელიძე, ნიკო კეცხოველი, ვიქტორ კუპრაძე, ევგენი ხარაძე, ილია ვეკუა, დავით ჩხიკვიშვილი...

მაშინ კი, 1991 წლის 16 ოქტომბერს, დიდი საბჭოსადმი მოკლე მიმართვაში წარმოჩენილი ორიენ-



ტირებიდან საგულისხმო იყო:

– უნივერსიტეტი უნდა გახდეს აპოლიტიკური სასწავლებელი. აქ უნდა მოღვაწეობდნენ მხოლოდ მეცნიერული ღირსებებით შერჩეული პედაგოგები, მიუხედავად მათი პოლიტიკური მრწამსისა, რაც უნივერსიტეტში ფეხის შედგმისთანავე „გარეთ“ უნდა „დატოვონ“ და ისე შევიდნენ ლექციაზე;

– აუცილებელია შეიქმნას სტუდენტთა დამოუკიდებელი თვითმმართველობა, რომელიც ორიენტირებული იქნება მხოლოდ სწავლასა და ახალგაზრდობის ყოფაცხოვრების გაუმჯობესებაზე;

– მუდმივი ზრუნვა უნივერსიტეტის არა მხოლოდ მეცნიერ-პედაგოგებზე, დამხმარე პერსონალზეც – დამლაგებლიდან მოკიდებული, ლაბორანტებითა და ტექნიკური მუშაკებით დამთავრებული.

უნივერსიტეტის თავზე ჯერ კიდევ მაშინ ეკიდა დამოკლეს მახვილივით შტატების შემცირების მოთხოვნა.

აკი პირველივე დღეს თქვა რექტორმა:

„რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჩვენი შტატების შემცირებას ითხოვენ. ამასთან დაკავშირებით მექნება მსჯელობა ზემდგომ ორგანოებში, რათა მოგვეცეს საშუალება გარკვეული დროით გადავდოთ ეს პროცესი, და, საერთოდ, უმტკივნეულოდ გადავდგათ ნაბიჯები ამ მიმართულებით“.

და როინ მეტრეველმა ჭეშმარიტად შეძლო უნივერსიტეტის პატრონობა.

ქაოსის, შიმშილის, უგუნურობის წლებში მას არავინ დაუთხოვია უნივერსიტეტიდან, მიუხედავად სისტემატური ზეწოლისა.

ამით უნივერსიტეტის ორგანიზმი არ დასუსტებულა, არ დაუძლურებულა, პირიქით! კოლექტივმა შეიყვარა თავისი ხელმძღვანელი და, როდესაც ხუთი წლის შემდეგ კვლავ შედგა რექტორის არჩევნები, დიდმა სამეცნიერო საბჭომ მთელი უნივერსიტეტის თანადგომით



და სიყვარული დაადასტურა და გააფორმა.

თავს უფლებას მიეცემ და ამ წერილის მკითხველს შევახსენებ და წარვუდგენ 1997 წლის 24 აპრილს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ ჩემს წერილს – „შორსმიმავალი არჩევანი: აკადემიკოსი როინ მეტრეველი კვლავ უნივერსიტეტის რექტორია“:

„21 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მნიშვნელოვანი დღე იყო. დიდმა სამეცნიერო საბჭომ შესაშური ერთსულოვნებით რექტორად კვლავ აკადემიკოსი როინ მეტრეველი აირჩია. დღევანდელი რექტორი 22-ეა. უნივერსიტეტის მომავალი მეისტორიე მას იმ მოღვაწეთა შორის მიუჩენს ადგილს, სამაგალითო მამულიშვილებად რომ აღიბეჭდნენ შთამომავლობის მესხიერებაში.

21 აპრილს ახლანდელი რექტორის თვალსაწიერსა და მოღვაწეობაზე კეთილი სიტყვები ხმამაღლა ითქვა. განვლილი ხუთწლეული საქართველოს უმძიმესი პერიოდი იყო და, ბუნებრივია, ეს თბილისის უნივერსიტეტსაც დაეტყო. ძნელბედობამ და „სამოქალაქო საშინელებამ“ მის დერეფნებსა და აუდიტორიებზეც გადაიარა. როგორც აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ განაცხადა, ამ ვითარებაში ერთადერთი იყო როინ მეტრეველი, რომელიც არ შემდრკალა და რექტორობის საპატიო მისია იტვირთა.



რექტორმა შეძლო უნივერსიტეტი ღირსეულად გამოეტარებინა მრავალ ნყალქვეშა რიფსა თუ გაცხადებულად მოვლენილ საშიშროებათა შორის. უპირველესად მისი დამსახურებაა, რომ თეთრ ტაძარს არ შეერყვნა სისპეტაკე, არ იქცა ანგარიშსწორების ადგილად და ყველასთვის თანაბრად დარჩა მეცნიერების, განათლების, ერის მომავალი თაობის აღმზრდელ კერად.

რექტორის მოღვაწეობის მრავალ ასპექტთაგან პროფესორმა ლევან ყიყიაშვილმა განსაკუთრებულ მადლად ჩაუთვალა როინ მეტრეველს უნივერსიტეტში წმიდა მეფის დავით აღმაშენებლის სახელზე ეკლესიის აშენება, გახსნა და დაფუძნება.

რექტორი დამისი მრევლი ერთად იყვნენ განვლილ ხუთ წელიწადს და მესამე ათასწლეულში თბილისის უნივერსიტეტი აკადემიკოს როინ

მეტრეველის რექტორობით შევა“.

როინ მეტრეველის ორგანიზატორული უნარის ნყალობით უნივერსიტეტში მრავალი ასპექტით წარმართებოდა მეცნიერული მოღვაწეობა ყველა დარგში. მისთვის ერთნაირად ახლობელი იყო ჰუმანიტართა და ბუნებისმეტყველთა ძიებანი და სიახლეებისადმი ლტოლვა.

თვითონ წარმატებით დააფუძნა ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, შემოიკრიბა ათობით ნიჭიერი ახალგაზრდა, რომლებიც დღეს უკვე სახელოვანი მეცნიერები არიან.

ცალკე გამოსაყოფია აკადემიკოს როინ მეტრეველის გამორჩეული პატივისცემა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ისადმი, რაც ყველაზე უკეთ გამოიკვეთა მის მონოგრაფიაში „პატრიარქი“.

P. S. ამ წერილში მხოლოდ როინ მეტრეველის უნივერსიტეტის რექტორად მოღვაწეობის რამდენიმე ეპიზოდია წარმოდგენილი ფრაგმენტულად და ძუნწად. როცა თვალს ვავლებ მის გავლილ გზას, არ მშორდება ფიქრი, რომელიც ახლა, უნდა გავკადნიერდე, და ხმამაღლა განვაცხადო: რა თქმა უნდა, სულ სხვაგვარად წარმართებოდა საქართველოს მომავალი, შორეულ 70-იან წლებში როინ მეტრეველის მოღვაწეობის ვექტორი მოულოდნელად რომ არ შეცვლილიყო...

თეატრი

თამარ კიკნაველიძე

გორდონ კრევისეული ზღაპარი

ედვარდ ჰენრი გორდონ კრეგი 1872 წელს დაიბადა. ასეთი, ერთი შეხედვით, ბანალური დასაწყისი შემთხვევითი არ არის. ის ერთგვარი აქცენტი, გნებავთ ხაზგასმა იმისა, რომ სახელგანთქმული რეჟისორი ცხოვრობდა ეპოქაში, რომელსაც აზროვნებით გაუსწრო.

კრეგმა გავლენა მოახდინა თეატრალური ხელოვნების განვითარებაზე, ადამიანებზე, რომლებიც მასთან თანამშრომლობდნენ და მის მუშაობას ადევნებდნენ თვალს. მათ შორის ქართველი რეჟისორიც აღმოჩნდა.

კოტე მარჯანიშვილი მოსკოვის სამხატვრო თეატრში 1909 წლის ბოლოს მიიწვიეს. იმ დროს იქ გორდონ კრეგი შექსპირის „ჰამლეტის“ პრობლემის სცენურ გადაწყვეტაზე მუშაობდა. ამის შესახებ მარჯანიშვილი წერს წერილში, რომელიც 1972 წელს შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის ინიციატივით გამოცემულ მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის ამსახველ პირველ კრებულშია შეტანილი.

რა გავლენა მოახდინა კრეგმა მარჯანიშვილზე? ეს საკითხი გამოსაკვლევიანია. მით უფრო, რომ ქართველი რეჟისორის მოგონებებში გამოკვეთილია პოზიცია, რომელიც კრეგის შემოქმედებითი ძიებების სასარგებლოდ მეტყველებს. მისი დამოკიდებულება ხაზგასმულია წერილში, რომელშიც იხსენებს: – „აი, ჩემ წინ ორი დიდი ოსტატია სცენის: გორდონ კრეგი და სტანისლავსკი. ერთი – პოეტი, რომელიც ყველაფერში რიტმს ეძებს: კითხვაშიც, პროზაშიც, სცენურ შემოქმედებაშიც. მეორე – სიმართლის მაძიებელი: სხეულის მოძრაობაშიც, ლექსის წარმოთქმაშიც, ფსიქოლოგიური ამოცანების გეგმაშეწონილად განვითარებაშიც. და მე მივხვდი, თუ რა აბსურდია ამ ორი შემოქმედის შეერთება, მაგრამ ვერ გავბედე თუნდაც აზროვნებით დავეპირისპირებოდი სამხატვრო თეატრს, იმდენად ძლიერი იყო ჩემში მისი წარმოდგენების ჯადოქრული მომხიბლაობა. და, მიუხედავად კრეგისეული ზღაპრით გატაცებისა, მაინც ვერ გავბედე ამ თეატრის გარეშეც კი გამეკეთებინა რაიმე სხვანაირად, ვიდრე სტანისლავსკი აკეთებდა“.

გავა სულ ცოტა ხანი და სტანისლავსკი, მას შემდეგ რაც კრეგი მოსკოვიდან გაემგზავრება, სწორედ მარჯანიშვილს ანდობს „ჰამლეტის“ დეკორაციულ გაფორმებას. ქართველი რეჟისორისთვის მეტად საპასუხისმგებლო შეთავაზებით მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში ახალი ეტაპი დაიწყება.

ინგლისელი ექსპერიმენტატორის დადგმაზე მუშაობისას, ქართველი რეჟისორი ცდილობდა მაქსიმალურად გაეთვალისწინებინა ის, რაც კრეგს ჰქონდა ჩაფიქრებული. ცხადია, ეს არ მოხდებოდა,



ფოტოზა: გორდონ კრეგი  
ჰამლეტის როლში.



რომ არა სამხატვრო თეატრის წარმომადგენლების ნება. მათზე გორდონ კრეგის იდეებმა იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ „მონოლითურმა თეატრმაც“ კი ვერ აუარა გვერდი.

ვინ იყო გორდონ კრეგი? ის თამაშობდა თეატრში, დგამდა სპექტაკლებს, ხატავდა, ქმნიდა გრაფიურებსა და თოჯინებს, წერდა პიესებსა და მემუარებს, გამოსცემდა ჟურნალს, ხელმძღვანელობდა თეატრალურ სკოლას იტალიაში. მისი შემოქმედებითი პოტენციალი კი მხოლოდ ნაწილობრივ იქნა რეალიზებული – XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი უძლური აღმოჩნდა იმისათვის, რომ კრეგის იდეები განეხორციელებინა. მაშინ ამის ტექნიკური საშუალება არ არსებობდა.

კრეგს არც აღიარება აინტერესებდა და არც ოვაცია ხიზლავდა. ის წარმატებად მხოლოდ საკუთარ თავთან გამარჯვებას მიიჩნევდა. და მიუხედავად იმისა, რომ მასთან თანამშრომლობის სურვილი ბევრს აღმოაჩნდა, ბოლომდე მაინც ვერავინ გაუგო. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ კრეგი კომპრომისზე არასოდეს მიდიოდა. ჯიბეცარიელი დადიოდა მაშინაც, როდესაც მთელი ევროპა და ამერიკა მისი იდეებით საზრდოობდა. პარადოქსული გახლდათ ისიც, რომ ამ შემოქმედის პროექტების განხორციელება ისეთ კულტივირებულ გარემოშიც კი სცადეს, როგორც „მესამე რაიხი“ ან „სტალინური სოცრეალიზმი“ იყო.

კრეგი ხელოვანთა ოჯახში დაიბადა – დედამისი, **ელენ ალის ტერი** თეატრში 8 წლის ასაკიდან თამაშობდა და სახელმწიფოვეტილი მსახიობი იყო, ხოლო მამა – **ედვარდ უილიამ გოდვინი** ცნობილი არქიტექტორი, არქეოლოგი, თეატრის მხატვარი და შექსპირის შემოქმედების მკვლევარი გახლდათ. მშობლების პროფესიულმა გამოცდილებამ და საქმისადმი დამოკიდებულებამ კრეგის, როგორც შემოქმედის, ჩამოყალიბებასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მასზე დიდი გავლენა იქონია ცნობილმა მსახიობმა **ჰენრი ირვინგმა**, რომელიც ელენ ტერის მეორე ქმარი იყო. ასე რომ, სახელი ედვარდი მას მემკვიდრეობით მამისგან ერგო, ჰენრი კი – ნათლიმამის პატივსაცემად დაარქვეს, გორდონი – მისი ნათლიედის გვარის ნაწილია, ხოლო კრეგი – ეს არის სახელწოდება მთისა, რომელიც შოტლანდიაში მდებარეობს და იმაზე მიუთითებს, რომ მასში შოტლანდიური და ირლანდიური სისხლი ჩქეფდა.

გორდონ კრეგი „ლიცეუმის“ სცენაზე ხუთი წლის ასაკში გამოვიდა. 13 წლიდან უკვე გასტროლებში მონაწილეობდა, 17 წლისა – წარმატებით ასრულებდა მეორეხარისხოვან როლებს, ხოლო 90-იანი წლების დამდეგს შექსპირის პერსონაჟებიც განასახიერა. კრიტიკოსები მას ბრწყინვალე სამსახიობო კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ. თუმცა 25 წლის ასაკში კრეგმა მსახიობობაზე უარი თქვა და 1897-1900 წლებში გრაფიურის ტექნიკაში დაოსტატდა. ამ საქმისათვის მას მთელი ცხოვრების მანძილზე არ უღალატია.

კრეგი ექსპერიმენტატორი აღმოჩნდა.

რას ნიშნავს ექსპერიმენტი თეატრში? – ამოცანის გადაწყვეტის ახლებურ გააზრებას, რაც აისახება სპექტაკლის ფორმაზე, სამსახიობო თამაშის მანერაზე, სასცენო სივრცის პრობლემის გადაჭრაზე. სწორედ ამ უკანასკნელის თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი და


საინტერესო კრეგის მიგნებები. ბუნებრივი მონაცემების პარალელურად, მის დაოსტატებაზე დიდი გავლენა იქონია იმ შემოქმედებითა გარემომ, რომელშიც გაიზარდა და კიდევ – მისმა მეუღლემ – **აისედორა დუნკანმა**. თვალს ადევნებდა რა მოცეკვავე დუნკანის თავისუფალ პლასტიკას, კრეგი მიხვდა, თუ რა მომნუსხველია მოძრაობა. სწორედ ამ კომპონენტზე ააგო მან მთელი თავისი შემოქმედება და, მართალია, სულ რამდენიმე სპექტაკლი განახორციელა, მაგრამ თითოეული მათგანი ახალი რეჟისორული მიგნებების გამოვლინებად აქცია.

რა შემოგვთავაზა კრეგმა? უპირველესად სასცენო სივრცის ახლებურად წარმოჩენა, რისთვისაც განსაკუთრებული დატვირთვა სათეატრო განათებას მიანიჭა.

სათეატრო განათების სფეროში განხორციელებულ ექსპერიმენტამდე ის ძიების სურვილმა მიიყვანა. კრეგი თავის თანადროულ თეატრს მკაცრად და დაუნდობლად მაშინ აკრიტიკებდა, როდესაც XX საუკუნის ევროპული თეატრი არავითარ ალტერნატიულს გზას არ აძლევდა. აი, ამ დროს დაიწყო კრეგმა ექსპერიმენტები და ოცნება იმაზე, რომ ფიცარნაგზე მარიონეტი და ნილაბი დაებრუნებინა.

რითი ინყებს ექსპერიმენტს? უპირველესად იმით, რომ ფერწერულ დეკორაციებზე აცხადებს უარს, არღვევს ნორმირებულ ინტერიერს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სპექტაკლში შეაქვს იმ პერიოდისთვის უჩვეულო და ვირტუოზულად დამუშავებული განათების რთული პარტიტურა. კრეგის სპექტაკლებზე შემორჩენილ მასალას თუ გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ მის დადგმებში განათებას ისეთივე სიმბოლური დანიშნულება ჰქონდა, როგორც მის მიერ აგებულ მიზანსცენებს. აღსანიშნავია, რომ განათების პარტიტურას ის მისთვის გამორჩეულად საყვარელი შირმების მოძრაობასთან შესაბამისობაში ამუშავებდა. თუმცა, შირმებისა (ერთგვარი screens) და „ზემარიონეტის“ (Übermarionette) აღმოჩენამდე მან რამდენიმე დადგმა განახორციელა.

ვიდრე ამ რეჟისორის მიღწევებზე განათების სფეროში უშუალოდ „ჰამლეტის“ მაგალითზე ვისაუბრებდე, შეუძლებელია არ ვახსენო მისი პირველი დამოუკიდებელი დადგმა – **ჰენრი პერსელის** ოპერა „დიდონი და ენეა“, რომელიც 1900 წელს, პერსელის საზოგადოებაში განახორციელა. რატომ არის ის მნიშვნელოვანი? უპირველესად იმის გამო, რომ მასში გამოიკვეთა კრეგის მისწრაფებები და მცდელობები. აი, ნახეთ! მან თავიდანვე უარი განაცხადა მოქმედების ადგილის აღდგენაზე და სასცენო სივრცის ორგანიზებაში მნიშვნელოვანი ადგილი განათებას დაუთმო. ამ შემთხვევაში განათების მთავარი წყარო განთავსებული იყო სცენაზე, საგანგებოდ შექმნილ ფიცარნაგზე, ხოლო დანარჩენი – სიღრმეში. ვერტიკალური და ჰორიზონტალური განათების შერწყმით კრეგმა სივრცეს იოლად შეუცვალა სახე; სცენის უკანა დეკორაციაზე უჩვეულო ჩრდილები შექმნა და ატმოსფეროს გარდასახვა მოახერხა; შუქი, რომელიც თითქოსდა „ციდან იღვრებოდა“, მაყურებელს ღია სივრცის ილუზიას უქმნიდა და შთაბეჭდილებას უძლიერებდა. დიდონის სამეფო ტახტი მან სცენის შუაგულში, გამჭირვალე უკანა დეკორაციის ფონზე მოათავსა. ეს ფონი თურმე იისფერ-მონითალო ღრუბლებს მოგაგონებდათ.



ფოტოზა: გორდონ კრეგი „ჰამლეტის“ მაკეტთან.



წარმოდგენის მსვლელობისას მუდმივად იცვლებოდა ფერი: იქ ჯერ ლურჯი და წითელი დომინირებდა – ისინი ტრაგედიის ატმოსფეროს ქმნიდნენ, ფინალში კი – მომწვანო-მოლურჯო ტონები ძლიერდებოდნენ, რაც დღესასწაულისა და ჰარმონიის განცდას ბადებდა. ენეას დიდონის კუნძულიდან გამგზავრება ლურჯი უკანა დეკორაციის ფონზე ხდებოდა. მასზე ანძებისა და შორს წასული ჯარისკაცების შუბების ფრაგმენტები იკითხებოდა. ანძებისა და შუბების ვერტიკალები უზარმაზარი სივრცის განცდას აძლიერებდა. კრეგი მთლიანობასა და ესთეტიკურ სრულყოფილებას, შეიძლება ითქვას, რომ პირველივე ნამუშევარში მიუახლოვდა.

რეჟისორის პირველივე მცდელობა მაგალითია იმისა, რომ სასცენო სივრცის ახლებურ გააზრებას ის განათების რთული პარტიტურის შემოღებით ცდილობდა. ამ გადასახედიდან ეს სიტყვები, შესაძლოა, სასაცილოდაც მოგეჩვენოთ, რადგან XXI საუკუნეში ტექნიკა იმდენად განვითარდა, რომ შეუძლებელი თითქმის არაფერია. თუმცა იმ დროისთვის, როდესაც განათება, ძირითადად, მხოლოდ მიზანსცენების აღსაქმელად გამოიყენებოდა, კრეგის ინიციატივა – სათეატრო განათებისთვის კონცეპტუალური დატვირთვა მიენიჭებინა, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი განაცხადია. ამ დადგმაში გამოიკვეთა ისიც, რომ რეჟისორისთვის განათება დეკორაციაზე პრივილეგირებულია და მხატვრული პრობლემის გადაჭრის საშუალება ხდება. ეს ყველაზე უკეთ კრეგის მასშტაბურ დადგმაში, „ჰამლეტში“ გამოიყვანა.

რა ხდებოდა მანამდე, ვიდრე სტანისლავსკი მას მოსკოვის სამხატვრო თეატრში მიიწვევდა? ექსპერიმენტებს ის ერთიმეორის მიყოლებით ახორციელებდა. კონფლიქტური და ტრაგიკული განცდის შექმნის არაერთი მცდელობა განავითარა მან წარმოდგენებში, რომლებიც 1900-იანი წლების დამდეგს დადგა, ესენია: **გ. პერსელის** „სიყვარულის ნილაბი“, **ჰენდელის** „აცისი და გალათეა“, **ჰ. იბსენის** „მეომრები ჰელგოლანდში“, **შექსპირის** „აურზაური არაფრის გამო“.

1904 წელს ის **ოტო ბრამმა** ბერლინის „ლესინგ-თეატრში“ **თომას ოტვეის** „გადარჩენილი ვენეციის“ დასადგმელად მიიწვია. ამ წარმოდგენას იმიტომ ვახსენებ, რომ კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი, თუ რაოდენ მკაფიოდ ჰქონდა ჩამოყალიბებული და გააზრებული კრეგის საკუთარი იდეები, თეორიები და სტილი.

თავდაპირველად მათი თანამშრომლობა უსიამოვნების გარეშე ვითარდებოდა. თუმცა გერმანელი რეჟისორ-ნატურალისტისა და ინგლისელი ნოვატორის თეატრალური კონცეფცია ერთმანეთის სანინააღმდეგო აღმოჩნდა და კონფლიქტიც გაღვივდა. ყველაფერი მაშინ დასრულდა, როდესაც ბრამმა კრეგს მოქმედების ადგილისა და საგნების დაკონკრეტება მოსთხოვა. ამ დროს კრეგი სცენაზე ავარდა და უკანა დეკორაციაზე ცარცით კარები მონიშნა. ეს ოტო ბრამის მხატვრულ გემოვნებას არ შეესაბამებოდა, რამაც კრეგს დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობა არ მისცა და ამ წარმოდგენის განხორციელებაზე ხელი ააღებინა.

მსგავსი მაგალითები კრეგის შემოქმედებით ბიოგრაფიაში ბევრია. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მან ეპოქას, რომელშიც ცხოვრობდა, აზროვნებით გაუსწრო და შესაბამისად, მისი თანამედროვე-

ბისათვის, სხვადასხვა ესთეტიკურ პრინციპებზე აღზრდილი და ჩამოყალიბებული ადამიანებისთვის, იოლი არ იყო გაეგოთ ის, რასაც მათ ახალგაზრდა ინგლისელი ნოვატორი სთავაზობდა. მისდამი, როგორც შემოქმედისადმი, უნდობლობამ კი, შეიძლება ითქვას, კრეგის არაერთი ჩანაფიქრის განხორციელებას შეუშალა ხელი.

პრაქტიკულ სამუშაოს მონყვეტილი ხელოვანი საკუთარ იდეებსა და მოსაზრებებს თეორიულ შრომებში აყალიბებდა.

მკითხველი მის თეორიულ ნაშრომს პირველად 1905 წელს გაეცნო, როდესაც გერმანიაში კრეგის „სათეატრო ხელოვნება“ გამოქვეყნდა. ეს გამოცემა მოგვიანებით თეატრალური სიმბოლიზმის მანიფესტად მიიჩნეეს. 1911 წელს მისი „სათეატრო ხელოვნების შესახებ“ შექმნილი სტატიების კრებულიც გამოიცა. თუმცა, მანამდე მან შექსპირის „ჰამლეტზე“ დაიწყო მუშაობა.

კრეგის მიერ 1907-1908 წლამდე განხორციელებულ ექსპერიმენტებში ნათლად გამოიკვეთა მისი ხელწერისათვის დამახასიათებელი ერთი დეტალი, კერძოდ ის, რომ ამ ხელოვანის სიმბოლისტური მსოფლმხედველობა რეჟისურისა და სცენოგრაფიის ერთიანობას მოითხოვდა. ამ შემთხვევაში, სასცენო სივრცის გარდასახვის ყველაზე ეფექტური საშუალება შუქის დინამიკის გამოყენება აღმოჩნდა.

ცხადია, რომ, რაც უფრო ვითარდება თეატრალური ხელოვნება, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება სპექტაკლში განათების როლი. ადრე ხომ თეატრში სცენას რამპის საშუალებით ანათებდნენ. ეს „რამპა“ – მცირე ბარიერი – ფიცარნაგის განაპირა ნაწილს მიუყვებოდა და მაყურებელთა თვალისგან განათების ხელსაწყოებს მალავდა. ტექნიკურად გამართული განათების სისტემა დღეს ყველაზე უბრალო თეატრშიც კი მოიძებნება.

სტანისლავსკიმ კრეგი „ჰამლეტზე“ სამუშაოდ 1908 წელს მიიწვია. თუმცა, ამ დრომდე ინგლისელს ამ პიესის გაცოცხლებაზე მუშაობა უკვე დაწყებული ჰქონდა. 1899 წლიდან მოყოლებული მას „ჰამლეტზე“ ფიქრი არ ასვენებს და მისი ხორცშესხმის იდეით გატაცებული, ჩანახატებს აკეთებს. ჩვენამდე მხოლოდ მისმა რამდენიმე ჩანახატმა და სულ ორიოდ სცენის აღწერამ მოაღწია. ამ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეჟისორის მოსაზრებით, ჰამლეტი სამყაროს „შინაგანი ხედვით“ აღიქვამს და მას „სულის თვალთ“ უყურებს. კრეგს ამოდრავებს სურვილი, ამოიცნოს ყველა ის „ცუდი სიზმარი“, რომელიც ჰამლეტს თან სდევს და მოსვენებას არ აძლევს. მიაჩნია, რომ ტრაგედიის მისეულ აღქმას ავეჯითა და დეკორაციით დატვირთული სივრცე ხელს უშლის და არ შეესაბამება.

სასცენო სივრცის გააზრების მოძველებული ხერხი მან ადრეულ ნამუშევრებშიც უარყო. „ჰამლეტისთვის“ შექმნილ ესკიზებში აღმოვაჩინებთ პირქუშ ვერტიკალებს და მშფოთვარე, აფორიაქებული ადამიანის ფიგურას. და მიუხედავად იმისა, რომ კრეგის მიერ ჩახატული ესკიზების კომპოზიციები ციხეს არ გამოსახავს, ის მაინც აღიქმება როგორც საკანი, რომელშიც სუნთქვა ჭირს. ესკიზები გამიზნული იყო იმისათვის, რომ წარმოეჩინა სამყარო ისე, როგორც ჰამლეტი ხედავდა და განიცდიდა.





ამ მოტივმა ევოლუცია მომდევნო ჩანახატებში განიცადა და მოგვიანებით სპექტაკლშიც გამოიკვეთა. კრეგის ჰამლეტი სამყაროს აბსტრაქტულად ხედავს და საკუთარ თავს აღიქვამს ტუსად – ამ სიტყვის არა მხოლოდ ფილოსოფიური ან მეტაფიზიკური გაგებით, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით – ის დაპატიმრებულია. პრინცის ასეთ მდგომარეობაზე შექსპირი ხაზგასმით მიუთითებს, აღნიშნავდა კრეგი.

აი, ასეთი იდეებით დატვირთული ჩადის ახალგაზრდა ინგლისელი ნოვატორი მოსკოვში, სადაც მას სასცენო სივრცის მონყოლის პრობლემაზე დაფიქრებული სტანისლავსკი და მხატვის (მოსკოვის სამხატვრო თეატრის) შემოქმედებითი ჯგუფი ხვდება. მათი შემოქმედებითი თანამშრომლობა, მიუხედავად იმისა, რომ წინააღმდეგობებით გამოირჩეოდა, მსოფლიო თეატრის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად ჩაითვა. აღნიშნული დადგმა უპირველესად სწორედ სასცენო სივრცის ახლებური გააზრებით გამოირჩეოდა. ეს გახდა მათი დაპირისპირების საბაზისი. რაც კრეგმა სტანისლავსკის შესთავაზა, ამან განუხორციელებლად და ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნია – სტანისლავსკი მოითხოვდა უბრალოებასა და სისადავეს, კრეგი კი იმას, რომ ეს „უბრალოება“ ყოფილიყო მოძრავი და ამასთან, უჩვეულოდ განათებული.

საინტერესოა ესკიზი, სადაც დედოფლის ოთახია („ჰამლეტი“, III აქტი, სცენა 4) აღწერილი. ის მოგაგონებთ ქვის ლაბირინთს, რომელიც ცივი და ბნელი მიწისქვეშეთის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ შემთხვევაშიც კი თვალშისაცემია უზარმაზარი ვერტიკალები. კრეგმა ყველა მოცულობა გაანათა ისე, რომ აღქმადი ყოფილიყო მათი კონტურები და შეფერილობა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – ფაქტურა. კრეგს არ უნდოდა მაყურებელს შეეგრძნო, მაგალითად, ქვის სიმშრალე და ხორკლიანი ზედაპირი. თუმცა ანალოგიურ სიტუაციაში, სავარაუდოდ, საპირისპიროს მოითხოვდა **ანტუანიც, ბრამიც, სტანისლავსკიც და რეინჰარდტიც** კი...

სასცენო განათების თვალსაზრისით, კრეგის მთავარი ამოცანა იყო განათება შინაარსით დაეტვირთა. მას იმ თეატრის დირექტორებთან, რომლებიც სამუშაოდ ინვესტდნენ, ხშირად კონფლიქტი იმის გამო მოსდიოდა, რომ მათ არ სურდათ კრეგისეული დეკორაციების ისე განათება, როგორც ამას რეჟისორი მოითხოვდა.

მკვლევარები აღნიშნავდნენ, რომ კრეგმა „ჰამლეტის“ ახლებური გააზრებით, მოძრავი ვერტიკალების აღმოჩენითა და სასცენო სივრცის უჩვეულო განათებით შექმნა სამყარო, რომელიც კატასტროფის მოლოდინშია და რომელსაც ყოველნამიერად არღვევს უხილავი ელვა... ამ განცდის გადმოსაცემად მან სცენა საგნებისგან გაათავისუფლა და იმის გამო, რომ სტანისლავსკიმ მსახიობებთან მუშაობის საშუალება არ მისცა და რეჟისურა-სცენოგრაფია ჩააბარა, აქცენტი განათებასა და მოძრაობაზე გააკეთა. კრეგს უნდოდა, რომ ტრაგედიის განვითარება ხილული და აღქმადი ყოფილიყო ყველასათვის.

მართალია, „ჰამლეტზე“ რამდენიმეწლიანი განსჯით გატაცებული კრეგი სინანულით „აღიარებდა“, რომ ეს ტრაგედია ხორცმეუსხმელია, განუხორციელებელია და პრეტენზია თეატრისა, ბოლომდე გაიგოს და ახსნას ჰამლეტის არსი, უშედეგოაო, ის მაინც არ იშუ-



რებდა ძალისხმევას იმისათვის, რომ ეკეთებინა ესკიზები, დაეძლია წინააღმდეგობები და ჩანაფიქრი განეხორციელებინა.

შექსპირის ამ ტრაგედიას ის „მისტერიას“ უწოდებდა. სამეფო კარის საცხოვრებელს მაყურებლისთვის გოლგოთა უნდა მოეგონებინა, ამალით გარშემოხვეულ ფორტინბრასს – მთავარანგელოზთა ჯგუფი, ხოლო წარმოდგენის ფინალს – საშინელი სამსჯავრო. აი, ეს არის მთავარი მინიშნება, გნებავთ მიგნება რეჟისორისა, რომლის მიერ შექმნილი ერთი სცენის მაგალითზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ დანიშნულებაზე, რომელიც მან სათეატრო განათებას მიანიჭა.

ცნობილია I აქტის მეორე სურათი: სცენა გაყოფილია ორ პლანად – მაყურებლისგან შორს, სცენის სიღრმეში გაკეთებულია შემალღება, რომელზეც მეფე-დედოფალია დასმული. მათ შემდეგ, რამდენადმე ქვემოთ, ფერხითი კი – მთელი სამეფო კარია წარმოდგენილი. ამის პარალელურად, თითქმის ავანსცენასთან, ერთ-ერთ კუბზე ზის ჰამლეტი, სახით მაყურებლისკენ და ზურგით მეფე-დედოფალთან და დანარჩენებთან. კრეგის შემოქმედების მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ჰამლეტს, როგორც ჩანს, იმდენად ჰქონდა განვითარებული სმენა, რომ სცენის სიღრმიდან მის მიმართ წარმოთქმული რეპლიკები კარგად ესმოდა და მათ თვითონაც ისეთი მშვიდი ტონით პასუხობდა, რომ გეგონებოდათ, საკუთარ თავს ესაუბრებო. მაყურებელს ჰამლეტის როლის შემსრულებელი **ვასილ კაჩალოვი** სწორედ საკუთარ თავთან დიალოგში გატაცებული დაამახსოვრდა. ის საუბრობდა ისე, თითქოს მეფეს მხოლოდ საკუთარ წარმოსახვაში ხედავდა.

რა როლს ასრულებდა ამ სცენაში სასცენო განათება? აქ არ იყო გამოყენებული სცენის ერთიანი განათება, ნაწილობრივი ან დეტალური. განათება დატვირთული იყო იმავე იდეითა და შინაარსით, რითაც კომპოზიცია, სცენაზე ფიგურათა განლაგება და მათ შორის არსებული დამოკიდებულება. დროთა კავშირი დაირღვა. შესაბამისად, გაჩნდა ნაპრაღი, რომლის სხვადასხვა მხარეს მოხვედრილ პერსონაჟებს შორის არსებულ გაუცხოებას კრეგმა სწორედ განათებით გაუსვა ხაზი.

აქამდე ის ძალიან დიდხანს ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ დაექვემდებარებინა ჰამლეტისადმი – პერსონაჟის აფორიაქებული სულიადმი, სამყაროსადმი მის განსხვავებული დამოკიდებულებისადმი – ამხელა სცენა, სივრცე, რომელიც, ერთი შეხედვით, ძალიან უტყვი და თითქმის ცარიელი იყო. თუმცა მოგვიანებით ის მიხვდა, რომ ორად გაყოფილი სამყაროს წარმოსაჩენად უკეთესი იქნებოდა, თუ მათი ერთმანეთთან დაკავშირება ან გაერთიანება არ მოხდებოდა არცერთი გამომსახველობითი ხერხით. უზარმაზარი და მუდმივად მოძრავი, მონოლითური შირმების კლანჭებში აღმოჩენილი ფიგურის მარტოსულობა მან განათების დახმარებით გაამძაფრა. კრეგმა ისეთი განათების პარტიტურა შექმნა, რომ სცენაზე წარმოდგენილი კომპოზიცია გაიმეორა, წარმოაჩინა განცდა და სათქმელი.

სპექტაკლის პრემიერა 1911 წელს გაიმართა. ერთი სეზონის განმავლობაში ის დაახლოებით 400-ზე მეტჯერ აჩვენეს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დადგმისადმი ინტერესი დღესაც არ განელებულა და მკვლევარები ცდილობენ წარმოდგენა ახლებურად შეისწავ-





ლონ და შეაფასონ, პრემიერის შემდეგ კრეგი ხმამაღლა აცხადებდა:

„მათ მე ჭრილობა მომაყენეს. კაჩალოვი ჰამლეტს თავისებურად თამაშობდა. ეს საინტერესოა და შეიძლება ითქვას, ბრწყინვალეც, მაგრამ ის ჩემი ჰამლეტი არ არის, ეს სულაც არ არის ის, რაც მე მინდოდა! მათ გამოიყენეს ჩემი „შირმები“, მაგრამ სპექტაკლს ჩემი სული ჩამოაშორეს“.

კრეგი სიცოცხლის ბოლომდე სინანულით ამბობდა, რომ სტანისლავსკიმ დაუთმო სცენა, მაგრამ არა თავისი მსახიობები. საბოლოოდ, მხატვის რეალისტური სისტემა და კრეგის მისტიკური სიმბოლიზმი ერთმანეთს ვერ შეერწყა.

რატომ არის ეს დადგმა განსაკუთრებული? უპირველესად იმის გამო, რომ „ჰამლეტი“ არის პრაქტიკულად ერთადერთი მასშტაბური დადგმა, გნებავთ – ექსპერიმენტი, რომელშიც კრეგის იდეები საუკეთესოდ წარმოჩნდა. მართალია, მან ჩანაფიქრის სრულყოფა ვერ მოახერხა, მაგრამ თუნდაც მხოლოდ სასცენო სივრცის ახლებური გააზრებით, განათების რთული პარტიტურის შემოღებით, მისი ფუნქციის გაძლიერებითა და გამძაფრებით, გადადგა ნაბიჯი, რომელიც ერთგვარი გზამკვლევი აღმოჩნდა თაობებისთვის.

გორდონ კრეგმა 94 წელი იცოცხლა და, მართალია, ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ათამდე სპექტაკლი დადგა, მსოფლიო თეატრალურ სამყაროში ავტორიტეტი დამსახურებულად მოიპოვა.

მისი გავლენა მსოფლიო ხელოვნებაზე დიდია. პრაქტიკული მოღვაწეობა მან 1928 წლიდან შეწყვიტა და საკუთარი ერუდიცია, ინტელექტი და უსაზღვრო ფანტაზია თეატრალურ ხელოვნებაზე შექმნილ წიგნებსა და სტატიებს მიუძღვნა.

ფოტოზა: გორდონ კრეგი  
სამუშაო მაგიდასთან.

ენ სექსტონი

ლექსეზი

ტკივილის მძიმე ფეხსაცმელები

აღბათ არსებობს ერთგვარი შხამი  
საათზე ისრით ამოკანრული,  
როდესაც სხეულს ეკარგება წონასწორობა  
და სიმსუბუქე და ყველა შვება.

მე ეს გავიგე  
და დავთმობდი მთელს ჩემს სიმდიდრეს,  
ჩემს წიგნებს და ჩემს საყვარელ ნივთებს,  
ის რომ ამცილდეს და მეტსაც, მეტსაც...

მაგრამ დავთმობდი მთელს სიცოცხლესაც,  
სხვა ტკივილი რომ ამცილებოდა:  
იგი ჯერ კიდევ აკვანში ჩნდება,  
რიკულებს შორის, ან ეგებ მაშინ,  
როცა პირველად ამოისუნთქავ,  
პლანეტები კი შენს ბედს ჭედავენ  
შენი სხეულის ვინრო ყალიბში,  
შენს უბედურ და იღბლიან წუთებს;  
როცა ცხოვრებას შეუუღლდე  
და ნაბოძები სიყვარულის გაცემას იწყებ  
ანდა არ იწყებ.

მე გადავყლაპე ერთი ჩაის კოვზი ტკივილი  
და შევიგრძენი ქვემოთ როგორ მისრიალებდა,  
წარსულისაკენ, როგორ შეავსო  
ამ წლის ფიალა  
და უფრო ქვევით – დეკადის თასი  
და უფრო ქვევით – ყოფის მდინარე.  
მე მას ვეცლები – ვაბიჯებ წყალს და  
ხისგან შეკრულ ტივს.

ის ჩაის კოვზი ყოვლისშემძლე თუ იყო აღბათ,  
რადგან იგი არ გაითქვიფა ნაცნობ კადრებში  
და გაიზარდა საარაკოდ და უსაშველოდ,  
რომ მლილის კბენა მოგაჩვენოს  
ვეშაპად, კბილებს მაგრად რომ უჭერს  
შენს ფეხს, რადგანაც ყოველი სული



ცნობილი ამერიკელი პოეტი  
ქალი ენ სექსტონი 1928 წელს  
დაიბადა მასაჩუსეტსის შტატ-  
ში. თავის ლექსებში ხშირად  
იგონებს ბავშვობას, როდესაც  
იგი ერთადერთი ბავშვი იყო  
დიდ სახლში, რომლის ეზოშიც  
ოთხი მანქანა იდგა და მისი  
ვიქტორიანული სტილის ოთახ-  
ის განკრიძვლულ თაროებზე  
ერთმანეთზე ლამაზი თოჯინე-  
ბი იყო ჩამწყვირებული. თუმ-  
ცა მშობლების სახლიდან მან  
სხვა მემკვიდრეობაც წამოიღო  
– გენეტიკური მანიაკალური  
დეპრესია, რომელმაც მაშინ  
იჩინა თავი, როდესაც პოეტმა  
მეორე შვილზე იმშობიარა. ოც-  
დაცხრა წლის იყო, როდესაც  
ფსიქოთერაპევტმა არცთუ ძა-  
ლიან განათლებულსა და არც  
განსაკუთრებული ინტელექ-  
ტუალური მონაცემებით და-  
ჯილდოებულ ფოტომოდელს  
ურჩია ლექსების წერა ეცადა,  
როგორც დაავადებასთან გამ-  
კლავების ერთ-ერთი ხერხი.  
მოგვიანებით თავად ექიმიც  
გაოცებული დარჩა ენის მოუ-  
ლოდნელი პოეტური შესაძლე-  
ბლობებით, რამაც სხვა ლიტ-  
ერატურულ ჯილდოებთან ერ-  
თად, ამერიკის შეერთებული



შტატების ყველაზე პრესტიჟული ლიტერატურული პრიზი, პულიცერის პრემია, მოუტანა მას. განსაკუთრებით საინტერესოა სექსტონის ლექსების თემატიკა: იგი გულახდილად და სრულიად მოურიდელებად წერდა ყველაფერ იმაზე, რასაც მისი ეპოქის სხვა „კონფესიონალისტი“ პოეტები საკუთარ ფსიქოთერაპევტებსაც ვერ ესაუბრებოდნენ. მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სულიერი აშლილობის პრობლემას. ბოლოს, რაკი თავისი დაავადების არსის შეცნობა და მისი დამორჩილება მაინც ვერ მოახერხა, 1974 წელს, მანიაკალური დეპრესიის მორიგი შემოტევისას, სექსტონმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

გამადიდებელ შუშას ატარებს.  
ტკივილის მიძიმე ფეხსაცმელებით,  
მოტოციკლივით აღმა-დაღმა დაშლივინებენ  
ნანლავები – გულს ეხეთქებიან.

შენ მაინც ისევ იღვიძებ დილით,  
თავიდან იწყებ, დღის სვლას მიჰყვები,  
გარს იმედიან მზერას მოავლებ  
და არ ანებებ შიშს აღიმართოს  
ჯებირად შენს და შენს ძველ მეგობარს  
ან ახალს შორის და, ხელს რომ იწვდენ,  
ცდილობ ჩაიხშო ფიქრი, რომ ამ ხელს  
უცბად ნაჯახით ჩამოგაჭრიან.  
მერე სწავლობ, რომ არავის ენდო  
შენი საბეჭდი მანქანის გარდა,  
რომელიც მანამ შეინახავს შენს საიდუმლოს,  
სანამდე ძალას მოიკრებ და ნაწერად აქცევ.

უკვე დამალა ამ ყველაფერმა,  
ჰოდა, გავენდე საბეჭდ მანქანას,  
გამუდმებით რომ გარს მიტრიალებს  
სველი ფეხებით, და საოცრება:  
როგორღაც სიტყვა „მიცვალებული“  
„იმედზე“ წითლად გადაიდლაბნა  
და მე, რომელიც მადლიერებით  
ვრგავდი თავს რწმენის ყველა ბალიშში,  
ჩემს „მიტევების ქუჩას“ ესტაცებდი  
ხელს, ვკოცნიდი და სიყვარულის გარსში ვფუთავდი,  
ვცდილობ, რომ მივხვდე, თუ პლანეტები  
რას იზრახავდნენ 9 ნოემბერს, ოცდარვა წელში.  
ყველა ბალიში დაიფლითა,  
ხელები მომჭრეს,  
შუა სიცილში შემომეჭრა ძალღის ყმუილი,  
მაგნიტოფონში კრაზანებმა მოიწყვეს ბუდე  
და დამიდუმეს,  
რომ მუსიკისგან მიტოვებული  
ჭკუაზე შეშლილ ობლად მაქციონ.

კარგი,  
შენ მაინც ადგები დილით  
და პლანეტებიც ალბათ მუდამ არ მოგშხამავენ,  
ყოველ დღეს ხომ არ წაგიბილწავენ.  
ბოლოს და ბოლოს, ეს ტკივილიც და მისი ურიცხვი  
ჩაის კოვზებიც  
ხომ შეიძლება ნამალიც იყოს,  
შენი სული რომ უნდა განკურნოს  
მომეტებული სიყვარულისგან  
შემდეგ სამშაბათს.

**ხავსი მის კანზე**

*„ძველ არაბეთში გოგონებს ხშირად ცოცხლად  
მარხავდნენ მამების გვერდით. როგორც ჩანს,  
ამგვარი მსხვერპლშენიერვა ტომის ქალღმერთების  
გულის მოსაგებად ტარდებოდა...“*

**პაროლდ ფელდმანი**

*„უდაბნოს შვილები“, ფსიქონალიზი და  
ფსიქონალიტიკური მიმოხილვა, შემოდგომა, 1958*



მნიშვნელოვანი მხოლოდ ეს იყო:  
გალიმება და უძრავად ყოფნა,  
სუნთქვაშეკრული წოლა მის გვერდით  
და გაყურება,  
მჭიდროდ მიკრობა ერთმანეთზე  
ჭუპრების მსგავსად,  
დედის მზერიდან ამოყვინთვა  
და ხმის გაკმენდა.  
შავმა ოთახმა ისე გვეშთანთქა,  
როგორც ქვაბულმა, ან როგორც ხახამ,  
ან როგორც ფაშემა.  
სუნთქვას ვიკრავდი გამალებით  
და აგერ – მამაც:  
მისი მსუქანი თავის ქალა, ცერა თითები,  
მისი კბილები და მისი თმა, ძალიან გრძელი,  
მინდორს ანდა შალს დამსგავსებული.  
ვინეჭი ასე მისი კანის  
ხავსზე, სანამ ის  
უცხოვდებოდა. ჩემი დები  
ვერ გაიგებენ ვერასოდეს, რომ გამოვვარდი  
ჩემი თავიდან და დავიჯერე,  
რომ ვერ ხედავდა ალაჰის თვალი  
მამაჩემს როგორ ჩავებლაუჭე –  
როგორც ქვისაგან ნაკვეთ ბებერ ხეს.

**კოცნა**

ჭრილობასავით ახასხასდნენ ჩემი ტუჩები.  
მთელი ეს წელი უქმი ვიყავი, ღამეების  
უღიმღამობა თავისი ტლანქი იდაყვებით გულზე მაჭერდა  
და დამცინოდნენ ერთჯერადი ცხვირსახოცები: ო, შე მტირალა,  
შე მტირალა, შე მართლა შტერო!



დღევანდელ დღემდე უქმი იყო ჩემი სხეული.  
 დღეს ნაკვთებიდან თაბაშირი ჩამოიფხიკა,  
 ჩამოიხია სამოსელი წმინდა ქალწულის, სულ ნაკუნ-ნაკუნ  
 და ნახე – დენტით დატენილი დამბაჩა გახდა.  
 ჰოპ! მკვდრეთით აღდგა!

დღევანდელ დღემდე ნავი იყო, ხისგან შეკრული  
 და მიგდებული, ფსკერქვეშ მლაშე ზვირთის მსურველი,  
 სულ მთლად საღებავაქერცლილი, გაჩორკნილი  
 ფიცრების გროვა. მაგრამ შენ იგი შეაკეთე, შენ იგი მორთე.  
 ის აირჩიეს.

ჩემი ნერვები აცახცახდნენ. მე მესმის მათი  
 მელოდიები. სადაც ადრე ყოველი დუმდა,  
 ახლა დოლები გუგუნებენ, სიმები ჟღერენ. ეს მხოლოდ შენით.  
 გენიოსმა შედევერი შექმნა. ძვირფასო, ცეცხლის ალზე დაწვავს  
 მისი ქმნილება.

### ანას, რომელიც შეიშალა

ანა, რომელიც შეიშალე.  
 მე ილლიის ქვეშ დანას ვატარებ.  
 ფეხის წვერებზე რომ შევდგები, კითხვები მცვივა:  
 ნუთუ მე რაღაც ინფექცია ვარ?  
 ნუთუ ჩემ გამო შეცდი ჭკუაზე?  
 ნუთუ ჩემ გამო ამჟავდნენ ხმები?  
 ჩემი ბრალია ფანჯრიდან რომ გადაეკიდე?  
 მაპატიე. მაპატიე.  
 არ თქვა, რომ – ჩემი.  
 არ თქვა.  
 თქვა.

ჩაიჩურჩულე ჩვენს ბალიშში ღვთისმშობლის ლოცვა.  
 მიმიღე ისევ თორმეტი წლის მოუქნელ ბავშვად  
 შენს ბერწ ნიაღში.  
 იჩურჩულე, როგორც ბაიამ.  
 შემჭამე, როგორც კრემის პუდინგი.  
 მიმიღე შენში.  
 მიმიღე.  
 იღე.

მაცნობე ჩემი სულიერი მდგომარეობა.  
 ახსენი ყველა ჩემი ქცევის ზუსტი მოტივი.  
 ხელში თალგამი მომარჩე, მომასმენინე.  
 უზანგში ფეხი გამაყოფინე და უსაქმურთა ბრბო  
 შემოკრიბე.

ჩამომინერე სრული სია ჩემი ცოდვების და საბაყლოში  
გამოვისყიდი.

ჩემი ბრალია, რომ შეიშალე?  
ეს მე ავიღე შენი ყურმილი და სირენებიც მე მოგისიე?  
და ის უღვაშა ფსიქიატრიც მე შემოვუშვი,  
ოქროს ურიკით რომ წაგათრია?  
ჩემი ბრალია, რომ შეიშალე?  
საფლავიდან მომნერე, ანა!  
შენ ახლა მხოლოდ ფერფლია ხარ. და მაინც, მაინც  
მოკიდე ხელი ჩემს ნაჩუქარ „პარკერის“ კალამს.  
მომნერე.  
ნერე.



### ჩემი ყველა საუნჯე

მამი, გაგვყარა წლევანდელმა განამანამ,  
შენ დედაჩვენის გზას გაჰყევი – გულგრილი ძილის,  
ტკივილის ტვირთი ხელმეორედ ველარ ასნიე  
და მე დამტოვე ქანცგაცლილი და ნირშეცვლილი,  
რადგან ვერ გაგნებ ახალ სახლში, რასაც აქ ფლობდი,  
სულ ოხრად დაგრჩა: ოქროს კლიტე, ფაბრიკის წილი,  
ოცი კოსტუმი დიუნისგან, ახალი ფორდი  
და სიყვარული და ანდერძზე დავა და ცილი.  
და ფოტოებით სავსე ყუთი. მე ფრთხილად მოვწმენდ  
მტვერს მათ მუყაოს მშრალ სახეებს. აქედან მომწყდნენ!

მაინც თვალეები, ამ ალბომის ხესავით ბლანტი  
მათ მიენება, უყურებს და უნდობლად უკვირს:  
ვილაცას ელის ბიჭი, ყელზე გასკვნილი ბაფთით,  
ჯარისკაცს გულში აქვს ჩაკრული თავისი ბუკი,  
არ შეუძლია გაღიმება ხავერდის ლედის.

ეს პოლკოვნიკი მამაშენის მამაა, მამი,  
ფოსტალიონის ტანსაცმელით? ამათი ბედი  
აღარ აღელვებს დღეს არავის, არც ერთი წამით.  
და მეც ვუსურვებ ამ სახეებს მოტეხვას კისრის,  
ალბომში მაგრად ჩავკეტავ და ზურგსუკან ვისვრი.

გაყვითლებული ქრონიკები. მათი გროვება  
იმ წელს დაიწყო, მე რომ გაეჩნდი. ახლა ისინი  
დაჭმუჭუნულან და ჭრაჭუნებენ: აგერ, ჰოვერმა  
გადაუარა დემოკრატებს; თითებს იშვერენ  
მშრალი კანონის მომხრეები. ჰაინდენბერგმა  
მარცხი იწვინა და შენ ომში წასვლა ინებე.  
ვნება დაგატყდა, წლეულს, სნეულს, თავზე, ვით დელგმა  
და ლამაზ ქვრივზე დააპირე დაქორწინება.



გონს რომ მომეგე, მე ტირილით ვითხრიდი თვალებს  
შენს მსუქან ბეჭზე. მესამე დღეს შენ მიიცვალე.

მომენტალური ფოტოები: ქორწილი. ვტოვებთ  
ძველებურ ყოფას და ბაქანი მოჩანს ჩვენს უკან;  
ეს ნაოსნების შეჯიბრება – დაგაჯილდოვეს;  
კოტილიონი – შენს ქალბატონს თავს მდაბლად უკრავ;  
შენი ძაღლები – აკვესებენ ვარდისფრად ღორის  
თვალებისმაგვარ თვალის გუგებს და ალბათ ყეფენ;  
ესეც ჩემი და – იმ წლის დოლის ტრიუმფატორი;  
კაცების ბრბოში შენ – ამაყი, ვითარცა მეფე.  
აქ მიგატოვებ, ჩემო ლოთო, ჩემო თავხედო,  
რომ მომენატრო და გაისად ისევ დაგხედო.

დედა, რადგან ჩვენ არ ვუსმენდით, დღიურს მიენდო,  
და სამ წელიწადს მას უმხელდა შფოთვას და დარდებს:  
„სულ მთლად გალოთდა“ – შენზე წერდა, „ძილად მიეგლო“ –  
ესეც შენზეა. მამი, ნუთუ ყოველ შობადღეს  
მე შენი სისხლით სავსე თასი უნდა დავლიო?!  
ამ დღიურს, შენი აბდაუბდა ცხოვრების სარჩევს,  
ჩემს თაროზე ვდებ, რომ დღეები ერთად გავლიოთ,  
სიყვარულს მხოლოდ ერთგულებით თუ გადავარჩენ.  
ალარ ვინაღვლებ წარწყმედილი ხარ თუ მარტვილი,  
სახეზე სახით მოგეკრობი და გაპატიებ.

ინგლისურიდან თარგმნა ანი კოპალიანმა



ბერნჰარდ შლინკი

შაქრის მუხუდო

(დასასრული. დასაწყისი იხ. N1)

\* \* \*

როცა მოგვიანებით გონებაში წარსულს უბრუნდებოდა, ხვდებოდა, რომ იმ დღეს დაიწყო მისი ვარდნა. იმ დღიდან მოყოლებული იყო გადაჩეხილი, მსგავსად მაქს ბეკმანის სურათისა, კომპანიის პრეზიდენტის ბინაში რომ იხილა. იგი ვარდებოდა თავდაყირა, უმწეოდ, მიუხედავად ყველა ძალის მობილიზებისა დაკუნთულ სხეულში, მიუხედავად საცურაოდ მძლავრად გაშლილი მკლავებისა და ფეხებისა. ეცემოდა ცეცხლმოკიდებულ სახლებს, თავის ცეცხლმოკიდებულ სახლებს შორის, მათ შორის, რომლებიც ააშენა და მათ შორის, რომლებშიც ცხოვრობდა. ვარდებოდა ჩიტებს შორის, რომლებიც დასცინოდნენ, ანგელოზებს შორის, რომელთაც მისი შველა სურდათ, მაგრამ ვერ შველოდნენ, ნავებს შორის, რომლებიც უსაფრთხოდ დაცურავდნენ ცაში. თვითონაც შეძლებდა ცაში უსაფრთხოდ ცურვას, სახლებს შორის რომ არ გახლართულიყო.

სახლში დაბრუნდა და ჩვეულებრივი ყოფა გააგრძელა. ბერლინური ცხოვრება ცოლ-შვილთან, ბიუროსთან, მეგობრებთან და მათ ოჯახებთან ერთად, რომელთათვის იგი იუტას მეუღლე, სამი შვილის მამა, არქიტექტორი და მოყვარული მხატვარი იყო; რომლებთანაც დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებდა, შვებულების ერთად გატარება იქნებოდა ეს, თუ ცოლ-ქმრული კრიზისების დაძლევა, ბავშვებზე ზრუნვის განაწილება, თუ საერთო მოგონებები, ანეკდოტები და ხუმრობები. თომასი ისე გრძნობდა მათ შორის თავს, როგორც თევზი წყალში. დარწმუნებული ურთიერთნდობაში, მაშინაც კი, თუ ერჩივნა, აქამდე არ მისულიყო საქმე. ჰამბურგელი მეგობრებიც არსებობდნენ, მაგრამ არა იმდენი, რამდენიც ბერლინში, არა პროფესიის, არამედ ვერონიკას წყალობით, უმეტესობა მარტოხელები, თუმცა აქა-იქ ბავშვიანებიც. ისინი თომასში ხედავდნენ მხატვარს, ვერონიკასთან კონტრაქტით და ქალიშვილით დაკავშირებულს, ადამიანს, რომელთანაც ურთიერთობა სასიამოვნო იყო, მაგრამ რომელსაც სხვა ცხოვრებაც ჰქონდა და, თუ კარგად გაიაზრებდნენ, უცხოოდ ამოჩრილიყო მათ სამყაროში. თომასს განსაკუთრებით გულთბილი, ახლო დამოკიდებულება ვერონიკას ერთ მეგობართან – პედიატრ ქალბატონთან ჰქონდა, მაგრამ აქაც განზე რჩებოდა მისი სხვა ცხოვრება. თომასის მეორე ბერლინური ყოფა





კიდევ სხვაგვარად გამოიყურებოდა. ჰელგას მსგავსად მისი მეგობრებიც, თითქმის ოცი წლით თომასზე უმცროსები, სწავლის დამთავრებით და სამუშაოს დაწყებით იყვნენ გართულნი და ისეთივე სილალეს და გულწრფელობას ამჟღავნებდნენ მის მიმართ, როგორც მრავალი სხვა რამის მიმართ. ისინი მას აღიქვამდნენ ჰელგას უფროს მეგობრად, მრავალმხრივ და დიდსულოვან ადამიანად, რომელიც პრაქტიკულ საკითხებსა და ბინის ყიდვაში დაუზარელი, ჭკვიანი მრჩეველი იყო. და უხაროდათ, როცა ჰელგას მათთან მიჰყავდა, ან ჰელგასთან სტუმრად მისულებს იქ დაუხვდებოდა ხოლმე. ეს ურთიერთობა თომასს არაფრით ავალდებულებდა, რადგან ალბათ თვით ერთმანეთის მიმართაც არ იყვნენ ვალდებული ახალგაზრდები.

მიუხედავად ამ არავალდებულებისა, მიუხედავად ჰამბურგელებთან არსებული დისტანციისა, მათთან ურთიერთობები დამლელი იყო და თუ გულწრფელი იქნებოდა, ძველ მეგობრებთან ურთიერთობაც დამლელი იყო. არ იცოდა, რატომ, მაგრამ ზაფხულში ყველაფერი უფრო იოლი ჩანდა. ახლა ისეთი გრძნობა ჰქონდა, მუდამ ხელახლა უნდა გამოვიგონო საკუთარი თავიო – ჰელგას თომასი, ვერონიკას თომასი, იუტას თომასი, თომასი – სამი მოზარდის მამა, თომასი – მამა ერთი წლის გოგონასი, რომელსაც ბაბუად უფრო შეეფერება. ხანდახან ეშინოდა, სწრაფად და სრულად ვერ გარდავიქმნები და ჰამბურგში ისევ ბერლინელ თომასად და ჰელგასთან იუტას თომასად დავრჩებიო. მას შემდეგ, რაც ვერონიკას ერთ-ერთ მეგობარს გვიან, დაღლილმა და გვარიანად ნასვამმა საუბარი გაუბა სასაკოლო ასაკის ბავშვებიანი გერმანული ოჯახის ძველ მეგობარ ცოლ-ქმარს ბევრი ელაპარაკა მარტოხელა დედაგაღერისტების გასაჭირზე, ალკოჰოლს სიფრთხილით მოეკიდა. შეეჩვია ერთი ცხოვრებიდან მეორეზე გადასვლისას კონცენტრირებული ყოფილიყო, როგორც ამას ბიზნესმენებთან მოლაპარაკებისას აკეთებდა: თავიდან ყველაფერი უნდა გამოდეგნო და მხოლოდ ის შეუშვა, რაც ამჟამად დაგჭირდება. მაგრამ ესეც დამლელი იყო.

სიზმრებიც დამლელი გახდა. ესიზმრებოდა, რომ ჟონგლიორი იყო, მაგრამ ჟონგლიორი არა რგოლებით, არამედ თეფშებით, ჩინელი მუშაითების მსგავსად, თეფშებს რომ ამატებენ და ამატებენ ლატანზე, ანდა დანებით, ან ანთებული ჩირაღდნებით. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა ხოლმე, მაგრამ შემდეგ იწყებდა თეფშების და ჩირაღდნების რიცხვის ზრდას, სანამ მოერეოდა. როცა ისინი ქვეშ მოიქცევდნენ, ოფლში განურულს ეღვიძებოდა. ხშირად ცოტა ეძინა.

ერთ დღეს მატარებლით ჰამბურგიდან ბერლინში მიმავალი პირდაპირ მჯდომ მგზავრს გამოელაპარაკა. იგი ჟალუზების მწარმოებელი ერთ-ერთი სანარმოს წარმომადგენელი აღმოჩნდა. კაცი ჰყვებოდა ოჯახზე, ბიუროზე, ხის და ხელოვნურ მასალაზე, სიცხისა და ხმაურის მშთანთქავ ჟალუზებზე, ჟალუზების გამოგონებასა და მის უპირატესობაზე ფარდებთან შედარებით, თავის მოგზაურობებზე ოჯახთან ერთად. ეს იყო სასიამოვნო, თავშესაქცევი, არა-არსებითი საუბარი. თომასი დიდხანს უგდებდა ყურს. როცა მისი

ჯერი დადგა, მოეყოლა თავის ოჯახზე, პროფესიაზე, ცხოვრების პირობებზე, საიდან მოდიოდა, საით გაენია, მან საუბარი დაიწყო თავის საწარმოზე ცვიკაუში, სახატავ მასალაზე, რომელსაც აწარმოებდა, პრობლემებზე, სახაზავი დაფის კომპიუტერით შეცვლისას რომ წააწყდა, მისა და მისი ოჯახის ბრძოლაზე საწარმოს შენარჩუნებისათვის ორმოცდაათიან წლებში და ცვლილებების შემდეგ. ჰყვებოდა თავის სახლზე მდინარის პირას, თავის ცოლზე, რომელიც სავარძელს არის მიჯაჭვული და თავის ოთხ ქალიშვილზე. ახლა ჰამბურგიდან ბრუნდება, სადაც სანდალოზის და კედრის ხის მასალა შეისყიდა უფრო მაღალი ხარისხის ფანქრების ახალი სერიისათვის. ხანდახან ფანქრების მასალის შესაძენად ბრაზილიასა და ბირმაში უწევს გამგზავრება.



\* \* \*

თომასმა გადაწყვიტა ვერონიკასთან გაენწყვიტა ურთიერთობა. ჰამბურგში მუდამ იმ განზრახვით ჩადიოდა, საღამოს, როცა ბავშვს დააწვენდნენ და სამზადში მარტო დარჩებოდნენ, ეთქვა მისთვის, რომ იუტასთან სურს დაბრუნება, თუმცა, რა თქმა უნდა, ყოველთვის მზადაა, როცა კი ვერონიკა მოისურვებს, ესაუბროს მას ალიმენტზე, შვილთან ურთიერთობაზე, თავისი სურათების გაყიდვაზე. ეთქვა და შემდეგ მშვიდად წასულიყო. მაგრამ, როცა მაგიდას უსხდნენ და ვერონიკას ბედნიერს ხედავდა, ბედნიერს იმის გამო, რომ დღემ ჩაიარა და ის გვერდით ჰყავდა, ხმას ვერ იღებდა. თუ ქალი უბედურად გრძნობდა თავს, მით უმეტეს არ შეეძლო ამის გაკეთება, რადგან არ სურდა, უფრო უბედური გაეხადა და საუბარი დილისათვის გადაჰქონდა. მაგრამ დილა ქალიშვილს ეკუთვნოდა.

ყველაფერს, რისი თქმაც კი ასეთ სიტუაციაში შეიძლებოდა, თომასი თავის თავს ეუბნებოდა, რომ უნდა დამთავრდეს ის მდგომარეობა, რომელიც აუტანელი გახდა. რომ თუ მას ნამდვილად არ სურს ვერონიკასთან დარჩენა, არც მან უნდა დააკავოს დიდხანს, არამედ გაუშვას და თვითონაც თავისი ცხოვრებით იცხოვროს. რომ საშინელი დასასრული სჯობს დაუსრულებელ საშინელებას. იქნებ მაინც დარჩეს მასთან? არა, სულით და ხორციით ის უკვე შორსაა მისგან და ვეღარ შეძლებს მასთან დარჩენას და შეგუებას. არა, მის უუნარობას, დალაპარაკებოდა ვერონიკას, არავითარი გამართლება არ შეიძლებოდა ჰქონოდა. იგი სხეულით გრძნობდა უუნარობას. თითქოს მას, საუბრის მოსურნეს, ისე არ ემორჩილებოდა პირი, ენა და ხორხი, როგორც დამბლადაცემული მკლავი ბრძანებას – ხელი ასწიოს და ამოძრაოს. მაგრამ რომ არც პირი ჰქონდა დამბლადაცემული, არც ენა და არც ხორხი? მატარებლით ბერლინისკენ მიმავალს სირცხვილი წვადა.

მაშინ გადაწყვიტა, ძნელებიდან უფრო ადვილით დაეწყო და თავდაპირველად ჰელგას დაშორებოდა. უფრო ადვილით ესწავლა უფრო ძნელი. თომასმა მოახერხა მასთან საუბარი. აუხსნა, რომ ცოლთან და ოჯახთან სურს დაბრუნება. მართალია, არაფერი გამო-



ვა პატივმოყვარე საერთო გეგმებიდან, მაგრამ სიამოვნებით დარჩება მის მეგობრად და, როგორც მეგობარს, ყველაფერში დაეხმარება. განა ლამაზი დღეები არ განუცდიათ ერთად? მამ რატომ არ უნდა დასცილდნენ ერთმანეთს ლამაზად?

ჰელგა ყურადღებით უსმენდა. როცა თომასმა სათქმელი დაამთავრა, მიაჩერდა მას თავისი დიდი თვალებით, რომლებიც აუნყლიანდა. ცრემლები ლოყებზე უგორდებოდა და ქვედატანზე ეცემოდა. შემდეგ ქვითინით ჩაუფარდა თომასს მკლავებში. თომასმა ხელი მოხვია და მისი ფაფუკი სხეული იგრძნო. მასთან დალაპარაკება, მისი დამშვიდება სურდა, მაგრამ ჰელგამ არ დააცალა და ტუჩებით დაეკონა ტუჩებზე. მეორე დილით საუზმობისას კლინიკასთან დაკავშირებულ ახალ იდეებს აცნობდა თომასს. „როგორ ფიქრობ, ეს მოხერხდება?“

იუტასთან ჯერ არ აპირებდა ამ თემაზე საუბარს. ერთ საღამოს მის პირდაპირ მჯდარმა წარმოიდგინა, რას ეტყოდა იუტა, როგორი რეაქცია ექნებოდა, როგორ განაიარალებდა მას. დიახ, იუტასთან საუბარშიც მაშინვე დაყრიდა ფარ-ხმალს თომასი და მოხარულიც იქნებოდა, თუ შერიგდებოდნენ და ცოლი მკლავებში მოიმწყვდეოდა. რა ფუჭი და საცოდავი იყო მისი გადაწყვეტილებები, რა სასაცილო მისი წინ და უკან სირბილი. ხარხარი აუტყდა, ისტერიული ხარხარი, სანამ იუტამ გონზე მოსაყვანად ორივე ლოყაში არ გაულანუნა.

უკვირდა, მიუხედავად ყველაფრისა, ამდენ საქმეს როგორ ვახერხებო: ჰუძონის ხიდის დაგეგმარების კორექტურას აკეთებდა, აპროექტებდა ახალ ხიდს დრინზე, ქმნიდა სურათების ახალ სერიას. ყველა მათგანზე ნიჩბოსანი ქალები იყვნენ გამოხატულნი, ზოგნი ფეხზე მდგომნი, ზოგნი მჯდომარენი, ზოგნი სამოსით, ზოგნი შიმველნი, ზოგნი შავგვრემანნი, ნატიფი აგებულების, ნაზები, ნერვიულები, ზოგნი ქერები და ფაფუკნი, ნითელთმება და ძლიერნი. ვერონიკამ მანამ გამოფინა პირველი სურათები, სანამ სერია მზად იქნებოდა. ერთი კოლექციონერი მაშინვე დაინტერესდა მთელი სერიით.

ერთ დღეს ხსნასავით მოველინა ბრმანაწლავის შეტევა. დრეზდენიდან მანქანით მიუნხენში მიმავალი ტკივილმა შეაწუხა. კუჭიაო, გაიფიქრა ჯერ, მაგრამ მალე მიხვდა, რომ სხვა რამ იყო, უფრო სერიოზული და უარესი. საჭეზე მოხრილმა, რადგან ასე შეუმსუბუქდა ტკივილი, რაიონული საავადმყოფოს უკანა ეზოს მიაშურა. მაშინვე გაუკეთეს ოპერაცია. მეორე დილით ექიმმა მოინახულა. სიმპტომები პანკრეასის სიმსივნეს წააგავდა და მოხარული ვარ, მხოლოდ ბრმანაწლავი რომ აღმოჩნდაო, მოახსენა პაციენტს.

თომასმა ერთი კვირა გაატარა საავადმყოფოში. წარმოიდგენდა, როგორ კვეთს ექიმი, ნახულობს პანკრეასის ინოპერაბულ სიმსივნეს ან მეტასტაზებით სავსე მუცელს და ხურავს ჭრილობას. ორი კვირის ან რამდენიმე თვის სიცოცხლე დარჩენია. არაფრის წინაშე აღარ არის პასუხისმგებელი, არავის ვალი არ ადევს. ყველას პატივისცემით და ყურადღებით ექცევა და აცვიფრებს თავისი საქციელით. ისე ემშვიდობება ჰელგას, ვერონიკას და იუტას, ველარაფერს საყვედურობენ, თვითონაც აღარ საყვედურობს თავის თავს. უკანასკნელ სურათსაც

წარმოიდგენდა – ბავშვებთან ატარებს დროს. რა კარგია, ისეთი სიახლოვე მყარდება მათ შორის, ისეთი, რომ სიკვდილის შემდეგაც დიდხანს გაუნათებს ბავშვებს ცხოვრებას. ესეც წერს ხიდების შესახებ. ეს მისი თეორიული დანატოვარი იქნება არქიტექტურაში. რამდენიმე თვე, მეტი არ სჭირდება ყველაფრის დასასრულებლად და სიმშვიდის და ბედნიერების მოსაპოვებლად. თომასს შურდა იმ ბედნიერი ადამიანის, ვისაც მართლაც რამდენიმე თვის სიცოცხლე დარჩენოდა, ვისაც ჭეშმარიტად მოხსნილი ჰქონდა ყველა საზრუნავი.



მაშ, რატომ არ უნდა იყოს იგი ეს ბედნიერი ადამიანი? ბერლინსა და ჰამბურგში დარეკა და ბრმა ნანლავის ოპერაციის ამბავი შეატყობინა. მის მდგომარეობაში მყოფისათვის – რამდენიმე თვის სიცოცხლე დარჩენია – ბუნებრივი საქციელია. ჯერ იტყვის, რომ ბრმა ნანლავის ოპერაცია გაიკეთა, რათა ახლობლები არ შეაშინოს, მოგვიანებით ფრთხილად შეაპარებს სიმართლეს.

ასე და ამგვარად, ისეთივე დაბრუნდა ბერლინში, როგორც ყოველთვის იყო, თუმცა ცოტათი უფრო ჩუმი, უფრო დათრგუნული, უფრო დინჯი, ზოგჯერ ფიქრებში წასული, ისეთი, სიკვდილის ბეჭედი რომ აზით ხოლმე. შემდეგ „სიმართლე“ თქვა. გაუძლო ქალების შიშს, წნეხს, სხვა ექიმებისათვის მიემართა, მათ უმწეო თანაგრძნობას. კითხვაზე, რის გაკეთებას აპირებს, პასუხობდა – ისე გააგრძელებს ცხოვრებას, როგორც აქამდე ცხოვრობდა, სხვას რას. უფრო მნიშვნელოვანს შეეჭიდება, უმნიშვნელოს – შეეშვება. სურათს დახატავს, ესეც დაწერს ხიდების შესახებ, ბავშვებთან გაატარებს დროს. მართლაც, დადგა ახალი ტილო მოლბერტზე, ახალი ფუნჯები იყიდა და გეგმებს ადგენდა ბავშვებთან ერთად.

\*\*\*

ვერ იტყვოდი, რომ თვითონაც იწყებდა დაჯერებას, კიბო მაქვსო, მაგრამ როცა ერთ უქმე დღეს ჰამბურგში ნასადილევს ვერონიკამ დაუცაცხანა, ადექი და ჭურჭელი დარეცხეო, ბრაზი მოერია. ქალმა, რომელმაც იცის, კიბო მაქვს, სამზადში ტრიალი უნდა მომთხოვოს? გარდა ამისა, ჭრილობა ჯერ კიდევ აწუხებდა. როცა მუცელს გაგიხსნიან, ბრმა ნანლავს ან მეტასტაზს ჩაგიტოვებენ და ისე დაგიხურავენ, ვითომ უფრო მტკივნეულია, ვიდრე ახლა მას სტკივა? სუსტადაც გრძნობდა თავს, დაღლილად და ღონემიხდილად.

არა, ვერონიკა უსამართლოდ მოექცა. იუტას და ჰელგასაც მეტი ყურადღება მართებთ მის მიმართ. იუტა, რომელიც ახლა უფრო ხშირად ხედავდა მას სახლში, ვიდრე მთელი ბოლო წლების განმავლობაში, სთხოვდა ბავშვებს დახმარებოდა საშინაო დავალების მომზადებაში, ქალიშვილი მოეყვანა მუსიკის გაკვეთილიდან, ჟალუზი შეეკეთებინა, სარეცხი გაეფინა. „შეძლებ ამას, თუ?“ ჰელგამ თავისთან იხმო, რადგან მანქანით წაყვან-წამოყვანა და რჩევა სჭირდებოდა კლინიკისათვის საჭირო ნივთების შერჩევას. მართალია, საჭეს თვითონ უჯდა, მაგრამ თომასის ვარაუდით, იმიტომ კი არა, რომ მას უფრთხილდებოდა, „ბე-ემ-ვეს“ ტარება მოსწონდა. აი,



როცა თომასმა მასთან დანოლა მოისურვა, თავი გააქნია უარის ნიშნად: „ვითომ გარგებს ახლა ეს შენ?“

შეამჩნია, რომ ნუნუნა და ბუტია გახდა. მაგრამ თვლიდა, უსამართლობა იყო, მისი ამ დღეში ჩავარდნა. სამივე ქალისთვის ტყავიდან ძვრებოდა და ახლა, როცა გაუჭირდა და დასჭირდა ისინი, ვითომც არაფერიყო, თავიანთი ცხოვრებით განაგრძობენ ცხოვრებას. იუტა თანასწორ პარტნიორად გაიხადა ბიუროში და შემოსავალს თანაბრად უყოფდა; თავისი სურათებით ვერონიკას ბევრად მეტი ფული ამოვნიდა, ვიდრე გალერეები შოულობენ; ჰელგას საჩუქრებით ისე ანებივრებდა, როგორც ფაშა თავის სატრფოს. მართალია, თითოეულ მათგანს სურდა, მეტი დრო დაეთმო მისთვის, მაგრამ ერთად ყოფნისას ხომ ანიჭებდა სიხარულს მათ? ცოლები, მათ შორის, ისინიც, რომელთა ქმრებს საყვარლები არ ჰყავთ, ჩივიან, რომ ქმრები საკმარის დროს არ უთმობენ. არა, მან ყველაფერი გააკეთა მათთვის, რისი გაკეთებაც შეეძლო და ისე არ დაუფასეს, როგორც უნდა დაეფასებინათ, იმ მდგომარეობამდე მიიყვანეს, რომლიდანაც თავის დაღწევა მხოლოდ კიბოთი ან სიკვდილით შეიძლება. რა უნდა ქნას რამდენიმე კვირასა თუ თვეში მასავით ჯანმრთელმა? არა, გამოუვალ მდგომარეობამდე მიიყვანეს იგი.

ერთ დღეს თავის მკერავს მიაკითხა. პატარა სამკერვალოს, რომელიც ქუჩიდან ორი საფეხურით ქვემოთ მდებარეობდა, აბრაზე „ტანსაცმლის გადაკეთება“ ეწერა. თუმცა გრძელუღვაშა ბერძენს, სამკერვალოს მეპატრონეს, მარტო გადაკეთება კი არ ემარჯვებოდა, იგი მშვენიერ პერანგებს, კოსტიუმებს, პალტოებს კერავდა. თომასი მას სისტემატურად აკერინებდა გრძელ ღამის პერანგებს, რომელსაც ვერც ერთ მაღაზიაში ვერ იპოვიდით. მაგრამ როცა ახლა ოთახში იდგა, აბსურდულად მოეჩვენა ღამის პერანგის შეკვეთა. იგი ხომ რამდენიმე კვირასა თუ თვეში უნდა მომკვდარიყო.

ერთ თოფ შავი შალის მძიმე ქსოვილს მოჰკრა თვალი, რომელსაც ლურჯი ანარეკლი გადაჰკრავდა.

„ეს პალტოს ან ქურთუკის ქსოვილია. ერთ კლიენტს მოსასხამის შეკერვა სურდა, მაგრამ გადაიფიქრა.“

„შემიკერავთ რამეს მისგან?“

„მაინც რას?“

„კაპიუშონიან და ღრმა ჯიბეებიან ანაფორას, ბერებს რომ აცვიათ ისეთს, კოჭებამდე გრძელს, ჩემი ღამის პერანგებივით.“

ლილებით? სარჩულით? საქამრით?

თომასი დაფიქრდა: ბერების ანაფორას აქვს ლილები? სარჩული? „სარჩული ჰქონდეს, მაგრამ ლილები და საქამრე არ არის საჭირო.“ მუქი მწვანე ფერის დაგრეხილი ზონარი აიჩრია სარტყელად, მუქი მწვანე სარჩული და მუქი მწვანე ნაკერები.

„იმავე ფერით ამოქარგულ ჯვარს ხომ არ ინებებთ?“ ბერძენმა ჯვარი მოუხაზა მკერდზე.

არა, თომასს ჯვარი არ სურდა.

„ვიცი, რაც უნდა შევკერო.“

„რამდენი ხანი დაგჭირდებათ?“

„ერთი კვირა.“

ერთი კვირა. „ერთ ხანს მარტო უნდა ვიყო“, აუნყა მან მეორე დღეს იუტას, ჰელგას და ვერონიკას. „იმდენი რამ მოხდა. ახლა ჩემი თავისთვის უნდა მოვიცალო. ჯერ არ ვიცი, საით გამინევს გული, მაგრამ ვიცი, რომ წასვლა მსურს“.

ფიქრობდა, ქალები გააპროტესტებდნენ, არ გაუშვებდნენ ან თან გაჰყვებოდნენ, მაგრამ მათ ეს მხოლოდ ინფორმაციად მიიღეს. იუტამ სთხოვა, გამგზავრება ორი დღით გადაედო და ხელოსნებისათვის მიეხედა, რომელთაც სახურავი უნდა შეეკეთებინათ, ვერონიკამ – სანამ შენ არ იქნები, სახელოსნო ჩემს მეგობარ ქალს დაუთმეო. ჰელგამ ჰკითხა, მანქანით მიემგზავრები თუ მე მიტოვებო.

იყიდა მსუბუქი, გრძელი, მუქი ფერის საწვიმარი ლაბადა. ჩადო ტყავის ჩანთაში, იქვე ჩაალაგა ორი წყვილი მძიმე ფეხსაცმელი, პულოვერი, პერანგი, საცვლები, შავი წინდები, ჯინსი და დასაბანი და საპარსი საშუალებები. გამგზავრება ორი დღით გადადო, დაუტოვა ჰელგას „ბე-ემ-ვე“, ატელიეს ერთ კუთხეში დაანყო დამთავრებული და დაუმთავრებელი სურათები და მოლბერტი ცარიელი ტილოთი, უკანასკნელი და ყველაზე მნიშვნელოვანი სურათისათვის რომ იყო განკუთვნილი. ტყავის ჩანთით და პლასტიკატის დიდი პარკით სადგურის ტუალეტში შევიდა. იქიდან გამოსულს ანაფორა ეცვა, პარკში კი ანაფორის ნაცვლად ის ტანისამოსი ელაგა, რომელშიც დილით გამოენყო. პარკი სანაგვე ყუთში ჩატენა, ბილეთი იყიდა და მატარებელში ავიდა.



\* \* \*

მთელი ერთი წელი მოგზაურობდა.

თავდაპირველად ხელგაშლილად ცხოვრობდა. რამდენიმე კვირა ბადენ-ბადენში ბრენერის პარკ-ჰოტელში გაატარა, რამდენიმე კი – ციურიხში Baur an Lac-ში. პერსონალი და სტუმრები ჯერ განცვიფრებით ათვალიერებდნენ, შემდეგ სიამოვნებით საუბრობდნენ მასთან და ნდობითაც იმსჯვალებოდნენ მის მიმართ. თომასი ისმენდა ცხოვრებისეულ ისტორიებს, ისტორიებს ტკივილსა და დანაშაულზე, სიყვარულით გამონვეულ ბედნიერებასა და ტანჯვაზე, ცოლ-ქმრულ და ოჯახურ ცხოვრებაზე, ყოველდღიურობაზე. ერთხელ ღამით ადმინისტრატორმა გამოიხმო ოთახიდან ქალის გამო, რომელსაც ყულფში გაეყარა თავი, მაგრამ დამლაგებელს მიესწრო და დროზე ჩამოეხსნა. დილაზე ესაუბრა ქალს. მეორე დღეს გამგზავრების წინ ქალმა რამდენიმე ათასის ჩეკი დაუტოვა თომასიანელთა ორდენისათვის.

დროდადრო ღია ბარათებს აგზავნიდა ბერლინსა და ჰამბურგში, მაგრამ იუტას, ვერონიკას და ჰელგას კი არ ეხმიანებოდა, არამედ შვილებს. ერთხელ ჰელგას დაურეკა. ქალმა ჯერ ის ჰკითხა, მანქანის დაბრუნება ხომ არ გსურსო, შემდეგ იმ ანაზღაურების მოგვარებაზე დაუნყო ლაპარაკი, რომელიც მას, როგორც არაოფიციალურ მენილეს ეკუთვნოდა. თომასმა ყურმილი დაუკიდა. როცა საკრედი-



ტო ბარათი ამოენურა, შიშით მოეკიდა ნაღდ ფულს, რომლის გამოტანა ჯერ კიდევ შეეძლო.

მაგრამ შიში ზედმეტი აღმოჩნდა. ძვირფასი სასტუმროებით გულმოყირჭებულს ფული თითქმის არც სჭირდებოდა. უმეტესად უფასოდ ათევდა ღამეს მონასტრებში და ტრაპეზშიც უფასოდ მონაწილეობდა. თავდაპირველად რიდით ჰყვებოდა თომასიანელთა ორდენის მისეულ ისტორიას, ორდენისა, რომელმაც ზიბენბიურგერის საქსონიაში რეფორმაციას და კომუნიზმს გაუძლო, რომელიც დღეისათვის მხოლოდ ხუთი წევრისაგან შედგებოდა და რომელსაც იგი, ზიბენბიურგერელი საქსების შთამომავალი, რამდენიმე წელია ეკუთვნოდა. ყველა შემდგომი თხრობისას მისი ტონი უფრო და უფრო დამაჯერებელი ხდებოდა, უფრო ალამაზებდა მონათხრობს და უფრო მშვიდად იგერიებდა კითხვებს. ბერები ხშირად ბევრის ცოდნის სურვილს არც ამჟღავნებდნენ, მიუჩინდნენ მას სენაკს და თავს დაუკრავდნენ ეკლესიაში, ტრაპეზის დროს და დამშვიდობებისას. როცა მონასტრული ცხოვრებაც მობეზრდა, პატარა სატუმროებსა და პანსიონებში ათევდა ღამეს. იქაც და მატარებლით მგზავრობის დროსაც ადამიანები საუბარს ესწრაფვოდნენ მასთან. არავის განიკითხავდა, არავის ეთანხმებოდა, არავის იცოდებდა. ყურს უგდებდა სხვებს და თუ რამეს ჰკითხავდნენ, კითხვას შეუბრუნებდა.

„რა უნდა ვქნა?“

„რა გსურთ ქნათ?“

„არ ვიცი.“

„რატომ არ იცით?“

ერთხელ კინალამ ქალი შეუყვარდა. ნაშუადღევს ანაფორის გასანმენდად ქიმნმენდაში მისულმა იკითხა, განმენდამდე შეიძლება კუთხეში დავჯდე და დაველოდო? ჰუნსრუიკის მხარის პატარა ქალაქში დიდხანს მოუნდნენ ანაფორის განმენდას. როცა ქიმნმენდის მეპატრონე ქალმა შენობა დაკეტა და ჟალღუბები ჩამოუშვა, მივიდა თომასთან, ოდნავ ზემოთ აუწია ანაფორა, მუხლებზე გადააჯდა და მკლავებსა და მკერდს შორის მოიმწყვდია მისი თავი. „ჩემო წინილა“ – სევდა და თანაგრძნობა გამოსჭვიოდა მის ხმაში. თეთრ მაისურსა და ჯინსებში, რომლებიც ძალიან გადიდებოდა, და მოკლედ, უსწორმასწოროდ საკუთარი ხელით შეკრეჭილი თმით იგი მართლა ნააგავდა ქათამს. თომასმა ღამე მასთან გაათია, თუმცა არაფერი მომხდარა მათ შორის. დილით, როცა საუზმეს მასპინძლის ქმრის ხალათში გახვეული მიირთმევდა, ერთხანს ჩემთან დარჩიო, შესთავაზა ქალმა. „დამალვა არ მოგიწევს. შეგიძლია ჩემი ქმრის ტანსაცმელი ჩაიცვა, მე კი ვიტყვი, მაზლი მესტუმრა-მეთქი. უცნაურია, უანაფოროდაც იგივე ხარ, რაც ანაფორიანი“.

მან ეს იცოდა. მოგზაურობის დანყებისთანავე მატარებელში რამდენიმე საათის განმავლობაში ლაიფციგის სამშენებლო ბიზნესის ერთ-ერთი წარმომადგენლის პირდაპირ იჯდა, რომელთანაც ხშირად ჰქონია საქმიანი ურთიერთობა. კაცი აკვირდებოდა, მაგრამ ვერ იცნო. არა, დარჩენა არ სურდა. უნდა ნავიდეხს, ალმაცერად გაუღიმა მასპინძელს და სინანულით აიჩეჩა მხრები. თუ დარჩებოდა, მიაჩნდა



მას, ქალთან უნდა დანოლილიყო, ეს კი არ უნდოდა. წლების წინ დღეში 50-დან 60-მდე სიგარეტს ეწეოდა. ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ დაანება წევას თავი. განკრძალვის სიმსუბუქემ დააფიქრა. მოგვიანებით ალკოჰოლი დათმო, შემდეგ სიყვარული, შემდეგ ჭამა – იგი მას ყველაზე ადვილ, ბუნებრივ ნაბიჯად მიაჩნდა, ბოლო ფიზიკურ არსებობაზე უარის თქმა იქნებოდა. როცა ანაფორაში გახვეული დაადგა გზას, იოლად შეეღია ერთ ბოთლ წითელ ღვინოს, რომელსაც მანამდე ყოველდღე აცარიელებდა. ცელიბატური ცხოვრება მომდევნო ნაბიჯი იყო, საჭმელზე კი ისედაც არასდროს ჰქონია გართულება. ხშირად ეჩვენებოდა, დაფორინავ, ფეხებით მიწას არ ვეხებო. ისიც ეჩვენებოდა, ადამიანები რეალურად არ აღმიქვამენ, ან სახეები და სხეულები, რომლებსაც ვხედავ, ნამდვილი ცოცხალი ადამიანები კი არა, სქემები, სტრუქტურები არიან, რომლებიც ფორმას იღებენ, შემდეგ იფანტებიან, ისევ იღებენ ფორმას და ისევ იფანტებიანო. დროგამოშვებით ეხებოდა მათ შემთხვევით ან განზრახ და ასე რწმუნდებოდა, რომ წინააღმდეგობის განევა შეეძლოთ. იმაშიც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ სისხლი წასკდებოდათ, თუ დაშავდებოდნენ, შეიძლება აღრიალებულიყვნენ კიდეც. და თუ დაშავება საკმაოდ მძიმე იქნებოდა, მოძრაობას შეწყვეტდნენ, მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა იმოდრავებდნენ თუ არა? განა ყველაფერი სავსე არ არის სტრუქტურებით, რომლებიც მოძრაობენ, მეტად სავსე?



მისი ცხოვრება ბერლინსა და ჰამბურგში კიდე უფრო სქემატურად ეჩვენებოდა. რა ერგო მას სამი ქალიდან? რისთვის ხატავდა სურათებს და აშენებდა ხიდებს? რა ორომტრიალში იყო სხვებთან ერთად ჩაბმული? ბიუროსა და გალერეას, ჰელგას გეგმებისა და პროექტების ორომტრიალში? შვილებსაც დაჰკარგვოდათ აზრი. რა სურდათ მათ ამ ქვეყნად? ვინ იხმო? ვის სჭირდებიან?

კომერის ტბაზე მოწმე გახდა, როგორ გადავარდა პატარა ბიჭი ფიცარნაგიდან წყალში. ბიჭი ყვიროდა, ერთხანს ხელებს იქნევდა, შემდეგ კი ფსკერისკენ წავიდა. როგორც იქნა, წამოდგა მერხიდან თომასი, ფიცარნაგთან მიიღბინა, წყალში გადახტა. ბიჭი გადაარჩინა და მოასულიერა. მაგრამ ეს იმიტომ გააკეთა, უსიამოვნება არ შეხვედროდა. ხომ შეიძლება, ვილაცას დაენახა, როგორ იჯდა სკამზე გაუნძრევლად და პოლიციისათვის შეეტყობინებინა? ეს კი სავალალო იქნებოდა მისი ანაფორიანი ცხოვრებისათვის.

\*\*\*

კომო-ტურინის გზა სავალალო აღმოჩნდა მისი ანაფორიანი ცხოვრებისათვის. მილან-ტურინის მატარებელში გადაჯდომისას ცხვირწინ დაეხურა ავტომატური კარი. უკან დახეულმა შეამჩნია, რომ ანაფორა კარებში მოჰყვა. ამაოდ ცდილობდა კარის გაღებას, ექაჩებოდა ანაფორას, ანაფორის ქაჩვით მისდევდა დაძრულ მატარებელს, რომელიც სულ უფრო და უფრო უმატებდა სიჩქარეს. ბაქნიდან მგზავრების სიცილი ესმოდა. მათ ვერ გაეგოთ მისი გასაჭირი და მხიარულად შეცქეროდნენ ლურჯი ბერის თავკუდ-



მოგლეჯილ სირბილს. როცა მატარებელს ჩამორჩა, მისი სანინაალ-მდეგო მიმართულებით დავარდა სასონარკვეთილი იმ იმედით, რომ ანაფორა გაიხეოდა, მაგრამ შალის მძიმე ქსოვილი გამძლე აღმოჩნდა, მატარებელი მანამ მიათრევდა ჯერ ბაქნის გასწვრივ, შემდეგ ხრეშით მოყრილ პლატფორმაზე ლიანდაგის გვერდით, სანამ ერთ-ერთმა მგზავრმა, ფანჯარას რომ მიყრდნობოდა, ბაქანზე მდგარი მგზავრების ყვირილი არ გაიგონა, შემდეგ კი თავად არ იხილა რა ხდებოდა, საავარიო ონკანი არ ჩამოსწია და მატარებელი არ გააჩერა. მაგრამ თომასი უკვე სისხლის გუდად ქცეულიყო.

საავადმყოფოში წაიყვანეს. რამდენიმე დღის შემდეგ გონზე მოსულს ექიმმა აუწყა, ხერხემალი დაგიზიანდა და მკერდს ქვემოთ მონყვეტილი დარჩებიო. არადა მხოლოდ ტურინში წასვლა და იმის ნახვა სურდა, კიდევ იყვნენ თუ არა იქ ცხენშებმული ეტლები და ეტლის ცხენები. ისეთები, ერთ-ერთ მათგანს რომ მოეხვია შემლილი ნიცმე.

ინტენსიური თერაპიის პალატაში ყველა პაციენტი თანასწორი იყო. როცა ჩვეულებრივ პალატაში გადაიყვანეს, სამოცსანოლიან დარბაზში აღმოჩნდა, რომელიც ოციან წლებში აგოთ, როგორც სათადარიგო დარბაზი კატასტროფების შემთხვევაში და სადაც ახლა ყველაზე იაფფასიანი კლასის პაციენტები იწვნენ. ხმაური იყო, ღამითაც კი. გამოჯანმრთელებული ჯარისკაცები, ავადმყოფობას რომ იგონებდნენ, რადგან ყაზარმაში ყოფნას იქ დარჩენა ერჩივნათ, სვამდნენ, ღრეობდნენ, ხანდახან ღამით ქალებიც კი მოჰყავდათ. დღისით ცხელოდა და ყველაფერი საჭმლის, დეზინფექციის საშუალებების და განავლის სუნით გაჟღენთილიყო. მისი სანოლი ყარდა, რადგან გამოყოფის ორგანოებს ვერ აკონტროლებდა. მონაზვნები, რომლებიც საავადმყოფოს უძღვებოდნენ, ცდილობდნენ დახმარებოდნენ, მაგრამ მათ გერმანული არ იცოდნენ, მან კი – იტალიური. ერთხელ ერთმა მათგანმა გერმანული ბიბლია მოუტანა. გაცდა, რამდენი ცხოვრება იყო წიგნში, მაგრამ სწორედ ამიტომ არ შეეძლო მისი კითხვა.

ჭრილობები უხორცდებოდა. სამი კვირის შემდეგ გაიფიქრა, ამ ხმაურს და სიმყრალეს ველარ ავიტანო. უბედური შემთხვევის წინ განა ცხოვრება სქემატური ან სულერთი არ გახდა მისთვის? ცხოვრებამ ზურგი არ შეაქცია მას და მანაც საკუთარ თავს? ახლა კი იგი სულ ახლოს იყო, რეალური და შესაგრძნობი – ხეობის ცხოვრება კლოაკაში. მხოლოდ ცაში აფრენა აუხდა, კატასტროფის წინ რომ შეიგრძნო, თითქოს მიწას ფეხებით არ ვეხებიო. ასეც იყო. ის მიწას ფეხებით მართლაც არ ეხებოდა.

ოთხი კვირის შემდეგ ისე, რომ არაფერი შეუტყობინებიათ, საავადმყოფოდან გამოსაყვანად მოაკითხეს. ერთ დღეს მის სანოლთან კაცები გამოჩნდნენ დასაკეცი საკაცით, დაანვინეს ზედ და დარბაზიდან გაიყვანეს.

„სად მოგყავართ?“

„ბერლინის მახლობლად, სარეაბილიტაციო კლინიკაში.“

„ვინ გამოგგზავნათ?“

„ეს თქვენ უნდა იცოდეთ. ჩვენ შეფმა დაგვაავალა. ისე, თუ წამოს-

ვლა არ გსურთ, შეგვიძლია, დაგტოვოთ“. შეჩერდნენ. „გსურთ თუ არა?“ კართან იდგნენ დარბაზის წინ, სადაც თითქმის ოთხი კვირა გაატარა. „არა, ის აქ არ დარჩება, წაიყვანონ, სადაც მიჰყავთ“.

\* \* \*

ორი თვე გაატარა სარეაბილიტაციო კლინიკაში. ისწავლა, როგორ მოქცეოდა თავის ნახევრად უმოძრაო და უგრძობ სხეულს. გამოყოფის ფუნქციებს, ნაწოლებს, ტრენაჟორს, ხეიბრის სავარძელს. დიდხანს ჩერდებოდა წყალში, თავდაპირველად აუზში, შემდეგ ტბაში, რომლის პირასაც იდგა კლინიკა. სწავლებისას ისეთ წარმატებებს აღწევდა, ეგონა, საკმაო ნებისყოფა და დისციპლინა გამაჩნია, ისევე ყველაფერი დავიმორჩილოო – წყალი ცურვის დახმარებით, ხმელეთი ხეიბრის სავარძლით, დასახიჩრებული სხეულის სისწრაფე და მოძრაობის უნარი – მკლავების სიძლიერით. მაგრამ როცა მესამეჯერ გაუჩნდა წყლული, ასე დამახასიათებელი სავარძელზე მიჯაჭვულისათვის, მიხვდა, რომ მიუხედავად სწავლის, ნებისყოფის და დისციპლინისა, თავისი სხეულის იმედი აღარ უნდა ჰქონოდა.

თომასმა შეიტყო, რომ მისმა ძველმა ექიმმა და მეგობარმა ითავა მილანიდან მისი ჩამოყვანა. როგორც ტრანსპორტის, ასევე სარეაბილიტაციო კლინიკის თანხას სამედიცინო დაზღვევა იხდიდა. როცა საცვლების, პერანგების, შარვლების, წიგნების, CD-დანადგარის ან CDC-ს საყიდელი ფული სჭირდებოდა, ბანკს ურეკავდა. მისი საბანკო ანგარიში დახურული იყო, მაგრამ შემდეგ რამდენიმე ათასი მარკა გადმოერიცხა. კლინიკაში ყოფნის მეექვსე კვირას 51 წელი შეუსრულდა. თაიგული მოართვეს 51 ყვითელი ვარდით. პატარა ბარათზე, რომელიც თაიგულში იდო, ეწერა: 0101, ქვემოთ კი – გამოყენებისა და გაყიდვის საზოგადოება. მის შესახებ თომასს აქამდე არაფერი სმენოდა.

ნაშუადღევს მეგობარი ექიმი ესტუმრა. „კარგად გამოიყურები. გარუჯული, იმაზე ჯანმრთელი და ძლიერი, ბოლოს რომ გნახე. როდის იყო, წლინახევრის წინ თუ გაზაფხულზე, შენს გამოფენაზე? ყველა შემთხვევაში კარგია, რომ მალე სახლს დაუბრუნდები“.

„წარმოდგენა არა მაქვს, როგორ გაგრძელდება ჩემი ცხოვრება. იუტას არ მინდა დავურეკო, მაგრამ მომიწევს ამის გაკეთება. ჩემი ინვალიდობის გამო მივიღებ პენსიას? სოცსამსახურის წყალობით ბინას მომცემენ, როგორ ფიქრობ? მე ხომ სამხედრო სამსახური არ გამივლია“.

„ეს სამოქალაქო სამსახურს ეხება. თუ რაიმე გერგება, იუტა აუცილებლად მოგიგვარებდა. ის ზრუნავს ყველაფერზე“.

ტბის პირას ისხდნენ. ის – თავის სავარძელში, მეგობარი – მერხზე. თომასმა იგრძნო, რომ სიფრთხილე უნდა გამოეჩინა, როცა რაიმეს თქმას ან შეკითხვის დასმას დააპირებდა, თუმცა ცნობისმოყვარეობამ სძლია და შეპარვით წარმოთქვა: „რალაც-რალაცებზე მინდა წარმოდგენა მქონდეს“.

„ეს თავისთავად მოხდება. მეტად გონივრულად მიმაჩნია შენი





მხრივ, რომ ყველაფერი იუტას მიანდე. არაფერზე აღარ გჭირდება ზრუნვა. სადაგი დღეები მალე დგება და საკმაოდ მძიმეა იგი. იმასაც მოგინონებ, იუტასთან მას შემდეგ რომ აპირებ შეხვედრას, რაც საბოლოოდ გამოჯანმრთელდება“.

„როდის იქნება ეს?“

„დაასრულე ორი თვე. ექიმებს ვესაუბრე. ისინი ფიქრობენ, რომ სულ უკეთ და უკეთ ხდები. ცუდი არ არის, თუ ერთ ხანს შენს გულს მიაქცევინ ყურადღებას“.

მეგობარმა იუტასგან გამოგზავნილი პატარა შეკვრა დაუტოვა. თომასმა გახსნა და მისი საგაზაფხულო გამოფენის კატალოგი ამოიღო. გამოფენა მართლაც შემდგარა, ვერონიკას გალერეას მიერ ორგანიზებული. მისი ესკიზები, პროექტები, ექსპერიმენტები აუღიათ და თავხედური ფასები დაუდევთ ზედ. შეკვრაში ბროშურაც იდო: „ფიქრები ფანტაზიური ხიდის შესახებ ფანტაზიურ მდინარეზე“. ბროშურის ავტორად ის იხსენიებოდა. ეს იყო მოხსენება, რომელიც გაზაფხულზე იუტას ჰამბურგში წაეკითხა. მან იცნო აზრები, რომლითაც დროგამოშვებით ერთობოდა და რვეულში იწერდა. იუტას რვეული ეპოვა და აზრები მოხსენებისათვის გამოეყენებინა. საკუთარი შენიშვნები წინასიტყვაობად დაერთო. იუტა თომასს წარმოაჩინდა როგორც კაცს, რომელიც სისხლსავსე ცხოვრებას გაექცა, რათა თავისუფლებასა და მარტოობაში უფრო ღრმად ჩასწვდომოდა ხიდების არქიტექტურას. ამიტომ არ კითხულობს თვითონ მოხსენებას, წერდა იგი. ხელნაწერზე უარის თქმა და მისთვის მინდობა არის ის უკიდურესი, რაც მას შეუძლია. სხვათა შორის, ხიდებსაც ამიტომ არ აშენებს ჰუძონზე თვითონ. თომასმა ესეც იუტას გადაულოცა, მთლიანად რომ იყოს შეპყრობილი პროექტის იდეით და თავი არ იმტვირის ბიუროკრატიულ, პოლიტიკურ თუ ფინანსურ ასპექტებზე. გაეცინა, არ ეგონა, თუ იუტა ასე ეშმაკურად გამოიყენებდა და გაყიდდა, და ჰუძონზე ხიდების აშენებას ჩაიგდებდა ხელში. ვერონიკასაც აღმოაჩნდა მისი გამოყენებისა და გაყიდვის ნიჭი, რასაც არ ელოდა. ახარხარდა. ჰელგა და დარჩა.

\* \* \*

ჰელგა ახალი „ბე-ემ-ვეთი“ გამოეცხადა. ძველით ამის ვალი გავისტუმრეო.

„შენ წამიყვან? იუტა რატომ არ მოვიდა?“ თომასი, რომელიც სხვა დროს ბოლო წუთებში კრავდა ბარგს, ბოლო წუთებში მიიბრუნდა ბაქანზე ან აიჭრებოდა თვითმფრინავში, ახლა დილიდან ჩემოდან-ჩალაგებული ელოდებოდა იუტას.

„იუტას უამრავი საქმე აქვს. ჩემი მანქანით არ გსურს წამოსვლა? მაშინ ტაქსს გამოვიძახებ, ან...“

„არა, მაგრამ, თუ...“, ქვემოთ დაიხედა.

„თუ კათეტერთან დაკავშირებით შეგექმნა პრობლემები? კარგი, რა, გეგონება უცხო იყოს ჩემთვის შენი ჩიტი. გაიცინა. შედი მანქანაში და საქმეს ნუ აფერხებ“.

ჰელგა სწრაფად და თავდაჯერებით მიაქროლებდა მანქანას და თან თავის კლინიკაზე საუბრობდა. „რამდენიმე კვირაში შენობის გადახურვას ვზეიმობთ. სიტყვით მოგინვეს გამოსვლა. სხვათა შორის, ახლავე ჰანოვერის და ფრანკფურტის კლინიკების დაპროექტებაზეც უნდა იფიქრო. ფანჰინგი სამართლიანად არ მიმდინარეობს, მაგრამ იდეა მაქვს, როგორ მივალნიოთ იმავე ეფექტს“.

„ჰელგა!“

„გისმენ!“

„გული გატკინე მაშინ, ხომ, ასე უბრალოდ რომ ავდექი და გავიპარე“.

„არაფერია, შენ კლინიკის პრობლემების გადაჭრის გზა გვიჩვენე, დანარჩენი კი უშენოდ მოვახერხეთ“.

„კლინიკას არ ვგულისხმიზ. შენ...“

„სხვა რამეზე სხვებმა ისაუბრონ. არა, მეც შემოძლია, მაგრამ ჩემი მხრიდან ეს არ იქნება ლამაზი“.

საცობში მოყვნი და მგზავრობა უფრო დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე დაგეგმილი იყო. მართლა შეექმნა კათეტერთან პრობლემა. ჰელგა მარჯვედ დაეხმარა, ყოველგვარი ზიზლის, მაგრამ, ამავე დროს, თანაგრძნობის გარეშე, თითქოს ეს ყველაზე ჩვეულებრივი საქმე ყოფილიყოს დედამინის ზურგზე.

თომასმა დარცხვენილმა გადაუხადა მადლობა. ეროტიკა და სექსუალურობა არ მოგვარებულა, რისი იმედიც ზოგჯერ ჰქონდა, ზოგჯერ კი ეშინოდა. მას მხოლოდ მათ გარეშე მოუწევს ცხოვრება. იმპოტენცია. თავს სურს, სხეულს არ შეუძლია. თავის უმოძრაო ასოს რომ ვერ გრძნობს, ვერაფერი შეღავათია. ჰელგას ცივმა და დისტანცირებულმა მოპყრობამაც ვერ უშველა.

ხეიბრის ეტლი ზუსტად შეეცია ლიფტში. ჰელგა კიბეებს აუყვია. იუტა და ვერონიკა კარებში შეეგებნენ თომასს. „კეთილი იყოს შენი მობრძანება სახლში!“ გაუბედავად შესცქეროდა ხან ერთს, ხან მეორეს: „მოგესალმებით“. ვერონიკას სურდა დახმარებოდა, მაგრამ თომასმა მოიცილა იგი და თვითონ შეაგორა ეტლი ბინაში, შემდეგ ტერასაზე გავიდა. ნაცნობი ხედი შპრეესა და ტირგარტენზე, ბრანდერბურგის ჭიშკარსა და რაიხსტაგზე. ახალი გუმბათი დაემთავრებინათ.

თავი მიაბრუნა. იუტა მიყრდნობოდა კარს. „ბავშვები სად არიან?“

„ჩვენებს ზაფხულის არდადეგები აქვთ. ბიჭები ინგლისში გავისტუმრე, რეგულა ჩემს მშობლებთანაა. შენი პატარა – ძიძასთან“.

„როგორ ხართ. საიდან იცნობთ ერთმანეთს?“

„ჰელგამ შეგვყვარა. ერთხელ უბრალოდ მიგვიპატიჟა და...“

გაიგონა, როგორ ამოვიდა ჰელგა კიბეზე, ბინაში შემოვიდა და ვერონიკას მიესალმა, თომასმა ეტლი შემოაბრუნა და იუტას წინ გააჩერა. „არ შეიძლება სხვების თანდასწრების გარეშე ვილაპარაკოთ? ნება მომეცი, აგისხნა, როგორ მოხდა ყველაფერი. არ მინდოდა ტკივილი მომეყენებინა შენთვის, მე შენ მართლა...“

იუტამ ხელი აუქნია. „ეს წარსულს ჩაბარდა. ბოდიში არ არის საჭირო. უმჯობესია, ჩქარა მოვაგვაროთ ყველაფერი. ვერონიკა წასასვლელია“. ეტლს მოჰკიდა ხელი, ყურადღება არ მიუქცევია





სურდა თუ არა თომასს ეს და ჰელგასა და ვერონიკასკენ მიაგორა, რომლებიც ოთახში იხმო.

საერთო ოთახი ძნელი საცნობი იყო. იგი ატელიედ ექციათ: მოლბერტი, ხის ჩარჩოებზე გადაჭიმული ტილოები, საღებავები, ფუნჯები. კედელზე მისი რამდენიმე ესკიზი ეკიდა. „ასე ნუ უყურებ. ეს ყველაფერი ჰამბურგის ატელიედანაა, ესენი კი, – ესკიზებზე მიუთითა ვერონიკამ, – გამოფენაზე არ გამიტანია. ვიფიქრე, შეიძლება დაჭირდეს-მეთქი. რკინიგზის მოტივი – ეს შენი ახალი სერია უნდა იყოს. ფერწერული დავა რკინიგზასთან, რომელმაც ხეიბრად გაქცია. სურათები კარგად გაიყიდება.“

იუტამ ახლა სასადილო ოთახში შეიყვანა. ფანჯრის წინ სახაზავი მაგიდა იდგა, თაროებში წიგნები ეწყო, ბიუროში რომ ჰქონდა. სასადილო მაგიდის ადგილას საკონფერენციო მაგიდა იდგა ექვსი სკამით. იუტამ იგი მაგიდის თავთან მიაგორა. ქალები დასხდნენ.

„ეს შენი ბინაა. სამუშაო ოთახები უკვე ნახე. საძინებელი დაგვრჩა. ბიჭების ოთახში ექვსი დაიძინებს, რეგულას ოთახში ერთ-ერთი ჩვენგანი, რომელიც მოგხედავს“.

ჰელგამ შეანყვეტინა იუტას. „ვნუხვარ, მაგრამ გვეჩქარება. მეც ნასასვლელი ვარ და ვერონიკაც. ბინა უკვე გაგაცანით. პროექტი დასაჩქარებელია. ინგლისელებს სექტემბრისათვის დაგვირდით. ხვალ ჰაინერი გენვევა და გიჩვენებს, რა გააკეთა. მან უკვე ცოტათი მოხაზა პროექტი. შემდეგ ორშაბათს ჟურნალისტი მოვა Vogue-იდან. ამიტომ მოლბერტზე რაღაც უნდა ჩანდეს. თუ აქედანვე დავიწყებთ პრესასთან მუშაობას, ზამთრის გამოფენამდე გადასარეგ მომენტს ჩავიგდებთ ხელში“. დაფიქრდა, შემდეგ იუტას და ვერონიკას გადახედა: „დაგვრჩა კიდევ რამე? რამდენიმე წინადადებით მთლიანობაში მოვიყვანოთ ყველაფერი“.

„ვერონიკა მართალია“, დაეთანხმა ჰელგა. ჩვენს გამოყენებისა და გაყიდვის საზოგადოებას უკვე იცნობ ყვავილებით, დაბადების დღეზე რომ მიიღე. 1111 – სამი თომასია. შენ გადმოგვცემ უფლებას შენს ნამუშევრებზე, ჩვენ ვიზრუნებთ შენზე“.

„უფლებას ჩემს...“

„უფრო ზუსტად, შენ ჩვენ ის უკვე გადმოგვეცი, როცა უეცრად გაქრი და მიგვატოვე, მიატოვე შვილები, ბიურო, ატელიე, ჩემი კლინიკა. ცხოვრება ხომ უნდა გაგრძელებულიყო და შენი ხელმონერების გარეშე იგი ვერ გაგრძელდებოდა. ნუ ღელავ, ეს გავნებს. ჩვენ არც შენი საკრედიტო ბარათიდან აგვიღია ფული და არც შენი საბანკო ანგარიში გაგვიძარცვავს. შენი ხელმონერთაც არ გვისარგებლია, არამედ ვიყენებდით მას, როცა გვჭირდებოდა“.

„თუ მე თავად მოვინდომებ გამოყენებას და გაყიდვას, თუ არ მსურს თამაშში მონაწილეობა?“

„გსურს, ხეიბარი ხარ. სავარძელს მიჯაჭვული. ოცდაოთხსაათიანი დახმარება გჭირდება. ყველაფერზე ვიზრუნებთ, შვებულებას იქ გაგატარებინებთ, სადაც მოისურვებ. მიიღებ, რასაც ინებებ, ვიდეოფილმი იქნება ეს, თუ alla pullenesa სპაგეტი. ბრიყვი ნუ იქნები. ნუ გვაიძულებ ლიფტი და ტელეფონი გამოგირთოთ, წყლულის ან

საშარდე ტრაქტის ინფექციისათვის გაგნირით. გარდა ამისა, რეპუტაციას მოიპოვებ, როგორც მხატვარი, არქიტექტორი და კლინიკის იმპერიის დამფუძნებელი. თუ ჩვენთან თანამშრომლობაზე უარს იტყვი, ვიპოვით ახალგაზრდა მხატვარს, რომელიც შენს ნაცვლად დახატავს, ხიდებს კი იუტა დააპროექტებს. მე კლინიკაზე ვიზრუნებ. ამასობაში შენ აქ, ზემოთ იქნები გამოკეტილი, ლიფტის, ტელეფონის გარეშე, ფანჯრებზე დარაბებს დაგიმონტაჟებთ. თუ ასეთი იდიოტი ხარ, იყავი, რა გაენყობა. ყოველ შემთხვევაში, ყელში ამომივიდა შენი სისულელები, ჩვენ ყველას ყელში ამოგვივიდა შენი სისულელები. დიდხანს ვთამაშობდით შენი თამაშით, ვითმენდით შენს ხუმტურებს, ვისმენდით შენს ტყუილებს, შენ...”



„ჰელგა“, გაეცინა ვერონიკას, „ცოტა ნელა. ვერ ხედავ, ის თანახმაა, იპრანჭება მხოლოდ“.

„მივდივართ“. ჰელგა წამოდგა. „თქვენც მოდიხართ?“ თომასს მიუბრუნდა: „ექვსზე ერთ-ერთი ჩვენგანი მოვა და დილაზე დარჩება. მომდევნო დღეებშიც. დასაწყისისათვის ასე ჯობია“. ჰელგა და ვერონიკა დაუმშვიდობებლად წავიდნენ. იუტამ თავზე გადაუსვა ხელი.

„სისულელე არ ჩაიდინო თომას“. შემდეგ ისიც წავიდა.

ბინა დაიარა. ყველაფერი იყო აქ, რაც ცხოვრებისათვის სჭირდებოდა. ბინიდან კიბის უჯრედში გავიდა და ლიფტის ლილაკს დააჭირა თითი. ლიფტი არ ამოვიდა. ტერასაზე გადაინაცვლა. მოაჯირში გაჰყო თავი და „ეიო!“, დაიძახა.

არავინ გამოხმაურებია, არავის გაუგონია მისი ძახილი. შეეძლო კიბეზე ჩაცურებულყო ეტლის გარეშე, ნივთები ფანჯრიდან ეყარა, სანამ ფეხით მოსიარულეების ყურადღებას მიიპყრობდა, შეეძლო დიდ ფორმატზე დაენერა მიშველეთო და მოაჯირზე დაეკიდა.

ტერასაზე იჯდა და იმ მისასალმებელ სიტყვაზე ფიქრობდა, რომელიც შენობის გადახურვის ზეიმზე უნდა წარმოეთქვა. იმ სურათზე ფიქრობდა, რომელსაც დახატავდა, იმაზე, თუ როგორ ხიდს ისურვებდნენ ინგლისელი დამკვეთები. ხიდი ტემზაზე? ტაიზე? შაქრის მუხუდოზე ფიქრობდა. ახლა შეუძლია პოლიტიკისათვის მოიცალოს. ჯერ რაიონის წარმომადგენლობაში წამოაყენებს თავის კანდიდატურას, შემდეგ დეპუტატთა პალატაში, ამის შემდეგ ბუნდესტაგში. რატომაც არა? თუ სწორად იმოქმედებს, უნარშეზღუდულების კვოტამ შეიძლება ქალების კვოტას დაარტყას. თუ არ არსებობს უნარშეზღუდულების კვოტა, უნდა მოითხოვოს. შაქრის მუხუდო ყველასთვის!

სხვა არაფერი მოსდიოდა თავში. რაიხსტაგს გახედა. გუმბათში ნამცეცა ადამიანები მოძრაობდნენ. ისინი ჯანმრთელ ფეხებზე იდგნენ, მაგრამ არ შურდა მათი. ფეხით მოსიარულეებისაც არ შურდა, რომლებიც ჯანმრთელი ფეხებით ქუჩის ან მდინარის გასწვრივ მირბოდნენ. ქალებმა კატა უნდა შეუძინონ, კატები. ორი კნუტი, თუ ამას არ გააკეთებენ, გაიფიცება.

გერმანულიდან თარგმნა ბელა სურგულაძემ

## ერთი ლექსის ისტორია



იზა ორჯონიკიძე  
მაისი, ქართლი...

ერთი ლექსის ისტორია,  
მოთხრობილი ავტორის მიერ.

საზოგადოებრივი რადიოს მესვეურთა თავაზიანი ნებართვით ვთავაზობთ ჟურნალისტ დალი მორგოშას მიერ მომზადებული რადიოგადაცემის ბეჭდურ ვერსიას, რომელიც რამდენიმე წლის წინ გავიდა ეთერში რუბრიკით „ერთი ლექსის ისტორია“.

ლექსის ისტორიაზე საუბარი ცოტა ღიმილის მომგვრელია იმიტომ, რომ ყველა ლექსს წინ უძღვის რალაც გარკვეული განცდა, ისე არ იბადება ლექსი. აი, არის ლექსი, რომელიც დაიწყო და სადღაც, როგორც იტყვიან, ღობეში გაეჩხირე. ან ფინალი არ გამოდის, ან რალაც სიტყვა ვერ მოძებნე, რომელიც აუცილებლად საჭიროა და მოუხდება, დავეუშვათ, კონტექსტს. საერთოდ, ეს არ არის ადვილი საქმე – ლექსის წერა. გაცემული ვარ ხოლმე, რომ ეადვილებათ ეს. სიტყვა ძალიან ვერაგი რამაა იმიტომ, რომ, თუ ის განცდილი არ არის, ის აუცილებლად, ვიხმარ უარგონს, მაპატიოს მსმენელმა, გაგყიდის.

მაქვს ასეთი ლექსი – „მაისი, ქართლი...“. კარგად მახსოვს ამ ლექსის ემოციური საფუძველი. ახალი დაბრუნებული გახლდით სამშობლოში. მოგეხსენებათ, ათიოდე წელი მე მოსკოვში ვიცხოვრე, ვისწავლე და, ჩამოვედი თუ არა, ჯერ ბავშვი მივაბარე ქართულ სკოლაში და მერე თავიდან დავიწყე მოგზაურობა ჩემს სამშობლოში, რომ სხვა თვალთ შემეხედა ყველაფრისთვის. ასე დაიბადა ეს ლექსი – „მაისი, ქართლი...“. ცოტა მძიმე ლექსია, მაგრამ... რალაცნაირად, აი, რომ მივედი ფინალამდე, ვერაფრით ვერ დავამთავრე იმიტომ, რომ ლექსი ისეთი იყო... ადამიანი გრძნობს ამაოებასაც ამა სოფლისა – განწყობას მოგახსენებთ ლექსისას – და რალაცნაირად იმის სურვილსაც, რომ ამას გაუძლო და ფეხზე იდგე.

მახსოვს ასეთი ფინალი ჰქონდა იმ ლექსს: „რა გსურდა, გულო, სამსჯავრო დიდი? ახლა ვის ვუხმო დასაყურებლად მტკივანი გულის?..“ და გავჩერდი აქ. ვერაფერი ვუქენი და გავჩერდი, რა უნდა მექნა!

რალაც ისე მოხდა, რომ მეგობრებმა გამომიარეს და... გაზაფხულია... არა, გაზაფხული კი არ არის, გაზაფხული, აჰა, იწურება და ის პერიოდი, ყაყაჩო რომ ყვავის... და წავედით [მცხეთის] ჯვარზე მანქანით, ახალგაზრდები ვართ და რომ შევუყვებით ახლა ამ ჯვრის ფერდობს, იქ მანქანებიდან გადმოვედით... და ფერდია ასეთი, ჯვრის ფერდი, რომელიც მცხეთისკენ არის დახრილი და პირდაპირ ჩადის გზატკეცილამდე... გადანიტლებულია ყაყაჩოთი. ჰოდა, მე მოვწყვიტე ყაყაჩო, ერთი ცალი... არაფერს ვუმატებ, ღმერთს ვფიცავარ... და იმავე წამს დაიბადა ის ფინალი.



ლექსი ასე მთავრდება: „რა გასურდა, გულო, სამსჯავრო დიდი?..“ – ესე იგი, ხომ გინდოდა სამსჯავრო დიდი და ხომ მიიღე, „ახლა ვის ვუხმო დასაყურებლად?.. როგორც უეცრად გაჭრილი თითი, ყაყაყო ისე მტკივა ტუჩებთან“.

მანისი, ქართლი...

შენი ბილიკი ირჩევა ვიდრე,  
 ვიდრე აკრეფენ ხასხასა ნოხებს,  
 აქ დაიგულე და დაიმკვიდრე  
 პატარა ეზო, ალიზის ქოხი...  
 და როგორც ვინმე უბირმა ქალმა,  
 ცრემლიც, ხელებიც იმშრალე ქობით.  
 გაპენტე მატყლი, დაართე ნარმა,  
 დაიდგი დიდი ვარცლი და გობი.  
 ანოვე პირმშოს და მშვიდზე მშვიდი  
 თითებით მარცვლე აკვანზე მძივი.  
 ღვთისნებიერი შემოვა რიდით,  
 შემოვა მთვარის მალალი სხივი.  
 შენც მიაჭედე დარბაზის ფიცარს  
 ბედნიერება ჟანგიან ნალით,  
 გადაუყარე ნაკმაზი ციცარს,  
 გადაუნურე ეშმაკებს წყალი  
 და ნურც იფიქრებ, რომ სადმე ჰგიეს  
 ბედი სხვაგვარი, უნეტარესი,  
 რომ ცხელ ვაზნებში გადამჭკნარ იებს  
 შერჩათ სურნელი, მოაქვთ ალერსი...  
 რა გასურდა, გულო, სამსჯავრო დიდი?  
 ახლა ვის ვუხმო დასაყურებლად?..  
 როგორც უეცრად გაჭრილი თითი,  
 ყაყაჩო ისე მტკივა ტუჩებთან.



## უკვდავი სახელები

ზაქარია ჭიჭინაძე

იონა მიხეილის ძე მეუნარგია



ცნობილი გამომცემლისა და საზოგადო მოღვაწის, **ზაქარია ჭიჭინაძის** (1854-1931) უცნობ ნერილში, „ნანახ-გაგონილის“ საფუძველზე, წარმოჩენილია **იონა მეუნარგიას** (1852-1919) პირადი და შემოქმედებითი ბიოგრაფია. ნერილი, როგორც ჩანს, სახელდახელოდ, „ცხელ კვალზე“ მომზადებული, მაგრამ ნეკროლოგის მშრალი, პათეტიკური სტილისაგან განსხვავებით, მასში კონკრეტული ფაქტები და გულწრფელი შეფასებები ქარბობს.

ფოტოზე: ზაქარია ჭიჭინაძე

გუშინ 16 მაისს, გაზ. „საქართველომ“ ამბავი მოგვიტანა, რომ ახალ სენაკში გარდაიცვალა ქართველი ერის ერთგული მოღვაწე და დარაჯი **იონა მიხეილის ძე მეუნარგია**.

იონა მეუნარგია, ამ ბოლოს დროს, თითქოს მოცილებული იყო ჩვენი ცხოვრების მაჯის ცემას, თითქოს ამ ქვეყნის და განახლებულ საქმიანობას აღარ ეკუთვნოდა, მაგრამ არა, ეს ასე არ გახლდათ, იგი გულ მხურვალეთ ადევნებდა თვალთ ყურს ჩვენი ქვეყნის განახლებული მთავრობის მოქმედებას და ყოველთვის მნატრებული იყო მის, რომ ჩვენმა ნორჩმა ახალმა მთავრობამ ფეხი გაიმადგროს და გაძლიერდესო.

ექვსი თვის წინეთ იგი თფილისში იყო და მის სიხარულს და საქართველოს მთავრობის გაძლიერების ნატვრას საზღვარი არ აქენდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი არც ძრიელ ხნიერი იყო და ცოტა სუსტათ კი იყო, მაინც ქართულ ისტორიულს წიგნებს ნატვრის თვალთ შეხვდა და ჩვენი წერა-კითხვის სამმართველოდამ ქართული ისტორიული წიგნებიც წაიღო სამეგრელოში გასავრცელებლად.

იონა მეუნარგიას ცოტა ოდენი ჯანის სისუსტე და უძლურება დაემართა მის შემდეგ, რაც ქართველთა მეჭირეთა და ბოროტ ენათა წყალობით იონასა და **ნიკოლოზ ნიკოლაძეს** შორის უსიამოვნება მოხდა და ამდენი ხნის კარგი ძმა მეგობარ კაცები ერთმანეთს გაეყარნენ და იონაც იძულებული იყო ფოთის ქალაქის გამგეებს მოსცილებოდა, ესა ქმნა ავმა ენამ და არა ნიკ. ნიკოლაძემ.

იონა მეუნარგია თფილისის სემინარიაში სწავლობდა, მერე ევროპაში გაემგზავრა, სწავლობდა საფრანგეთში. იქ ჩინებულად დაამთავრა სწავლა, 1879 წ. თფილისში ჩამოვიდა, მე მაშინ გავიცანი. იგი მოსვლისთანავე სერგეი მესხთან ქართული მწერლობის უღელში შეება და დაიწყო გაზეთ „დროებაში“ წერილების წერა.

იგი სწერდა ქართველობის შესახებ მშვენიერს ისტორიულს წერილებს, მისი წერილები ყოველთვის სიამოვნებით იკითხებოდა, მთელის ქართველის საზოგადოებისაგან მიიპყრო სათანადო ყურადღება. მან სახელი ისე განითქვა, რომ მალე დაუახლოვდა **ილია ჭავჭავაძეს**, პოეტს **გრიგოლ ორბელიანს**, იმ დროის კავკასიის მთავარ მართველის ხელქვეითს **ლევან მელიქიშვილს** და სხვასაც ასეთებს, მთელს უმაღლეს ქართველს არისტოკრატიულს საზოგადოებას.

იონა მეუნარგიას ამ საზოგადოებაში თავის ტკბილის ენით შეჰქონდა ქართული მამულიშვილობის სიყვარული და მისი ამაღლების იდეა, ასეთის ქადაგებით მან მთელს ქართულს არისტოკრატიულს საზოგადოებაში ისე დაიმსახურა სახელი, რომ იგი გახდა საყვარელი პირი თვით პოეტის **გრიგოლ ორბელიანის**, რომელსაც იმ დროს საქართველოს მთავრობის ასპარეზზე ეჭირა უმაღლესი ადგილი.

გაზეთ „დროების“ შემდეგ იონა მეუნარგია შრომობდა გაზეთ „ივერიაში“, ამ გაზეთით მან უფრო განავრცო თავისი ნაყოფიერი შრომა, მისი

მამულიშვილობა და ქართველი ერისადმი ღრმა სიყვარული და პატივისცემა გაზ. „ივერიის“ ფურცლებით უფრო ხშირათ იფინებოდა მთელს ქართველს ერში.

„ივერიაში“ იგი სწერდა დაუცხრომლათ ბევრ ნაირს წერილებს, სთარგმნიდა ფრანგული გაზეთებიდან სხვა და სხვა დარგის წერილებს და ბეჭდავდა „ივერიის“ თითქმის ყოველს ნომერში. მისი „ნაკვესები“ ყოველს „ივერიის“ ნომერში იბეჭდებოდა თითო ნაკვესი.

ამ „ნაკვესებში“ ბევრი ისეთი საყურადღებოც იყო ხოლმე, რაც კარგათ აცნობდა მკითხველს ჩვენის ძველის უმაღლეს არისტოკრატიულ ოჯახების ცხოვრების საქმეებს და მათს აკვარგიანობებს. ამ „ნაკვესებს“ ფსევდონიმით ეწერა „ლელი“. ისე იკითხებოდა ხალხში, ისე გავრცელდა და ისე ელოდა ხალხი ამ „ნაკვესებს“ ბეჭდვას, რომ მრავალ გონიერმა მგოსანმა აკაკიმ, მასზეც დააკვესა თავის ნაკვესი ასე: „ივერიაში სულ ლელი და სულ ლელივო“. ეს შეურაცხყოფათ არავინ იფიქროს, ეს იყო პოეტის მახვილ გონიერი შენიშვნა, რომ „ივერია“ ყოველთვის სავსეა იონას ნაკვესებითაო.

„ივერიის“ გარდა, იონა მეუნარგია შრომობდა ჟურნალ „მოამბეში“, სადაც მან დაბეჭდა პოეტის გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების აღწერა, რაც მეტათ საყურადღებო აღწერა გახლავთ ჩვენის არისტოკრატიული საზოგადოების ცხოვრების შესახებ და ნამეტურ მით, თუ ეს საზოგადოება როგორ გაიხსნა, როგორ დაეცა და აღიგავა თფილისის ქუჩებზედ მათი ცხოვრება და სახელი, უმთავრესად კი თუ ეს ნოდება როგორ და რა მიზეზებით მოისპო და გაქრა.

ჟურნალ-გაზეთებში ისეთი შრომა მიუძღვის იონა მეუნარგიას, რომ მისი აღნუსხვა აქ შეუძლებელია. ყურადღებას მივაქცევთ მხოლოთ აქ ერთს საქმეს, რაც განსვენებულის დიადს შრომას შეეხება.

გაზ. „ივერიაში“ თანამშრომლობის დროს იგი იქმნა დანიშნული ჩვენის წერა-კითხვის საზოგადოების მდივნათ, რაც მაშინ ახლათ იყო დაარსებული და რომელ საზოგადოებასაც ჯერეთ არაფერი შეძლება არ აქენდა. ამ საზოგადოებაში იონა მეუნარგიამ ჩინებულათ დაიწყო შრომა, იგი გულს მოდგინეთ მიეცა ამ საზოგადოების სასარგებლოთ მოქმედებას და ღწვას, მალე მოხდა ისიც, რომ ამ საზოგადოების სამკითხველოს დაარსებას იონა მეუნარგიამ ჩაუყარა საძირკველი. არა რაისაგან შექმნა მან თან ასე გამდიდრებული სამკითხველოს ნიადაგი. მე მოვიყვან მარტო ერთს მაგალითს, მარტოთ მე ისე გამამხნევა და წამაქეზა, რომ ხსენებული საზოგადოების სამკითხველოს დაარსების დღეს ჩემგან შეიძინა 500 ძველი ქართული ხელთნაწერი წიგნები სულ 150 მანეთათ, რომელშიც პეტერბურგიდამ მე 3000 მანეთს მაძლევდნენ, მაგრამ ეს როგორ მოხდებოდა, როცა საქართველოში არსდებოდა ასეთი საქმე იონა მეუნარგიას თავოსნობით. ამ 500 ხელთნაწერი წიგნების გარდა, მანვე შეიძინა ჩემგან 2000-მდე ქართული დაბეჭდილი ძველი და ახალი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, ესეც რასაკვირველია იაფათ. ასევე მან შეაწირვინა ამ სამკითხველოსთვის ბევრს ქართველ თავადის შვილს, გენერლებს სხვა და სხვა ძველი და ახალი ქართული წიგნები და ასეთის თავდადებულის შრომით ჩაუყარა საძირკველი ჩვენი წერა-კითხვის სამმართველოს სამკითხველოს.



მოამზადა ლია გუსევაძე

ფოტოზა: იონა მეუნარგია

## ნიგნები



მაკა ჯოხაძე  
უკეთესი საქართველოსთვის

გთავაზობთ ბეჭდურ ვერსიას მაკა ჯოხაძის საავტორო რადიოპროგრამისას – „საუბრები ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე“, რომელიც რამდენიმე თვის წინ გავიდა საპატრიარქოს რადიო „ივერიის“ ეთერში.

ძვირფასო მეგობრებო, დღეს ხუთშაბათია და, ღვთის მადლით, ტრადიციისამებრ კვლავ შევხვდით ერთმანეთს, რათა ვისაუბროთ ლიტერატურაზე, ზოგადად ჩვენს კულტურაზე.

ახალგაზრდობიდანვე, განსაკუთრებით კი თომას ვულფის რომანის – „შინ ველარ დაბრუნდები“-ს წაკითხვის მერე, სულ მეოცნებებოდა შექმნილიყო უამრავი პატარ-პატარა გამომცემლობა და ყველას თავისი არჩევანი ჰქონოდა. ვოცნებობდი, სრულიად განსხვავებული ხელწერისა და მსოფლხედვის ავტორს ჰყოლოდა თავისი რედაქტორ-გამომცემელი, არჩევანს შენზე რომ შეაჩერებდა, იქნებოდა არა მხოლოდ გამარჯვებების, არამედ ლიტერატურული ექსპერიმენტების, ზოგჯერ თუნდაც ლიტერატურული მარცხის თანამონაწილედ კი.

წიგნის ინდუსტრიის შექმნამდე ჯერ შორი გზაა გასავლელი. მაგრამ თანდათან საქართველოშიც მომრავლდა პატარ-პატარა გამომცემლობები, თავისი მასშტაბებით, ინტერესებით სრულიად განსხვავებული და ჭრელი.

მათ შორის გამომცემლობა „ინტელექტი“ ამჟამად გამორჩეული და მნიშვნელოვანი სახელია. ეს გამომცემლობა დაარსების დღიდან არ ღალატობს საკუთარ პრინციპებს და, ზოგადად, ლიტერატურისადმი ღრმა პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად სერიოზულ და ერთმანეთზე უკეთეს წიგნებს სთავაზობს მკითხველ საზოგადოებას. ეს კი, დამეთანხმებით, საკმაოდ რთული შესასრულებელია დღეს. რთული, რადგან ამ სფეროში ჯერჯერობით არ არსებობს ჯანსაღი კონკურენცია და ძირითადი აქცენტი საბაზრო ეკონომიკის გათვლებზეა გადატანილი. რაც იმას ნიშნავს, რომ გამომცემლობათა უმეტესობა ითვალისწინებს ე. წ. მასობრივ ლიტერატურაზე (მასკულტურაზე) მოთხოვნილებას და ყიდულობს და ყიდის იმ ლიტერატურას, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, მოდაშია შემოსული.

გამომცემლობა „ინტელექტი“ ამ მანკისაგან დაცულია. მისი საგამომცემლო პოლიტიკა მარადიულ ღირებულებებზეა ორიენტირებული. მსოფლიო ლიტერატურის სამყაროდან, ისე როგორც მშობლიური ლიტერატურის სივრციდან, გულდასმით არჩევს მაღალმხატვრულ, ნამდვილ ლიტერატურას. გარდა საგამომცემლო გუნდისა „ინტელექტი“ გარშემო იკრებს პირველხარისხოვან მთარგმნელებს, ხელოვნების, ლიტერატურის ნამდვილ ექსპერტებს და ინტენსიურად თანამშრომლობს მათთან.

გამომცემლობა „ინტელექტის“ დამაარსებელი და დირექტორი ბ-ნი კახმეგ კუდავა მრავალი ლიტერატურული პროექტის სულისჩამდგმელი და ავტორია. ჩვენი საპატრიარქოს რადიო „ივერიის“ საეთერო დრო არაერთხელ დათმობია სწორედ მათ მიერ გამოცემული წიგნების გაშუქებას. წარმატებული პროექტებიდან საკმარისია დავასახელოთ „100 ლექსი“ და „ნობელიანტები“. სასიამოვნო კანონზომიერება დავინახეთ იმაში, რომ 2009 წლის „გალას“ პრემია ნომინაციაში „წლის საუკეთესო ლიტერატურული პროექტისათვის“ სწორედ „ნობელიანტებმა“ დაიმსახურა.

დღეს, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, სწორედ გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ დასტამბული ორი შესანიშნავი წიგნი მინდა გაგაცნოთ. ესენია: „წინ მარადისობა“ და „სიყვარულისაგან ფართოვდება ქვეყანა“.

მაშ ასე – „წინ მარადისობა“...

„ოთარ ჭილაძის შემოქმედებით მემკვიდრეობაში გამორჩეულ ადგილს იკავებს პუბლიცისტიკა – წერილები, ესეები და ინტერვიუები – უკიდურესი შეუპოვრობით ნათქვამი სიმართლე, უწყვეტი ფიქრი მარადიულ სატიკვარზე, წარსულზე, გადარჩენასა და გადაშენებაზე, და მთავარი – თანამედროვეობის პირუთვნელი შეფასება.“

პირველად ქვეყნდება სალიტერატურო პრესაში გაბნეული და მწერლის არქივში ჩარჩენილი „სიტყვები“ – გამოხმაურებანი ქართული საზოგადოების თვალსაჩინო მოღვაწეებზე, გზის დალოცვა ახალგაზრდა ავტორთათვის, რომლებიც მორიდებით მიიკვლევენ მწერლობის უხილავ ბილიკებს.

აღსანიშნავია „მოკლე ავტობიოგრაფია“, შეჯამება ერთი კაცის წუთისოფლისა, საოცარი თავმდაბლობითა და ფაქიზი იუმორით დაწერილი, ახალი სამზერიდან რომ გვიჩვენებს ოთარ ჭილაძის პიროვნებას“.

ეს რედაქტორის, ზვიად კვარაცხელიას სიტყვებია, რომელიც ანოტაციის სახით ერთვის წიგნს და უნდა მოგახსენოთ, რომ არც ეს ფაქტია შემთხვევითი. იღბლიანი აღმოჩნდა ქართულ ლიტერატურულ სამყაროში სრულიად ახალგაზრდა კაცის – ზვიად კვარაცხელიას გამოჩენა. მის პირველ წიგნს, მოთხრობების კრებულს სწორედ ოთარ ჭილაძემ მისცა მაღალი შეფასება. მე მხოლოდ ფრაგმენტს შემოგთავაზებთ ამ წერილიდან:

„...სხვათაშორის, მწერლის მიერ განვლილი გზა განსაზღვრავს მწერლური პოტენციის მარაგსაც და სიძლიერესაც, მაგრამ როცა ცხრამეტი წლის ბიჭი ასე საღად ფიქრობს, ასე მძლავრად და ასე მტკივნეულად განიცდის საკუთარი ქვეყნის, მშობლიური ხალხის ბედსა და იღბალს, რასაკვირველია აუცილებლად მიიპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას“.

ზვიად კვარაცხელიამ გაამართლა დიდი მწერლის ეს წინათგრძნობა და იგი სისხლსავსე ლიტერატურული ინტერესებით ცხოვრობს და შრომობს, უკვე რამდენიმე წიგნის ავტორია, შექმნა დოკუმენტური პროზის შესანიშნავი ნიმუში „ილია სამეგრელოში“. ეს თხზულება თავის დროზე ყურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე დაიბეჭდა და მკითხველთა დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

რაც შეეხება მეორე წიგნს – „სიყვარულისაგან ფართოვდება ქვეყანა“ – ის „მცირე პროზის“ სერიით გამოიცა და მისი შემდგენელ-რედაქტორია ცნობილი მეცნიერი, ჰუმანიტარული სამყაროსათვის კარგად ცნობილი პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი.

ეს გამოცემა ნამდვილი სიურპრიზია მკითხველისათვის, რადგან „მცირე პროზის“ ავტორი ანა კალანდაძე გახლავთ.

„მინიატურები“, „მოგონებები“, „საუბრები, ჩანაწერები“, „ფრაზებით დახატული პორტრეტები“ – აი ასე დაასათაურა ბ-მა გიორგიმ ანა კალანდაძის საარქივო მასალის მცირე ნაწილი. ეს პროზაული ჩანაწერები დიდ შემოქმედს ახალი რაკურსით წარმოაჩენს, მისი ტალანტის საკადრისი ახალი გამობრწყინებაა. როგორც გიორგი გოგოლაშვილი წერს: „მინიატურების სათაურების ჩაკითხვაც კი მიგვახვედრებს, კლასიკოსის პროზასთან რომ გვაქვს საქმე...“

დღეს ამ გამოცემებით დავკმაყოფილდეთ. მომავალში კი იმედი გვაქვს გამომცემლობა „ინტელექტი“ მრავალ სიხარულს მიანიჭებს თავის ერთგულ მკითხველს და ჩვენი მომავალი თაობის აღზრდისა და უკეთესი საქართველოს შენების საქმეში კვლავაც ავანგარდში ვიხილავთ.



## ნიგნის პრეზენტაციები



## თბილისში გაცოცხლებული კველი თუშეთი

„ეს ამბავი თუშეთში მოხდა გასული საუკუნის 20-იან წლებში. თუმცა ქალ-ვაჟის ორმხრივი სიყვარულის სევდიანმა ისტორიამ დროთა განმავლობაში ვარიანტები გააჩინა და ლამაზი ლეგენდის აშკარა ნიშნებით აღიჭურვა“, – ვკითხულობთ ახალგამოცემული ნიგნის – „ალათოს“ შესავალში.

**ეთერ თათარაიძისა და ამირან არაბულის** ამ ნიგნის წარდგინებას 4 თებერვალს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა უმასპინძლა. ნიგნში მოთხრობილია გასული საუკუნის 20-იან წლებში რეალურად მომხდარი ამბავი – 18 წლის ქალის, ალათოს (სოფელ დანოდან), ტრაგიკული ისტორია, რომელმაც სიყვარულის გამო სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ნიგნი ავტორების დიდი ხნის ნაოცნებარია და იგი 30 წლის მანძილზე ისხამდა ხორცს. ისინი წლების მანძილზე ეძებდნენ ალათოს თანამედროვეებსა და მათ შთამომავლებს, რომელთაც სულ მცირედი კავშირი მაინც ჰქონდათ ამ ამბავთან, ინერდნენ და აგროვებდნენ მასალას ახალგაზრდა ქალის შესახებ.

როგორც ავტორები აცხადებენ, ეს ნიგნი არის ფოლკლორისტიკაში და, კონკრეტულად, ზეპირსიტყვიერებაში იმის ჩვენების მცდელობა, თუ როგორ იქცევა ნამდვილი ამბავი ლეგენდად.

„ალათო“ წლების მანძილზე დანაწევრებულად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. ნიგნად კი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით დაიბეჭდა. სალამოც

სწორედ ამ ცენტრის ხელმძღვანელმა – გიორგი უშიკიშვილმა გახსნა, რომელიც ბედნიერად თვლიდა თავს იმის გამო, ამ ნიგნის გამოცემაში მონაწილეობის მიღების საშუალება რომ მიეცა.

გამოცემა ორენოვანია: ქართულ და ინგლისურ ენებზე და **ამირან არაბულის** ფოტოებითაა გაფორმებული. ნიგნის ბოლო ნაწილი მოიცავს დანართებს, სადაც თუშურ დიალექტზე ალათოს შესახებ ზეპირი მონათხრობებია შეტანილი.

ნიგნის რედაქტორია **ვახუშტი კოტეტიშვილი**, ხოლო მხატვარი – **თენგიზ მირზაშვილი**. სამწუხაროდ, ვერც ერთი მათგანი ვერ მოესწრო მის გამოცემას და „ალათო“ ნიგნის ავტორებმა სწორედ მათ ხსოვნას მიუძღვნეს.

სალამოზე ნიგნის წარდგინების პარალელურად გაიმართა გასული საუკუნის 20-30-იანი წლების თუშეთის ტიპაჟთა ფოტო გამოფენაც. **ლელა თათარაიძემ** თუშური გარმონის თანხლებით შეასრულა ალათოს ამბავზე შექმნილი ნატირლები, რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, მრავლად მოიპოვეს.

ლონისძიებს მრავლად ესწრებოდნენ ძველი თუ ახალი თაობის მწერლები, პოეტები, მსახიობები, სასულიერო პირები და საგანგებოდ ამ დღისთვის თუშეთიდან ჩამოსული სტუმრები.

სალამოს ავტორების ძალისხმევით შედეგად ფოლკლორის ეროვნულ ცენტრში მისულმა სტუმრებმა ერთი საათით თბილისში გაცოცხლებულ ძველ თუშეთში ამოყვეს თავი.

ღვთის ძიების გზაზე

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითა კავშირმა 6 თებერვალს პოეტ დიმიტრი ნიკლაურს უმასპინძლა. ავტორმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ახალი წიგნი, პოემა „ეკლების კრეფა გვირგვინისათვის“. საღამოს უძღვებოდა მარინა თექეთუ-მანიძე.

დიმიტრი ნიკლაური 90-იანი წლებიდან იბეჭდება. ავტორია ლექსების, პოემების, პიესებისა. მკითხველი მას იცნობს წიგნებით: „ანტიხთონები“, „მოაზროვნე გომბეშო“, „შებინდების პოეტი“, „ცოდვილი გახა“, „მათხოვრის ქისა“, „მზიდავი“ და სხვ. დიმიტრი ნიკლაურის შემოქმედებაზე ისაუბრეს: მეუფე თადეოზმა (იორამაშვილი), ერეკლე საღლიანმა, მარიამ ნიკლაურმა, შოთა იათაშვილმა, გიორგი ანთაძემ, მაცყალა გონაშვილმა, ნინო საღლობელაშვილმა, სოფო ჯაფარიძემ, ქეთი დოლიძემ, გიგი ხორნაულმა. გამომსვლელებმა გულისტკივილი გამოთქვეს, რომ ასეთი საინტერესო ხედვისა და აზროვნების ავ-

ტორს ნაკლებად იცნობს მკითხველი საზოგადოება.


დიმიტრი ნიკლაურის შემოქმედება ღრმა რელიგიურ საწყისზე დგას და მუდმივად უტრიალებს ზნეობისა და ღვთის ძიების გზას. წერს როგორც კონვენციურ ლექსებს, ასევე ვერლობებსაც. მისი პოემების მასშტაბურობა და სიღრმე, ესთეტიკა და ენა, აოცებს და აღაფრთოვანებს მკითხველს. ის პროფესიით ფარმაცევტია და მისი წიგნების უმრავლესობა სწორედ ერთ-ერთი ფარმაცევტული ფირმისა და ბატონ გიორგი ანთაძის ფინანსური ხელშეწყობით გამოიცემა ხოლმე. უაღრესად მორიდებული და თავმდაბალი ბუნების გამო დიმიტრი ნიკლაური არ ცდილობს საკუთარი შემოქმედების პოპულარიზაციას. ეს საღამოც მეგობრების ინიციატივით გაიმართა. არადა, პოეტ დიმიტრი ნიკლაურს, როგორც ნამდვილ შემოქმედს, მაძიებელ ადამიანს და ზნეობრივ ხელოვანს ნამდვილად უნდა იცნობდეს ქართული საზოგადოება.

ორი ახალი საბავშვო წიგნი

ამა წლის 14 თებერვალს რუსთაველის თეატრის ფოიეში გამომცემლობა „პეგასმა“ გამორჩეულ სტუმრებს – ბავშვებს უმასპინძლა. სპეციალურად მათთვის ორი ახალი წიგნის წარდგინება მოხდა.

2010 წელი მსოფლიო საბავშვო ლიტერატურაში ცნობილი იტალიელი საბავშვო მწერლის ჯანი როდარის წელიწადად გამოცხადდა. გამომცემლობა სწორედ ამ მოვლენას გამოეხმაურა და მისი ახალი წიგნი – „გონდოლა აჩრდილი“ გამოსცა. აღსანიშნავია, რომ ჯანი როდარი ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა. იტალიურიდან თარგმნა თეა ნიკოპაძემ.

პატარების ერთ-ერთმა საყვარელმა თანამედროვე მწერალმა ირმა მალაციძემ კი უმცროსი, დაახლოებით 6-10 წლის, ასაკის ბავშვები ახალი წიგნით – „ონავარი ლუკი დროთა ქვეყანაში“ დაასაჩუქრა. ზღაპარში დომინირებს ტრადიციული თემა – ბოროტისა და კეთილის ბრძოლა. მოქმედება ხდება დროთა ქვეყანაში, სადაც დრო ბოროტმა ჯადოქარმა მოიტაცა და ახლა ყველა საათი უკუღმა ბრუნავს, დროც უკან და უკან მიდის. წიგნის მხიარული ილუსტრაციები ეკუთვნის ილია ქრელაშვილს.



## საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ ბაიდომეილი  
ვლადიმერ პერანიძე  
ბადრი ტალახაძე  
მართა ნიკლაური  
ალექსანდრე ჯიქურიძე



### გამომცემლობა ინტელექტი

---

0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ  
25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54  
ფაქსი: 25-05-22, 91-22-83  
[www.intelekti.ge](http://www.intelekti.ge) [info@intelekti.ge](mailto:info@intelekti.ge)  
რედაქტორი: 8(99) 90-37-22